გამოიცემა 1934 წლიდან

№219 (12594) 18 სექტემბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



# ბებერი სინიორა მოგებით დაბრუნდა

## დელ პიერომ უეფას თასის მფლობელს მოუგო



# უმი თამაში უმეაში

შვედეთი-საქართველო 61:59

## მარცხი, რომელიც ტრაგედია არ არის

»11

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაშს თერთმეტი კაცი აგებს

ინტერვიუ კახა კალაძესთან »3

# მოქმედმა ჩემპიონმა ოლ ტრეფორდზე ვერ მოიგო

რონალდომ ივლისის შემდეგ პირველად ითამაშა, მაგრამ...

ლიგაზე მესამედ შედგა მანჩესტერისა და ვილიარეალის დაპირისპირება და ზედიზედ მესამედ მაყურებელმა უგოლო ფრე იხილა

ტექნიკური შედეგები »15





# გაზა ნაბახუსევზე

ამას ალარაფერი ეშველება

»16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი



გიორგი მერებაშვილმა ორი გოლი გაიტანა

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# რაინერ ცობელმა ექსპერიმენტები დაიწყო

## ახალგაზრდა დინამოელები დამკვიდრებას ცდილობენ

**თბილისი-დინამო**

**0:4**

17.09. თბილისი. დილმის ბაზა

პირველი მატჩი 6:1

0:1 მერებაშვილი (49. ინწკირველის პასით), 0:2 მერებაშვილი (66), 0:3 ვანაძე (73. ოდიკაძის პასით), 0:4 ოდიკაძე (76. ელიავას პასით).

დინამო: ლორია - შ. კაშია (46. მინდორაშვილი), გ. კაშია, კრშკო, ელიავა – ნერგაძე (64. ოდიკაძე), დილმელაშვილი, ინწკირველი, ჯიშკარიანი – მერებაშვილი (69. ქანთარია), ვანაძე.

თბილისი: ხარშილაძე - სარაჯიშვილი, ამისულაშვილი, ოდიშარია, ხოხონიშვილი - კბილცეცხლაშვილი (46. ჯაში), გურეშიძე, მიქელაძე, სებისკვერაძე(82. დევდარიანი), - ზვიადაძე, ტორონჯაძე (72. ბელქანია).

გაფრთხილება: კრშკო (79)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი).

“თბილისთან” საქართველოს ჩემპიონის შეხვედრა იმით იყო საინტერესო, თუ რა ცვლილებებს განახორციელებდა დებიუტანტ “გაგრასთან” “დინამოს” მთავარი მწვრთნელი, წაგებით გაბრაზებული **რაინერ ცობელი**. მან გარკვევით თქვა, რომ ცხვირაწეულ და გულგრილ ფეხბურთელებს პასუხს მოსთხოვდა.

შეხვედრა დილმის ბაზაზე გაიმართა და “დინამო” ნომინალურად სტუმრად ითვლებოდა. გერმანელმა სპეციალისტმა ხუთი ფეხბურთელი დაასვენა: **გულვერდ თომაშვილი, ოლეგ გველესიანი, ლევან ხმალაძე, დავით ოდიკაძე** და **ილია სპასოევიჩი**. ძნელი სათქმელია, ცობელმა ხუთეული დასაჯა თუ ჩემპიონატის შეხვედრისთვის დაასვენა. **ნიკა ფირცხალავას** წელის ტკივილი აწუხებს და მკურნალობს. ცობელმა მატჩი საექსპერიმენტოდ გამოიყენა, რადგან პირველი შეხვედრის 6:0 მოგების შემდეგ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა გარკვეული იყო.

თვალში საცემი იყო საყრდენი ნახევარმცველის, **გია ნერგაძის** მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე დაყენება, ცენტრალური მცველის, **ლექსო ინწკირველის** საყრდენად გამოყენება.

“დინამო” გადაღლილი ჩანდა. როგორც აღმოჩნდა, ცობელი ფეხბურთელებს ყოველდღიურად ორჯერ ავარჯიშებს. გუნდმა ივარჯიშა თამაშის დღეს, დილასაც. სწორედ ამიტომ მოთამაშეები პირველ ტაიმში ვერაფერს გახდნენ. მეორე ტაიმში “დინამო” მოედანს შეფუცხუნებული დაუბრუნდა. **მერებაშვილმა** დუბლი შეასრულა. მან ინწკირველის გადაცემა გამოიყენა. 66-ე წუთზე მეკარე **ხარშილაძე** უკვე მეორედ შეიქნა უძლური დინამოელის დარტყმის წინაშე. ხსენებულ ეპიზოდში ხარშილაძემ ტაში მაინც დაიმსახურა, რადგან სამიოდე მეტრიდან **ოდიკაძის** დარტყმული მოიგერია, მერებაშვილის დამატებულის ასაღებად კი ძალა აღარ ეყო. ამის შემდეგ ოდიკაძემ ჯერ **ვანაძეს** გაატანინა, შემდეგ კი თავად გაიტანა და საბოლოოდ 0:4 ნომინალური სტუმრების სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ “დინამოს” ძირითადში პირველად მოხვდა **გია ჯიშკარიანის** ვაჟი **ნიკა**. ის ბევრს მოძრაობდა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჯიშკარიანი უმცროსი ძირითადად მარცხენა ფლანგიდან მოქმედებდა სახიფათოდ. დებიუტი ჰქონდა 18 წლის **გურამ მინდორაშვილს**. მან მარჯვენა ფლანგის გამოსაცოცხლებლად იმუშავა ბევრი. დებიუტანტი იყო ასევე 18 წლის **ზვიად ქანთარიაც**. ის თამაშში მოკრძალებულად ჩაერთო, მაგრამ გათამამდა და ორჯერ სახიფათოდ შეუტია “თბილისის” კარს.

**მერაბ მამულაშვილი**

| სხვა მატჩები | |
|---|---|
| გურია-ამერი | 0:2 (1:2) |
| მალაროელი-ლოკომოტივი | 1:3 (0:3) |
| ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 (0:5) |
| სპარტაკი-მერანი (მარტ.) | 1:3 (1:0) |
| **დღეს** | |
| ბაია-ოლიმპი | (1:1) |

„ლელოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძის დედის გარდაცვალების გამო

ინტერვიუ უჩა ლობჯანიძესთან

# ყველაზე უფრო რონალდუსთან გამიჭირდა

ფეხბურთელი რომელიც ავტორიტეტებს არ ცნობს, სახელოვან მოწინაალმდეგეებს არ ერიდება და ასაკის მიუხედავად ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ეთამაშება. ეს „ზესტაფონის“ მარჯვენა მცველი უჩა ლობჯანიძეა. მან 21-წლამდელებიდან ეროვნულ ნაკრებში გადასვლა დაიმსახურა და ბოლო 5 მატჩში ეროვნულ გუნდში სტაბილურად სასტარტო შემადგენლობაშია. მას უთამაშია ისეთი ცნობილი ფეხბურთელების წინააღმდეგ, როგორებიც არიან კრისტიანო რონალდო და ანტონიო დი ნატალე. საინტერესოა, თუ რითაა განპირობებული მისი ეს პროგრესი...

**- უჩა, საუბარი ნაკრების ბოო ორი მატჩით დავიწყოთ. ჯერ ირლანდიაზე ვთქვათ...**

- კარგი იქნებოდა, საქართველოში ომი არ ყოფილიყო და ეს მატჩი თბილისში ჩატარებულიყო. დარწმუნებული ვარ, მათთან თბილისში რომ გვეთამაშა, არ წავაგებდით.

ირლანდიამ სწორი და გამართული ფეხბურთით დაგვჯაბნა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათი ყველა ქმედება ერთ საერთო სცენარში ჯდებოდა. ჩვენ კი შეუთამაშებლობა გვეტყობოდა და საწყისი 15-20 წუთი თამაში ვერ ავაწყვეთ, რითაც ტრაპატონის გუნდმა კარგად ისარგებლა. პირველ ტაიმში დასანანი გოლო რომ არ გაგვეშვა, ალბათ მაინცში არ წავაგებდით.

**- ახლა მსოფლიო ჩემპიონებთან თამაში გავიხსენოთ.**

- ხშირად მსმენია, ქართველებს იტალიელებთან თამაში ძალიან არ გვიჭირსო და ეს უდინეში ჩატარებულმა მატჩმაც დაამტკიცა. იტალიას ისეთი სათამაშო სქემა აქვს, რომ შენც გათამაშებს და თავადაც თამაშობს. ისიც გამოჩნდა, რომ მატჩიდან მატჩამდე ჩვენი ნაკრები უმატებს თამაშს. ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით მაისის ამხანაგური მატჩები რომ ჩაგვეტარებინა, დარწმუნებული ვარ, ახლა უქულოდ არ ვიქნებოდით. იმისი თქმა მინდა, რომ კუპერს დრო უნდა და ჩვენს ნაკრებს კარგ გუნდად აქცევს.

**- ისევ იტალიასთან მატჩს დავუბრუნდეთ. მარჩელო ლიპიმ დი ნატალე შეცვალა. მას მშობლიურ ქალაქში, შენ წინააღმდეგ თამაში არ წაუვიდა. უფრო მეტიც, იტალიელები შენი ფლანგიდან თითქოსდა ერიდებოდნენ იერიშებს.**

- როცა თამაშში სრულად ხარ ჩართული, მსგავს დეტალებს ვერ ხედავ, ვერ კითხულობ. არ ვიცი, რა გითხრათ... ტელეეკრანიდან ასე ჩანდა? მე რაც დამავალეს, ყველანაირად ვცდილობდი შემესრულებინა და ალბათ ცუდადაც არ გამომსვლია... სხვა რა გითხრათ. არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი...

**- სხვათა შორის, ექტორ კუპერის აზრიც თითქმის ასეთია.**

- (იცინის) მაშინ ბედნიერად ვთვლი თავს, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს.

**- ბოლო 5 მატჩი ზედიზედ ითამაშე ეროვნულში. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნაკრების სასტარტოში უკვე დაიმკვიდრე ადგილი?**

- ამას ვერ ვიტყვი, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი და დასახვეწი.

**- მაინც რას გულისხმობ?**

- სისწრაფეზე მეტად უნდა ვიმუშავო და ფლანგიდან ჩაწოდებებიც უნდა დავხვეწო... კიდევ არაერთი კომპონენტია.

**- მოედანზე რიდი და ხათრი არ გეტყობა. შენზე ამბობენ, საფეხბურთო ავტორიტეტებს არ ცნობს და სახელოვან მეტოქეებს არ ერიდება, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ეთამაშებაო...**

- მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ რომ ხარ მოედანზე, როგორ შეიძლება, აღელვებული არ იყო. თუმცა საკუთარი თავის ხელში აყვანა კარგად გამომდის. ნებისმიერ მეტოქეს ჩვეულებრივ ვეთამაშები. თუნდაც ავტორიტეტული მოწინააღმდეგე იყოს... შეიძლება შევცდე კიდეც, მაგრამ კაცი შეცდომებზე სწავლობს. რატომ უნდა მქონდეს ფსიქოლოგიური კომპლექსი? ის რომ ვიფიქრო, აუ, ეს რონალდოა, ეს დი ნატალე, ყოველთვის მაჯობებს მეტოქე.

**- შენზე ამბობენ, ნაკრებში მარჯვენა მცველის პრობლემა მოხსნაო...**

- ეს ჩემთვის კომპლიმენტია, მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდები. არ მინდა გავჩერდე. ვთვლი, რომ ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია. ეროვნულში არაერთი ფეხბურთელია, რომელსაც მარჯვენა ფრთაზე შეუძლია თამაში. ბედნიერი ვარ, რომ ამჯერად მე მეძლევა შანსი, მაგრამ ერთიც კარგად ვიცი - თუ მოვდუნდი, ამით ბევრს დავკარგავ. ჩემი თამაში ფეხბურთის სპეციალისტების შესაფასებელია.



უჩა ლობჯანიძე

**- ისიც გამოჩნდა, რომ ირლანდიასა და იტალიასთან ჩვენმა ნაკრებმა მეორე ტაიმები უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველი. ეს რით ავხსნათ?**

- კი, ზუსტად ეგრეა. ეს მეც შევატყვე. ალბათ იმიტომ, რომ შეთამაშება გვაკლია. მჯერა, ოქტომბრის მატჩებს ბევრად უკეთ ვითამაშებთ.

**- რონალდოს, დი ნატალესა და სხვა გამორჩეული ფეხბურთელების წინააღმდეგ გითამაშია. ვისთან უფრო გაგიჭირდა?**

- რონალდოსთან. აშკარად ეტყობა, რომ სხვა კლასისა და დონის ფეხბურთელია. იოლი კი არავისთან არ ყოფილა.

**- კუპერზე რა აზრის ხარ?**

- მაგარი მწვრთნელია. დისციპლინა უყვარს და ყველაფერს მარტივად გვიხსნის. ფიზიკური ვარჯიშებიც კარგი აქვს და ტაქტიკურიც.

**- „ზესტაფონზეც“ ვთქვათ. რას გეეგმავთ ამ სეზონში?**

- დუბლი გვინდა. თასზე მეოთხედფინალში კი გავედით, მაგრამ ჩემპიონატში გამორჩეული სტარტი არ გვქონია, რუსთავში მხოლოდ ქულა მოვიპოვეთ.

**- როგორ ფიქრობ, ეს სეზონი წინაზე უკეთესი იქნება?**

- ჩემპიონატი ახალი სისტემით ტარდება და განსხვავებული იქნება. დონეზე ჯერ ადრეა საუბარი, ეს თანდათან უფრო გამოჩნდება. იმედია, უკეთესი იქნება.

**დავით ცაბაძე**

ოლიმპიური ინიციატივა. შეხვედრა ფეხბურთის ფედერაციაში

# ნაცვლიშვილის იდეა: ოლიმპიურ ნაკრებებს შორის საერთაშორისო ოთხთა ტურნირი თბილისში

**გია ნაცვლიშვილი** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია. ნაცვლიშვილი ჩვენში ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი ჯერ არ გახდარა, მაგრამ ერთ-ერთი ოლიმპიური იდეა უკვე გაახმოვანა, რომელმაც ქართულ საფეხბურთო წრეებში დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში შეხვედრისას მოხდა.

გია ნაცვლიშვილი **ნოდარ ახალკაცს, გოგი ქავთარაძეს, უჩა უგულავას, რევაზ არველაძეს, დიმიტრი რამიშვილსა** და ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებს შეხვდა. ამ ვიზიტის შემდეგ „ლელოსთან“ საუბარში შეხვედრასა და ზემოთ ნახსენებ იდეაზე ისაუბრა.

*„ფეხბურთის ფედერაციაში ჩემი სტუმრობა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში შედგა. ნოდარ ახალკაცს, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებს, გენერალურ მდივანსა და სხვა ხელმძღვანელებს ვესაუბრე. სპორტის სხვა სახეობებსაც შევეხეთ, მაგრამ მთავარი თემა, რალა თქმა უნდა, ფეხბურთი იყო.*

*ვისაუბრეთ ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებზე. რამდენადაა შესაძლებელი ამ გუნდის მოხვედრა ილიმპიადაზე. თუმცა ჯერჯერობით ნაადრევია ამაზე საუბარი, რადგან 2009-2011 წლების ევროპის ჩემპიონატისთვის ჯერ წილისყრაც კი არაა ჩატარებული. ჩემი იდეაა, ოლიმპიურ ნაკრებებს შორის საერთაშორისო ტურნირი ჩავატაროთ. სიმბოლურად თასი გავათამაშოთ და ამ ტურნირმა ტრადიციული სახე მიიღოს. გვინდა ეს ტურნირი წარსულში ცნობილი ერთ-ერთი ქართველი ფეხბურთელის სახელობის თასის გათამაშება იყოს. ჩვენი სურვილია, ტურნირში შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა, ბულგარეთმა, უკრაინამ, რუმინეთმა მიიღონ მონაწილეობა. სხვათა შორის, ეს იდეა ფედერაციის ხელმძღვანელებს მოეწონათ. ეს ჯერჯერობით ჩანაფიქრის დონეზეა. ოქტომბერ-ნოემბერში უფრო მასშტაბურად შევუდგები ამ იდეის განხორციელებას. ტურნირს ალბათ მომავალ ზაფხულზე ჩავატარებთ. გვინდა, ამ გათამაშებაში ლევან ყენიამ, ლევან მჭედლიძემ და იმ ლეგიონერებმაც იასპარეზონ, რომლებსაც ეროვნულში თამაშის გამოცდილება უკვე აქვთ და ასაკით 21-წლამდელებშიწ უწევთ თამაში.*

*ერთი სიტყვით, ფეხბურთის ფედერაციაში სტუმრობით კმაყოფილი დავრჩი“.*

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი გია თვალაბეიშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# საკმაოდ ნორმალურად ვითამაშე

## თამაშს თერთმეტი კაცი აგებს

საქართველოს ნაკრების კაპიტნისთვის სეზონი კარგად ვერ დაიწყო - სერია A-ში „მილანმა“ ორივე მატჩი წააგო (კახამ მხოლოდ ერთში ითამაშა), ჩვენმა ნაკრებმაც ორი მარცხით დაიწყო შესარჩევი ციკლი. კალაძისგან ყოველთვის მეტს ველით, თუნდაც იმას, რომ ნაკრებში დაცვის ლიდერი იყოს. ირლანდიასა და იტალიასთან მისი თამაში თვალისმომჭრელი არ ყოფილა, თუმც თვითონ კახა სხვანაირად მიიჩნევს.

კალაძეს გუშინ დავურეკეთ იტალიაში და საუბარი „მილანით“ დავიწყეთ.

- ჩემთვის ძნელია იმის თქმა, რატომ დაიწყო სეზონი ცუდად „მილანმა“. ძლიერი ფეხბურთელები გვყავს და სიტუაცია აუცილებლად გამოსწორდება. ყველაფერი ალბათ იმის ბრალია, რომ სეზონის სტარტზე საუკეთესო კონდიციაში არ არის გუნდი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ.

**- ერთ-ერთი მათგანი რონალდინიოა, რომელსაც „მილანის“ „ჯენოასთან“ მატჩის შემდეგ იტალიური პრესა არ აქებდა...**

- ის პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, მარცხენა გარემარბად ითამაშა. ნაკრებიდან ახალი დაბრუნებული გახლდათ და დაღლა დაეტყო. იგივე დაემართა შევჩენკოსაც.

**- რეკლამირებული, კომერციულად საინტერესო ფეხბურთელი თუ „მილანის“ გამაძლიერებელი - უფრო რომელი პათოსი დაჰკრავს რონალდინიოს „მილანში“ მისვლას?**

- როცა ის „მილანში“ მოვიდა, არ იყო კარგ ფორმაში, მაგრამ ახლა უკეთესად თამაშობს და დაამტკიცებს, რომ „მილანშიც“ ბევრის გაკეთება შეუძლია. რამდენად პოპულარული ფეხბურთელია ის, ამაზე აღარ ვილაპარაკებ.

**- სკუდეტო და უეფას თასი - „მილანს“ ალბათ აქვს არჩეული პრიორიტეტი ამ სეზონში.**

- ასეა, ჩვენთვის ახლა მთავარი სკუდეტოა.

**- კარლო ანჩელოტის მოხსნაზე რას იუწყება იტალიური მედია?**

- მისი გუნდიდან გაშვებაზე „მილანში“ ლაპარაკიც კი არ არის, რადგან ანჩელოტის ხელში ყველაფერი მოვიგეთ, მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი გავხდით. ერთი-ორი ცუდი თამაშის გამო ასეთ მწვრთნელს არ გაუშვებენ.

**- ნაკრებზეც ვთქვათ. ირლანდიასა და იტალიასთან კალაძემ ისე ვერ ითამაშა, როგორც მას ეკადრებოდა. ეთანხმები ასეთ თვალსაზრისს?**

- ორივე მატჩი საკმაოდ ნორმალურად ვითამაშე, განსაკუთრებით იტალიასთან. გენუაში მეორე ტაიმში მთლიანად გუნდმა ვითამაშეთ უკეთესად. საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, ახალი კოლექტივია, მწვრთნელიც ახალი გვყავს. გუნდს კი ჩამოსაყალიბებლად დრო სჭირდება.

**- იტალიასთან მეორე გაშვებულ გოლზე გკითხავ. ალესანდრო დელ პიერომ დანიელე დე როსის რომ გადააწოდა ბურთი, ამ საგოლე პასის წაკითხვა ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს არ შეეძლოთ?**

- ვერავის დავადანაშაულებ. თამაშს მთლიანად გუნდი აგებს და არა კონკრეტული ფეხბურთელები. მართალია, ერთ ეპიზოდზე მკითხეთ, მაგრამ ფეხბურთიც სწორედ ეპიზოდებისგან შედგება.

**- ირლანდიასა და იტალიასთან მარცხი ლოგიკურად მიგაჩნია?**

- ასე არ ვიტყოდი, ფეხბურთში გარანტიები არ არსებობს, აგერ იტალიამ ძლივს დაამარცხა კვიპროსი და ვერც ჩვენთან აჩვენა მაინცდამაინც კარგი თამაში. ირლანდიასთან შინ რომ გვეთამაშა, ალბათ, გავიმარჯვებდით.

**- უფრო რას უნდა ველოდეთ ჩვენი ნაკრებისგან ამ შესარჩევში - ექსპერიმენტებს თუ შედეგისთვის ბრძოლას?**

- ფაქტია, ნაკრების ბოლო მატჩებისთვის ბევრი ფეხბურთელი იყო გამოძახებული, ახალი მწვრთნელი გვყავს და მოთამაშეებზე დაკვირვების პროცესი მიდის.

**- ექტორ კუპერს შენთვის, როგორც ნაკრების კაპიტნისთვის რჩევა არაფერზე უკითხავს? კითხვები არ დაუსვამს?**

- არა, ასეთი არაფერი ყოფილა. ფეხბურთელი, თუნდაც კაპიტანი, მწვრთნელის საქმეში ვერ ჩაერევა, კუპერი თვითონ აკვირდება ფეხბურთელებს.

დავით თავართქილაძე



კახა კალაძე (მარჯვნივ) ლუკა ტონის წინააღმდეგ

ფესვები

# რა ელის გაყიდულ ავაზას?



მამუკა მესხი

ავტორის ფოტო

მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო სკოლა „ავაზა“ გაიყიდა. შესაძლოა, ეს წაადგეს კიდეც ამ სკოლას, შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს. გარიგება გამჭვირვალე არ ყოფილა, საზოგადოება ამ ტრადიციული სკოლის გაყიდვაზე წინასწარ ინფორმაციას არ ფლობდა. ოფიციალურად ყველაფერი ვითომ ტენდერით მოხდა, მაგრამ თუ დაინტერესდებით, ეჭვიც გაგიჩნდებათ - კომპანია „ვისოლმა“ „ავაზა“, ოლიმპიური მომზადების ცენტრის კომპლექსი (საცურაო აუზი და ორი ხელოვნურსაფრიანი მოედანი დიღმის მასივში) და სოფელ დიღომში 9 000 კვადრატული მეტრი მიწის ფართი, კულუარული ინფორმაციით, სულ რაღაც 5 000 ლარად შეიძინა.

მოკლედ, არ არის ცუდი თემა ჟურნალისტური გამოძიებისთვის, თუმც ამჯერად სხვა, უფრო უტყუარ ამბებს დავეჯერდეთ, რომელთაც გამოძიება არ სჭირდებათ.

„ავაზა“ თბილისის მერიის ბალანსზე იყო და მისი გაყიდვაც მერიამ გადაწყვიტა. ბოლო ორი წელი „ავაზა“, ფაქტობრივად, თვითდაფინანსებაზე იყო. მაგრამ მართლა ტენდერით თუ აუქციონით მოხდა „ავაზის“ გაყიდვა? ვინ არის ნავთობკომპანია „ვისოლის“ რეალური მფლობელი? დაინტერესებული იყო თუ არა ხელისუფლება ამ გარიგებით? რა მიზნით შეიძინა „ვისოლმა“ საფეხბურთო სკოლა? ბავშვთა ფეხბურთი აინტერესებს თუ ტერიტორია კომერციული საქმიანობისთვის?

„ავაზის“ დირექტორი ისევ **მამუკა მესხი** გახლავთ, დიდი მიხეილ მესხის ვაჟი. მან გვითხრა, რომ კომპანია „ვისოლმა“ ვალდებულება აიღო - საფეხბურთო სკოლას ათი წელიწადი უპატრონოს, ხოლო მერე რა როგორ იქნება, ეს მხოლოდ „ვისოლის“ გადასაწყვეტი იქნება.

ბოლო წლებში „ავაზას“ საქმეები კარგად არ მისდიოდა, სკოლა კეთილმოუწყობელი იყო, არ გააჩნდა კარგი მოედნები, კარგი საშხაპე-გასახდელები და არც კოხტა ადმინისტრაციული შენობა. შესაბამისად, „ავაზამ“ პოპულარობა დაკარგა. სხვა სკოლაში უფრო მეტი ბავშვი მიჰყავდათ, ვიდრე „ავაზაში“ - თვალი ჭამს და თვალი სვამს.

*„ჩვენმა ოჯახმა, ლევან ცქიტიშვილმა და ლევან კობიაშვილმა „ავაზას“ შესყიდვა გადავწყვიტეთ, მაგრამ მერიამ გვითხრა, „ავაზა“ ცალკე არ იყიდება, მასთან ერთად ოლიმპიური მომზადების ცენტრის კომპლექსი და სოფელ დიღომში მიწის ფართიც უნდა შეიძინოთ საჭიდაო კომპლექსის ასაშენებლადო. ამას ჩვენ ვერ შევწვდებოდით და ეს სამი ობიექტი „ვისოლმა“ იყიდა. ჩვენ ვესაუბრეთ „ვისოლის“ წარმომადგენლებს. არის შანსი, რომ ამ კომპანიისგან „ავაზა“ გამოვისყიდოთ“* - გვითხრა მამუკა მესხმა.

„ავაზას“ სამი მოედანი აქვს, რომელთაგან ერთი სტანდარტული ზომისაა. „ვისოლმა“ უკვე დაიწყო სამუშაოები და სტანდარტულ მოედანზე მეხუთე თაობის ხელოვნურ საფარს აგებს. იგივე მოხდება დანარჩენ ორ მოედანზეც. მოკლედ, საქმე დაიწყო და ვნახოთ, რა გაგრძელდება.

ხელოვნურ საფარს მინდორი რომ სჯობს, თქმა რად უნდა, მაგრამ „ავაზას“ ოდენ სამი მოედანი აქვს და ყველა უნდა დატვირთოს, ბალახი კი ამას ისე ვერ აიტანს, როგორც ხელოვნური საფარი. ბუნებრივ საფარს რამდენიმე დღე მაინც სჭირდება დასვენება. მაგალითად, კარლო მჭედლიძის სკოლას აქვს იმის საშუალება, რომ მინდორი იქონიოს, რადგან სამზე მეტ მოედანს ფლობს.

*„ამ დროისთვის „ავაზაში“ სამასი ბავშვი ირიცხება, მაგრამ როცა მოედნების მშენებლობა დასრულდება, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან ასეთი ხარისხიანი მოედნები თბილისში ჩვენ გარდა არც ერთ საფეხბურთო სკოლას არ ექნება. მერე ბავშვებს უკვე შერჩევით მივიღებთ“*,- იმედიანადაა მამუკა მესხი.

ახლა „ავაზაში“ ბავშვის ვარჯიში მშობელს თვეში 30 ლარი უჯდება. ხელმოკლე ოჯახებს სკოლა ანგარიშს უწევს და ამ გადასახადისგან ათავისუფლებს. „ავაზის“ დირექტორმა გვითხრა, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, სკოლა საერთოდ გააუქმებს გადასახადსო.

განვითარებული საფეხბურთო მეურნეობის მქონე ქვეყნებში ყველა პროფესიულ კლუბს აქვს საფეხბურთო აკადემია, სადაც არც ვარჯიშის საფასურია გადასახდელი, არც ფორმის, ბუცისა თუ ბურთის - ყველა ხარჯს კლუბი ისტუმრებს. სამაგიეროდ, მომზადებულ ფეხბურთელში ერთი ცენტიც არ ექნება გადასახდელი.

„ავაზის“ მწვრთნელთა მცირე ნაწილს არ აქვს ლიცენზია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კი უკვე კატეგორიულად ითხოვს, ყველამ იზრუნოს ამაზე. მესხმა გვითხრა, რომ საქმე სწორედ აქეთკენ მიდის.

*„ვისოლის“ ხელმძღვანელობას მართლაც უყვარს სპორტი და ფეხბურთი. მათგან ვხედავ სერიოზულ დაინტერესებას ჩვენი საფეხბურთო სკოლისადმი. სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს უნდა დასრულდეს„* - გვამცნო მესხმა.

„ავაზაში“ მიიღეს პირველი საფეხბურთო გაკვეთილები **შოთა და არჩილ არველაძეებმა, ლევან კობიაშვილმა, ლევან ცქიტიშვილმა, დავით გვარამაძემ**... ახალგაზრდულ ნაკრებში „ავაზას“ აღზრდილები არიან **გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ლორია, სანდრო კობახიძე, ირაკლი კლიმიაშვილი**...

*„თუ იმ პირობებს გავითვალისწინებთ, რაც ჩვენთან იყო სხვა საფეხბურთო სკოლებთან შედარებით, „ავაზა“ ნაკრებებისთვის ფეხბურთელების მიწოდებაში ყველაზე შედეგიანი სკოლა გამოდის“* - მიაჩნია სკოლის დირექტორს.

„ავაზას“ ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული ხელწერა და მამუკა მესხი გვარწმუნებს, რომ თვითმყოფადობა მას არასდროს დაუკარგავს.

*„ჩვენთან ბავშვებს მეტი თავისუფლება აქვთ. ადრეული ასაკიდან მათ ფიზიკურად არ ვტვირთავთ, აქცენტი ბურთის ფლობაზე გვაქვს გადატანილი და სწორედ ამიტომ, ჩვენი მოზარდები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ“* - გვითხრა მესხმა.

თუ „ვისოლი“ სერიოზულად ფიქრობს „ავაზის“ წინსვლაზე, მიზნად გუნდის ეროვნულ ჩემპიონატში თამაში უნდა დაისახოს. მესხმა განგვიმარტა, ნორმალური სტადიონი რომ არ გვქონდა, ამიტომ გვეშლებოდა ხელი, ახლა კი გვინდა, 1991 წელს დაბადებულთა გუნდით გაისად ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში ჩავერთოთო. ცხადია, ეს „ვისოლის“ დაუხმარებლად ვერ მოხდება - სამონაწილეო თანხის გარდა ეროვნულ ჩემპიონატში ღირსეულად თამაში მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს.

გარდა 30-ლარიანი გადასახადისა, რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს სკოლას? თუ სკოლის აღზრდილ ფეხბურთელს კონტრაქტი არ აკავშირებს სკოლასთან და, დავუშვათ, უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბმა აიყვანა, კლუბმა უნდა გადაიხადოს გარკვეული თანხა, რაც შემდეგი პრინციპით ითვლება: 1500 დოლარი გამრავლებული იმ წლების რაოდენობაზე, რამდენიც მოზარდმა სკოლაში გაატარა. მაგრამ აქაც ვირეშმაკობენ ჩვენი კლუბები - მშობელს ეუბნებიან, რომ არ აქვთ სკოლისთვის გადასახდელი თანხა. მშობელი სკოლის ხელმძღვანელობასთან მიდის და ემუდარება, რომ სკოლამ ფეხბურთელი უფულოდ გაუშვას უმაღლესი ლიგის გუნდში, რადგან ამის გამო შეიძლება ბავშვს კარიერა დაენგრეს... ამით საქმე მოგვარდება ხოლმე. სკოლის უფროსობა ხომ ნამუსზეა შეგდებული. არის ხმები იმაზეც, რომ უმაღლესი ლიგის ზოგიერთი წამყვანი კლუბი მოზარდის აყვანაში მშობელს რამდენიმე ათას დოლარს სთხოვს. მოკლედ, თინეიჯერობიდანვე იწყება ფეხბურთელთა მოხვედრა გარყვნილ სამყაროში.

ასეა თუ ისე, ქართულ ფეხბურთს სული ჯერაც უდგას პირში. „ავაზაში“ კი ადრეც იყო და რა თქმა უნდა, კიდევ იქნება ფოტომუზეუმი, სადაც იმათი ფოტოებია, ვინც დიდ ფეხბურთამდე „ავაზაში“ დასდევდნენ ბურთს ხრეშიან თუ ბალახშემხმარ მოედნებზე.

„ავაზა“ მიხეილ მესხის სახელობის სკოლაა...

დავით თავართქილაძე

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადი

### დინამო (თბილისი)

**მეკარეები**
- დიდიე ოვონო 23. 01. 1983
- გიორგი ლორია 27.01.1986
- გიორგი მაკარიძე 31. 03. 1990

**მცველები**
- შოთა კაშია 22.10.1984
- გურამ კაშია 24.07.1985
- მილოშ კრშკო 23.10.1979
- ალექსანდრე ინწკირველი 24.08.1981
- გულვერდ თომაშვილი 13.10. 1988
- ოლეგ გველესიანი 16.09.1980
- ზაალ ელიავა 03.01.1985

**ნახევარმცველები**
- დავით დილმელაშვილი 18.01.1980
- ლევან ხმალაძე 06.04.1985
- დავით ოდიკაძე 14.04. 1981
- გიორგი მერებაშვილი 15.08.1986
- გიორგი ნერგაძე 20.08.1982
- ნიკოლოზ ჯიშკარიანი 04.06.1990
- ნიკოლოზ ფირცხალავა 15.05.1987

**თავდამსხმელები**
- ჟორჟ აკირემი 23.04.1982
- მათე ვაწაძე 17.12.1988
- ილია სპასოევიჩი 11.09.1987

მთავარი მწვრთნელი: რაინერ ცობელი 03.-11.1948
მწვრთნელი: კახა კაჭარავა 19.09.1966
მეკარეთა მწვრთნელი: გელა ჭანტურია 27.12.1964

### ვიტ ჯორჯია (თბილისი)

**მეკარეები**
- გრიგოლ ბედიაშვილი 07.02.1980
- შოთა ღურბელეიშვილი 12.02.1985
- არდალიონ მიქაბერიძე 02.06.1986

**მცველები**
- ალექსანდრე კვახაძე 17.08.1984
- დავით ლომაია 18.05.1985
- ლაშა ჯაფარიძე 16.04.1985
- გიგა ბეჭვაია 29.08.1986
- ამირან ყველაშვილი 10.02.1985

**ნახევარმცველები**
- გიორგი დათუნაიშვილი 09.02.1985
- ლუკა რაზმაძე 30.12. 1983
- გიორგი მელქაძე 24.12.1984

**თავდამსხმელები**
- ვასილ ლუჭაშვილი 25.01.1985
- გიორგი ბერიაშვილი 10.09.1986

მთავარი მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე 10.06.1956
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე 17.07.1956
მეკარეთა მწვრთნელი: არჩილ ლურწკაია 17.02. 1975

### მგლები (ზუგდიდი)

**მეკარეები:**
- ზურაბ მამალაძე 10.02.1982
- ვალამ ძალდანი 08.02.1988

**მცველები**
- ნიკა ხუხია 31.08.1988
- დავით ჭითანავა 02.04.1982
- გიგა პერტაია 07.07.1989
- მამუკა აქუბარდია 20.01.1988
- ილია ჯიშკარიანი 06.03.1986
- არჩილ ბაჯელიძე 07.04.1986
- გიორგი რეხვიაშვილი 01.02.1988
- დავით ხარჩილავა

**ნახევარმცველები:**
- ვალტერ გუჩუა 06.07.1975
- გიორგი ძუცურუა 19.07.1986
- ვლადიმერ ჯოჯუა 05.12.1980
- კონსტანტინე დარსანია 29.10.1984
- გიორგი ექონია 30.03.1985
- ირაკლი ახალაია 22.02.1989
- შოთა ლომია 13.02.1984
- კახა გოგოხია 08.08.1988
- გია გულუა 26.07.1983
- გიორგი ჯანაშია 02.02.1988
- ირაკლი ბარამია 09.02.1990
- ირაკლი ხარაძე 11.09.1987
- ირაკლი ნაჭყებია

**თავდამსხმელები:**
- გიორგი მიქაბერიძე 17.02.1988
- გია თოდუა 07.06.1982
- ზურაბ ხურციძე 21.06.1991
- გიორგი გოგიბერიძე 05.11.1990
- გიორგი ჭოხონელიძე 19.09.1991

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ შეროზია 12.06.1961
მწვრთნელი: ვლადიმერ ლიპარტია 30.03.1981

### ზესტაფონი

**მეკარე**
- გრიგოლ ჭანტურია 23.09.1973

**მცველები**
- სევასტი თოდუა 13.05. 1976
- შალვა ლონლაძე 17.08.1978
- როინ ონიანი 14.06.1975
- უჩა ლობჟანიძე 23.02. 1987
- ბოიომო ფრიდოლინი 08.04.1982
- ედსონ სანტოსი 28.10. 1980

**ნახევარმცველები**
- ჟილვან ვიეირა 09.04.1984
- ჟონატას ტორესი 24.04.1984
- ნიკა კვასხვაძე 15.04.1988
- გიორგი ხიდეშელი 23.01.1988
- ნიკოლოზ სტეფანიშვილი 23.04.1981
- ირაკლი ძარია 01.12.1987
- ვაჟა ლომაშვილი 04.09.1985

**თავდამსხმელები**
- ზურაბ იონანიძე 02.12.1971
- ბექა გოცირიძე 12.02.1988
- ნიკოლოზ გელაშვილი 08.05. 1985
- ერიკ-რომეო ჩასემი 02.09.1985

მთავარი მწვრთნელი: თემურ მახარაძე 10.01.1949
მწვრთნელები: ალექსანდრ ალექსეევი 04.04.1947, ალექსანდრე მეშკოვი 29.10.1960 მალხაზ ლონლაძე 14.11.1969

### ოლიმპი (რუსთავი)

**მეკარეები**
- მირზა მერლანი 05.10.1980
- ზვიად სტურუა 25.04.1978

**მცველები**
- გიორგი ონიანი 23.11.1983
- გიორგი სეთურიძე 01.04.1985
- ერნესტ აკუასაგა 16.09.1985
- ნოდარ მაჭავარიანი 26.10.1986
- თეიმურაზ ლონლაძე 21.05.1985
- თენგიზ ჩიკვილაძე 12.08.1983
- აქვსენტი გილაური 06.08.1979

**ნახევარმცველები**
- გიორგი გაბიდაური 06.12. 1979
- დენის დობროვოლსკი 10.10. 1985
- შოთა ბაბუნაშვილი 17.11.1980
- გიორგი ფეიქრიშვილი 23.04.1983
- გიორგი დეკანოსიძე 02.01.1981
- გოგა ფიფია 04.08.1985

**თავდამსხმელები**
- გიორგი მეგრელაძე 21.07.1978
- კოკა მიკუჩაძე 30.11.1980
- გაგა ჩხეტიანი 24.06.1983

მთავარი მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი 06.07.1961
მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე 16.02.1962
მეკარეების მწვრთნელი: გიორგი ბაბუაძე 12.12. 1970

### სიონი (ბოლნისი)

**მეკარეები**
- მინდია ბოგლიაშვილი 02.09.1983
- ზურაბ ქვაჩახია 25.09.1973
- ნიკოლოზ გავაშელი 01.03.1986

**მცველები**
- დავით სვანიძე 14.10.1979
- გიორგი ოქროპირიძე 01.03.1986
- რევაზ ქემოკლიძე 13.03.1979
- გივი დიდავა 21.03.1976
- ვლადიმერ კაკაშვილი 04.09.1980
- მიხეილ კობაური 06.11.1982
- ოთარ ნაყოფია 29.01.1987
- მურმან ძურასბედიანი 11..04.1988

**ნახევარმცველები**
- ლევან ბაჯელიძე 02.10. 1978
- ლევან შავგულიძე 23.11.1980
- არჩილ ალავიძე 10.06.1985
- ლევან სანიკიძე 09.06.1982
- ბექა ნოზაძე 09.02.1982
- ვლადიმერ უგრეხელიძე 24.11. 1985
- ალექსანდრე კოშკაძე 04.12.1981
- გიორგი ჩივაძე 14.06.1984
- გელა ხუბუა 25.01.1984
- ზაზა ჭელიძე 01.12.1987
- ჯონი მიქელაძე 11.11.1984

**თავდამსხმელები**
- შოთა ჯიქია 30.12.1984
- ირაკლი შენგელია 13.04.1984
- სულიკო დავითაშვილი 11.12.1977
- რევაზ გოცირიძე 17.01.1981
- ლევან ჯიქიძე 30.03.1986
- ბესო ქარდავა 12.11.1983

მთავარი მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე 02.09.1959
მწვრთნელები: გიორგი ყიფშიძე 06.08.1961 ბესო უგულავა 27.01.1959, გივი მუშკუდიანი 03.10.1953
მეკარეების მწვრთნელი: დავით ასლანიძე 16.11.1976



ქართულ ფეხბურთში ძალლი პატრონს ვერ ცნობს

### სპარტაკი (ცხინვალი)

**მეკარეები**
- მაქსიმე ძვილითაია 17.09.1985
- გიგა იაშვილი 27.02.1986

**მცველები**
- აკაკი კუპრეიშვილი 04.01.1983
- ბესიკ ხაჭიპერაძე 19.11.1984
- ლაშა მამუკაშვილი 24.05.1985
- გიორგი ნადირაშვილი 27.02.1983
- ვაჟა ძორიძე 05.01.1987
- ირაკლი კობახიძე 06.09.1984

**ნახევარმცველები**
- თორნიკე თარხნიშვილი 30.06.1990
- კობა შალამბერიძე 15.10.1984
- ლაშა ჯანგიძე 11.05.1983
- ლადო დათუნაშვილი 06.03. 1987
- ნუკრი გოგოხია 07.02.1988
- გიორგი თექთუმანიძე 17.09.1990
- ზურაბ ხიზანიშვილი 20.08.1988
- ნიკოლოზ მაისურაძე

**თავდამსხმელები**
- ირაკლი სირბილაძე 22.09.1982
- მამუკა ლონლაძე 25.11.1985
- გიორგი ხიდაშელი §21.11.1985

მთავარი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი 03.01.1962
მწვრთნელები: სერგო გაბელაია 28.05.1961, არჩილ ჩხაბერიძე 24.08.1971, ბადრი დარსაძე 16.04.1969

### ბორჯომი

**მეკარეები**
- ბექა შეყრილაძე 28.11.1983
- კახაბერ ჯინჭარაძე 25.03.1985

**მცველები**
- ზაზა ლაცაბიძე 05.10.1975
- გივი ძარძუზაშვილი 20.09.1986
- ნიკოლოზ ლომიძე 11.06.1987
- ზურაბ გოგოლაძე 08.11.1989
- მამუკა ხითარიშვილი 07.09.1987
- გარი კილაძე 30.06.1991
- ლაშა ბალიაშვილი 21.09.1988
- ვალტერ ხორგუაშვილი 13.08.1987

**ნახევარმცველები**
- კონსტანტინე ავალიანი 20.10.1985
- ლაშა ვაშაკიძე 19.11.1985
- გენო ბეჟანიძე 26.11.1985
- დავით ჯობაძე 07.09.1981
- პავლე ხორგუაშვილი 13.08.1987
- ვახტანგ კეკოშვილი 13.12.1986
- გიორგი ძავთარაძე 01.01.1989
- ილია ლომიძე 04.11.1989
- დავით გოგიჩაიშვილი 04.06.1986
- ნოდარ დევიძე 03.02.1986
- ლევან გაჩეჩილაძე 28.11.1985
- ნოდარ ნოზაძე 11.06.1987

**თავდამსხმელები**
- გიორგი ალავერდაშვილი 23.11.1987
- ირაკლი კიკნაძე 01.02.1987
- თამაზ ნასყიდაშვილი 01.12.1986

მთავარი მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი 24.09.1971

### მესხეთი (ახალციხე)

**მეკარეები**
- გიორგი სომხიშვილი 27.11.1980
- გელა ძამუნაშვილი 31.03.1981

**მცველები**
- ზაზა კობესაშვილი 12.09.1972
- ლევან მერებაშვილი 22.02.1979
- გიორგი მემარნიშვილი 28.03.1982
- თეიმურაზ რაძვიაშვილი 15.10.1983
- დიმიტრი ლეკიშვილი 17.10.1981
- გიორგი ძოჩორაშვილი 05.02.1987

**ნახევარმცველები**
- მიხეილ თაყაძე 21.07.1979
- დავით ინასარიძე 24.02.1976
- კობა ხანიშვილი 29.07.1984
- შოთა გრიგალაშვილი 21.06.1986
- ლევან თედიაშვილი 01.06.1986
- ლაშა ძებაძე 27.08.1983
- მიხეილ ჟლენტი 24.06.1985
- გელა სულაძე 12.05.1979

**თავდამსხმელები**
- ვლადიმერ გოჩაშვილი 05.07.1976
- ბორის გონჩაროვი 08.07.1979
- გურამ სამადაშვილი 05.02.1986
- ლადო ახალაია 26.06.1982

მთავარი მწვრთნელი: კობა თედიაშვილი 15.09.1964
მწვრთნელი ფიზ. მომზადებაში: ზიგმუნდ ზილბერშტეინი 19.01.1966

### ლოკომოტივი (თბილისი)

**მეკარეები**
- გიორგი ლომაია 08.08.1979
- ზურაბ ბათიაშვილი 06.02.1980
- კონსტანტინე სეფიაშვილი 19.03.1986

**მცველები**
- ნიკა გუშარაშვილი 25.07.1983
- დაჩი ფოფხაძე 27.01.1984
- აკაკი ძუხილავა 29.01.1983
- თეიმურაზ ფარულავა 20.07.1983
- ლევან გრიგალაშვილი 27.01.1986
- ალექსი კაიშაური 10.09.1986
- ლევან ჩაგელიშვილი 10.01.1987

**ნახევარმცველები**
- ლევან ცქიტიშვილი 10.10.1976
- ვიტალი დარასელია 27.09.1978
- ირაკლი ჩირიკაშვილი 10.01.1987
- ირაკლი სამხარაძე 12.02.1983
- გიორგი ბარბაქაძე 06.05.1989
- იოსებ გილაური 10.11.1988
- ლევან სალარიძე 08.04.1986
- ზვიად ჩხეტიანი 17.10.1983
- გიორგი ჭელიძე 29.11.1984
- კახა მახარაძე 20.10.1987

**თავდამსხმელები**
- რატი ალექსიძე 03.08.1978
- გიორგი კახელიშვილი 22.05.1987
- დავით ჩაგელიშვილი 10.01.1982

მთავარი მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე 26.04.1976, ზაზა ზამთარაძე 06.09.1976
მწვრთნელი: თამაზ ოდიკაძე 16.05.1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა

# რომელი საუკუნეა?

... ისე, მართლაც, რომელი საუკუნეა? მეოცე ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ და ელემენტარული „რაღაც-რაღაცეების" სწავლა მაინც ვერ მოვახერხეთ. აღარ გვინდა იმ თემაზე ყურადღების გამახვილება, საქართველოს თასის მერვედფინალებისა თუ მეოთხედფინალების საბოლოო შედეგის გასაგებად, ისევ პირადი კავშირები რომ უნდა გამოვიყენოთ (ხშირ შემთხვევაში იგივე სიტუაციაა პირველი ლიგის გათამაშებაშიც); მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რასაც უმაღლესი ლიგის განაცხადების გაცნობისას წავაწყდით. გასაგებია, რომ ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო ეროვნული ჩემპიონატის სტარტი გადაიდო; აქედან გამომდინარე, ბევრი გუნდის განაცხადში გარკვეული ცვლილებაც მოხდა. ზოგმა ბოლო მომენტში რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა, ზოგიც, პირიქით - ვინმეს შეელია. და მაინც: არსებობს კონკრეტული თარიღი, რომლის იქითაც განაცხადში ვერავის დაიმატებ (თავისუფალი აგენტების გარდა). ჩვენთან კი რა ხდება? რა, და პარადოქსები, კურიოზები და ასე შემდეგ. აბა, შეიძლებ, ერთია და იგივე პიროვნება ერთდროულად... ორი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყოს? არ დავკონკრეტდებით ამ პატივცემული მწვრთნელის ვინაობით; ისე, როგორც იმ ფეხბურთელების გვარებს არ ვახსენებთ, ასევე ერთდროულად ორ გუნდში რომ ირიცხებიან. არადა, ვილაცას დაავიწყდა მიენიშნებინა, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი სხვა გუნდშია განათხოვრებული.

განაცხადების გაცნობის მერე, მართლაც გაორებული შთაბეჭდილება დაგვრჩა; რა თქმა უნდა, საინტერესოა ფეხურთელის დაბადების წელის, თვისა თუ რიცხვის გაგება, ისე როგორც წონა-სიმაღლის, ფეხის ზომისა და საცხოვრებელი მისამართის; თუმცა, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, კლუბის წარმომადგენლებს განცხადების შევსებისა და პროფლიგაში ჩაბარების დროს ელემენტარული პასუხისმგებლობა გამოეჩინათ. მაშინ აღარ მოხვდებოდნენ მათი გუნდის განაცხადში ისეთი მოთამაშეები, დღესდღეობით სხვაგან რომ თამაშობენ. იმას ხომ არ ვითხოვთ, გინდათ თუ არა„განაცხადი ამპლუების მიხედვით შეავსეთო-თქო. აბა, ჩვენ, ჟურნალისტები რისთვის ვართ - კეთილი უნდა ვინეოთ და მკითხველს ცივილიზებული სახით მივაწოდოთ თითოეული გუნდის განაცხადი; ისე, წარმოგვიდგენია, რა რეაქცია ექნებოდა მკითხველს, თერთმეტივე გუნდის განაცხადი იმ ფორმით ეხილა, პროფლიგაში რომ არის წარმოდგენილი...

... ზოგიერთ გუნდს განაცხადში ოცზე მეტი ფეხბურთელი ჰყავს, ზოგს კი - სულაც ცამეტი. ნუ გაგიკვირდებათ, რომ იმავე „ვიტ ჯორჯიაში" ან „ზესტაფონში"... საქართველოს ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელთა გვარებს თუ ვერ ამოიკითხავთ. უბრალოდ, ზოგიერთი ეს ახალგაზრდა მოთამაშე ფარმ-კლუბების განაცხადშია - **ირაკლი კლიმიაშვილი, ჯაბა ლიპარტია, როინ კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ლექსო ბენაშვილი...**

გია ტუხაშვილი

### გაგრა

**მეკარეები**
- რევაზ თევდორაძე 14.02.1988
- დავით მამარდაშვილი 17.10.1977

**მცველები**
- დავით გიგაური 15.01.1986
- ნიკა მგელაძე 20.12.1985
- ზაზა ძაჯაია 14.02.1988
- ჯემალ გაბუნია 09.11.1989
- გიორგი კვანტალიანი 06.08.1989

**ნახევარმცველები**
- გიორგი გაბედავა 03.10.1989
- თამაზ ჩარგეიშვილი 12.06.1989
- გიორგი ტყეშელაშვილი 24.08.1985

**თავდამსხმელები**
- ზვიად მეტრეველი 28.11.1985
- ლევან შარიძაძე 16.07.1989
- ზამორა დათუნაშვილი 31.07.1988

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე 04.06.1951
მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე 02.01.-1955
მწვრთნელი ფიზ.მომზადებაში: შალვა ნადირაძე 10.10.1953

# ლილუაშვილი ძირითადში მოხვედრას იმედოვნებს



ირაკლი ლილუაშვილი

**სლოვაკეთის სუპერლიგის მერვე ტურში "ნიტრამ" შინ "კოშიცე" 2:1 დაამარცხა. ირაკლი ლილუაშვილმა მასპინძელთა რიგებში მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ბურთი გაიტანა.**

**- ირაკლი, სლოვაკეთის ჩემპიონატში პირველი გოლი მოსალოცია, მაგრამ ამას გაგრძელება სჭირდება.**

- მწვრთნელი წინა შეხვედრებში ძირითადში არ მათამაშებდა. მხოლოდ რამდენიმე წუთს მაძლევდა ხოლმე. ერთი სული მქონდა, ძირითადში როდის დამაყენებდა. სხვათა შორის, ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ და და ზედიზედ სამი მატჩი წავაგეთ. პრეზიდენტმა რადიკალური ცვლილებები დაიწყო, სამი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, დაგვაჯარიმა... "კოშიცესთან" შეხვედრაში ბევრი რამ ირკვეოდა, რადგან ეს გუნდი ლიდერი იყო და მოგებისთვის გვესტუმრა. როგორც იქნა, ძირითადში მოვხვდი და გავიტანე, 2:1 მოვიგეთ. გამარჯვება ჰაერივით გვჭირდებოდა მოხარული ვარ, ამაში წვლილი რომ შევიტანე. მატჩის შემდეგ მითხრეს, რომ ძირითადში ჩემმა დაყენებამ გაამართლა. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ჩემდამი დამოკიდებულება შეიცვლება.

მესმის, რომ შრომა უნდა გავაგრძელო და ყველაფერი კარგად მხოლოდ მაშინ იქნება. გაზეთთან ინტერვიუსას ჟურნალისტმა კომპლიმენტი მითხრა, რამდენჯერაც "ნიტრას" შემადგენლობაში ითამაშე, გუნდმა იმდენჯერ მოიგო და გვიკვირს, აქამდე რატომ არ გენდობოდნენო. მართალი იყო, რადგან მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ შემადგენლობაში ოთხჯერ დამაყენეს - "ნეფჩისთან" 3:1 მოვიგეთ, ამის შემდეგ კიდევ ორი თამაში იყო და ახლა "კოშიცე" მეოთხე აღმოჩნდა. იმედია, ძირითადში მუდამ დამაყენებენ.

**- სლოვაკეთში ჩემპიონატი ძალიან გვიქე, მაგრამ მოკრძალებული ბიუჯეტის მქონე "ვიტ ჯორჯიამ" სლოვაკეთის ვიცე-ჩემპიონი - სლოვანის "სპარტაკი" დაამარცხა.**

- ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. თამაში ვნახე და ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ "ვიტ ჯორჯიამ" შემთხვევით მოიგო. ვუყურებდი და თვალებს ვერ ვუჯერებდი, მეამაყებოდა, ჩემი ქვეყნის გუნდი ასე გამართულად რომ თამაშობდა. თბილისელებმა ტაქტიკურად, ფიზიკურად ტოლი არაფერში დაუდეს. ლოგიკური იყო ორი მატჩის ჯამში რომ გაიმარჯვეს. "სპარტაკიდან" ჩვენთან არენდით ფეხბურთელი გადმოიყვანეს. ვკითხე, "ვიტ ჯორჯიასთან" რა პრობლემები გქონდათ-მეთქი? ბევრი მიზეზი დამისახელა. შეიძლება წაგება რალაც მიზეზებით გაამართლონ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მაინც მგონია, რომ მთავარი თბილისური გუნდის სიძლიერე იყო. ეს არ იყო ინდივიდუალისტების თამაში. "ვიტ ჯორჯიამ" სწრაფი და დალაგებული ფეხბურთით მოიგო, ესენი კი თავიანთ ჭიებს ცალცალკე ახარებდნენ. ჩვენების გამარჯვებას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა და საქართველოზე რამეს რომ მეკითხებოდნენ, მაშინვე ამ მოგებაზე ვიწყებდი ლაპარაკს. "ვიტ ჯორჯიის" მოგებამ სლოვაკური პრესამ ძალიან გააკვირვა, ჩათვალეს, რომ სენსაცია მოხდა.

სხვათა შორის, პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენ უფრო მეტი ოქრო მოვიპოვეთ, ვიდრე სლოვაკებმა. წერდნენ, ქართველები ომში ჩაითრიეს, მათ ქვეყანაში დიდი გაჭირვებაა და ამის მიუხედავად, ისეთი მებრძოლი სული გამოავლინეს, ოლიმპიადაზე ჩვენზე უკეთ გამოვიდნენო. გუნდის მეორე მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ომის დროს ვარჯიშებზე უძინარი დავდიოდი. სულ ტელეფონზე ვიყავი ჩამოკიდებული. ჩემი მდგომარეობა ყველამ იცოდა და მიხაროდა, ჩემი თანაგუნდელები საქართველოს რომ გულშემატკივრობდნენ. მოდიოდნენ, თანადგომას მიცხადებდნენ.

**- წლევანდელ პირველობაზე "ნიტრას" რა მიზნები აქვს?**

- ცუდად კი დავიწყეთ, მაგრამ სამეულში მოხვედრაზე მაინც ვფიქრობთ. თუმცა ძალიან ძნელი იქნება. "კოშიცესთან" მოგებამ გუნდი გამოაცოცხლა.

**- შენით არ დაინტერესდნენ ფეხბურთის ფედერაციაში?**

- ახალგაზრდულისთვის ასაკი არ მიწყობს ხელს. სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი მაქვს, რომ მოვახერხებ და ნაკრებში მიწვევას დავიმსახურებ. ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი მაქვს.

**- გულახდილად გკითხავ: სურვილი ყველას აქვს, მთავარია, ასეთ პატივს თუ იმსახურებ?**

- როდესაც ძირითადში ადგილს დავიმკვიდრებ, მერე უფრო თამამად ვიტყვი, რომ ჩემი მიწვევა შეიძლება. ალბათ, საზღვარგარეთ მოთამაშე ქართველების გამოსვლას თვალს მიადევნებენ და მეც მათ შორის ვიქნები... ისე არ გამიგოთ, თითქოს გამოძახებას მოვითხოვ. ჯერ ძირითად შემადგენლობაშიც არ ვთამაშობ და პრეტენზია არ მაქვს. მეკითხებიან, რა ხდება, ნაკრებში როდის დაგიძახებენო, იმედია, ამას მალე დავიმსახურებ.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი შამიაშვილი, საბა ადამაშვილი და ილია კანდელაკი

## კურტ რილდი: ქართველებთან თანამშრომლობა გვსურს!

### შტურმი საქართველოში ტალანტებს ეძებს, ერთი უკვე მოძებნა

**ბრაცის „შტურმის" საფეხბურთო აკადემიის პრეზიდენტი კურტ რილდი „ლელოს" თხოვნას დათანხმდა და მისი სკოლის საქართველოსთან ურთიერთობაზე თბილისის „დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის, გია ისიანის დახმარებით გაგვესაუბრა.**

**- როგორც შევიტყვეთ, საქართველოს საფეხბურთო სკოლებთან ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრობთ...**

- დიახ, ასეთი სურვილი გვაქვს. თუმცა ინტერესიდან საქმეზე გადასასვლელად დიდი თანხაა საჭირო. იმედია, უახლოეს პერიოდში ინვესტიციის მოზიდვას მოვახერხებთ.

**- ასეთი შესაძლებლობები დღეისათვის გრანდებს აქვთ. „მანჩესტერ იუნაიტედმა" სკოლა გახსნა ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკაში, „აიაქსმა" ასევე ბრაზილიაში.**

- დიახ, სწორედ ასეთი სახით გვექნება თანამშრომლობა. სამწუხაროდ, საქართველოში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საშუალება დღეს არ გვაქვს. თუმცა გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენს ქვეყანაში თანამშრომლობის სურვილი განხორციელდება და მალე "შტურმის" აკადემია სანიმუშო გახდება.

**- მართალია, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოში ვიზიტს გეგმავთ?**

- დიახ, ჩამოსვლას ვაპირებ, მაგრამ თუ რა მიზნით, შემდგომში ვისაუბროთ.

**- როგორც შევიტყვეთ, 16 წლის ქართველის, საბა ადამაშვილის აყვანას აპირებთ.**

- საბა აკადემიაში გვყავდა და მწვრთნელს ძალიან მოეწონა. ის პერსპექტიული ბიჭია. საფეხბურთო სკოლა მას რეკომენდაციას გაუწევს გუნდში. ფეხბურთელი აგვისტოში 20 დღით გვესტუმრა და თბილისში დაბრუნდა. ახლა ვფიქრობთ, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ, მისი ავსტრიაში დატოვება რომ მოხერხდეს. სამწუხაროდ, ავსტრიის საფეხბურთო სკოლებს უცხოელებზე ლიმიტი აქვთ დაწესებული. საბა ისეთ დროს ჩამოვიდა, როდესაც გუნდი დაკომპლექტებული იყო. ამის გამო კი ახლა თამაშის უფლება არ ეძლევა. ველით შესაფერის მომენტს. პირადად შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ადამაშვილის დამატების სურვილი მაქვს. პრობლემა ისაა, რომ ფეხბურთელი არაევროკავშირელია. მიუხედავად ამისა, ყველაფერს ვილონებ, რომ ქართველი გუნდში დავიტოვოთ.

საბა ადამაშვილი ამჟამად კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპიკის" 1992 წელს დაბადებულთა გუნდში თამაშობს. „კარლო მჭედლიძე ძალიან დამეხმარა იმით, რომ მომცა ვარჯიშის საშუალება და ეს მაშინ, როცა მოედანს ძალიან უფრთხილდება. ავსტრიაში 7 აგვისტოს, ომის დაწყებამდე წავედი და „შტურმის" აკადემიაში ვვარჯიშობდი, ერთხელ დუბლებშიც მომეცა ამის საშუალება. „შტურმის" პრეზიდენტი ჩემით კმაყოფილი იყო. იმედია, მალე აკადემიაში ჩავირიცხები და დიდ ფეხბურთში „შტურმის" დახმარებით მოვხვდები. ჩემით ავსტრიელები გიორგი შამიაშვილმა დააინტერესა. შამიაშვილი და კანდელაკი ძმებივით მექცეოდნენ, მათთან ვცხოვრობდი, ყურადღებასა და სითბოს არ მაკლებდნენ, ვარჯიშებზე დამყვებოდნენ. ამანაც იმოქმედა და თავი ცუდად არ წარმომიჩენია," - გვითხრა ფეხბურთელმა.

მერაბ მამულაშვილი

U 17. ამხანაგური მატჩი

# შეყილაძემ ისევ გამარჯვებისა გაიტანა



| აუსტრია 2-საქართველო | 1:2 |
|---|---|

17 სექტემბერი. ავსტრია.
ბად გლაიზერგი. 50 მაყურებელი

0:1 ძალამიძე (30. შეყილაძის პასით), 0:2 შეყილაძე (33), 1:2 (70. გაბაშვილის პასით)

საქართველო: ნადირაძე, კვეკვესკირი, ფუტკარაძე, ჯიმშელეიშვილი, აფაქიძე (68. ჭანტურია), ელიზბარაშვილი (60. კობახიძე), ანანიძე, ძალამიძე, გაბაშვილი (48. ამაშუკელი), ჩაფიძე (62. ხოჭოლავა), შეყილაძე (58. ჯიშკარიანი).

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები ავსტრიაში მზადებას განაგრძობს. **გელა შეყილაძის** გუნდმა გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ჭაბუკები ამჯერად კერნტენის „აუსტრიის" დუბლებს დაუპირისპირდნენ. როგორც გავიგეთ, თამაში ჩვენი ნაკრების უპირატესობით წარიმართა. ქართველებს უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ **დავით ხოჭოლავამ, ლაშა ჩაფიძემ** და **ნიკა ძალამიძემ** თითო, ხოლო **ირაკლი შეყილაძემ** ორი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

რაც შეეხება გატანილ გოლებს: „ემპოლის" სარეზერვო გუნდის ფორვარდმა ირაკლი შეყილაძემ, რომელმაც წინა შეხვედრაში ჰეთ თრიკი შეასრულა, ამჯერადაც ორივე გოლში მიილო მონაწილეობა. 30-ე წუთზე ნიკა ძალამიძემ სწორედ შეყილაძის პასით გახსნა ანგარიში. მასპინძელთა დაბნეულობით კარგად ისარგებლეს სტუმრებმა და სამ წუთში **კონსტანტინე გაბაშვილის** პასით ამჯერად უკვე შეყილაძემ გაიტანა. ქართველთა ორ გოლს ავსტრიელებმა 70-ე წუთზე ერთით უპასუხეს: მასპინძლებმა მეკარისა და მცველის შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლეს.

გელა შეყილაძის გუნდი ავსტრიაში მზადებას განაგრძობს, საიდანაც 20 სექტემბერს უნგრეთს გაემგზავრება. 22 სექტემბერს შესარჩევი ციკლის ჯგუფურ რაუნდი იწყება.

17-წლამდელთა ნაკრები გუშინ კერნტენის მხარის ვიცე-გუბერნატორმა **გერჰარდ დოფლერმა** მოინახულა, სადაც აღნიშნა, რომ ქართველთა სტუმრობით მოხარულია. მან ავსტრიელი ხალხის სახელით საქართველოს ამ მძიმე პერიოდში თანადგომა გამოუცხადა. ვიცე-გუბერნატორმა ქართულ დელეგაციას სპორტული ინვენტარი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. ვალში არც ჩვენი დელეგაცია დარჩენილა.

დავით ცაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# ის დრო წარსულს ჩაბარდა...



ჩელსი-ბორდო. მალუდას გოლი

**სამშაბათს უპრესტიჟულესი ევროსაკლუბო ტურნირის ჯგუფური ეტაპი დაიწყო. პირველი დღე სენსაციების გარეშე არ ყოფილა. რუმინეთის ჩემპიონმა "კლუჟმა" კრიზისში მყოფ "რომას" "ოლიმპიკოზე" მოუგო, თემურ ქეცბაიას "ანორთოსისმა" კი ბრემენში დამსახურებული ქულა მოიპოვა...**

## A ჯგუფი

### რომა-კლუჟი 1:2

არის შემთხვევები, როცა გუნდები შინაურ პირველობაზე არ ვარგანან, თუმც ევროტურნირებზე თავს გამოიდებენ ხოლმე. ეტყობა, ამის იმედი ჰქონდა "რომას" იმ მცირერიცხოვან გულშემატკივარს, რომელიც სერია A-ში წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, რუმინეთის ჩემპიონთან დაპირისპირების სანახავად შერემონტებულ "ოლიმპიკოზე" მივიდა. "ჯალოროსიმ" დაარღვია დოგმა, რაც იმის ნიშანია, რომ კრიზისი გაცილებით ღრმაა, ვიდრე წინა თამაშში გამოჩნდა.

**ლუჩანო სპალეტიმ** დაცვის ცენტრში ვერ დააყენა **ფილიპ მექსე** და **ჟუანი**. შეიძლება, ესეც იყო ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტთან "რომას" დაცვის გარღვევის ერთ-ერთი მიზეზი. ამას გარდა, ნახევარდაცვას აკლდნენ **სიმონე პეროტა** და **დავიდ პისარო**, **ფრანჩესკო ტოტი** კი სპალეტიმ რეზერვში დასვა, იმ იმედით, რომ მეტოქეს კაპიტნის გარეშეც გაუსწორდებოდა. მას მაინც მოუხდა ტოტის შემოყვანა, თუმცა ფორმაში არმყოფ ლიდერს არაფერი გამოუვიდა. ერთ ეპიზოდში ის პენალტის პროვოცირებას ცდილობდა, როგორც სჩვევია ხოლმე, მაგრამ არბიტრმა ყურადღება არ მიაქცია. "რომა" ვერა და ვერ დაიქოქა. როგორც ჩანს, იტალიის ვიცე-ჩემპიონი ფსიქოლოგიურადაც არაა მომზადებული.

"კლუჟის" იტალიელმა თავკაცმა **მაურიციო ტრომბეტამ** კი, როგორც კალჩოს სამწვრთნელო სკოლის აღზრდილმა, კარგად იცოდა, როგორ უნდა ეთამაშა თანამემამულეების წინააღმდეგ. ცხადია, მან კონტრშეტევები აირჩია, მაგრამ თუ დააკვირდით, რუმინელებმა ყრუ დაცვაში ჩაჯდომის ნაცვლად, მთავარი ბასტიონი მოედნის ცენტრში შექმნეს...

ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა. **კრისტიან პანუჩი** ცენტრფორვარდის პოზიციაზე აღმოჩნდა, წამით დაასწრო მცველს და "რომა" თავური დარტყმით ახეირა. როგორც ჩანს, სპალეტის ბიჭებმა ჩათვალეს, რომ ანი წინ ველარავინ დაუდგებოდათ და ცოტა მოეშვნენ. ამ გულარხეინობამ დალუპა კიდეც ისინი. სტუმართაგან თავი გამოიჩინა არგენტინელმა **ხუან კულიომ**, რომელმაც პანუჩის გოლს ორმაგად უპასუხა. სხვათა შორის, მისი ორივე გოლი რალაცით ჰგავდა ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ "ჯალოროსის" დაცვამ პირველ ეპიზოდში დაშვებული შეცდომა ვერ გააცნობიერა. გუშინ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა: რუმინელებმა გადაწყვიტეს, არგენტინელს მოქალაქეობა მისცენ და ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიონ.

27-ე წუთზე არგენტინელმა ყველაფერი თავად გააკეთა - კარგად გაითავისუფლა თავი მეურვეებისგან და **ალეშანდრე დონის** შორეულ მარცხენა დაბალ კუთხეში დაურტყა - 1:1. მეორე ეპიზოდში კი გაუგებარი იყო **მარკო კასეტის** მოქმედება, როცა ის თავით ცდილობდა საჯარიმოდან ბურთის გამოტანას, მაგრამ პირდაპირ კულიოს დაასვა ფეხზე. დანარჩენი წინა მომენტის მსგავსი იყო - 1:2.

თამაშის დასრულებამდე ლამის მთელი ტაიმი იყო დარჩენილი, მაგრამ "რომას" ღირებული არაფერი გაუკეთებია. მატჩის შემდეგ სპალეტიმ მარცხი "პალერმოსთან" ჩაფლავებას შეადარა: *"დღეს თითქოს რაღაც გამოგვდიოდა, მაგრამ დიდწილად ჩვენი სათამაშო სისტემა მოშლილი იყო. მხოლოდ 10-წუთიანი მონაკვეთი გვქონდა პირველ ტაიმში, როცა შევძელით, რუმინელებისთვის ჩვენი თამაში მოგვეხვია თავს. ასე იყო "პალერმოსთან" მატჩშიც. მეტოქემ ამჯერადაც კარგი ფეხბურთი ითამაშა, უფრო სწორად, ჩვენ მივეცით ამის საშუალება. მეორე გოლის ეპიზოდში მათ აშკარად გაუმართლათ. ამის შემდეგ ჩვენ საკუთარი ძალების რწმენა დავკარგეთ და ძლიერი მხარეების დემონსტრირება ვერ შევძელით. ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, ფსიქოლოგიური პრობლემებიც გვაქვს. ერთადერთი პოზიტიური მომენტი ის იყო, რომ ჩემი ფეხბურთელების სახეზე ნაღველი დავინახე... ეს კარგად მენიშნა. ვფიქრობ, "ბორდოსთან" მატჩამდე სასურველ ფორმას მივუახლოვდებით. თუ შეცდომებზე სწორად ვიმუშავებთ, დაუძლეველი პრობლემები აღარ გვექნება".*

რუმინელთა მწვრთნელმა ტრომბეტამ კი თამაში ასე შეაჯამა: *"ჩვენ მივაღწიეთ ისეთ შედეგს, რომელსაც მატჩამდე არავინ ელოდა. ფრესაც კი უდიდეს წარმატებად ჩავთვლიდით, მაგრამ თამაშმა აჩვენა, რომ თურმე 3 ქულასაც ვიმსახურებდით. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედ იოან ანდონეს, რომელმაც ეს გუნდი რუმინეთის ჩემპიონი გახადა... ჩვენი მიზანი უეფას თასზე გადასვლაა. საამისოდ, ჯგუფში მესამე ადგილი უნდა დავიკავოთ. ახლა მეორეზე ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამოცანა შესრულებადია. დღევანდელ მატჩში გამარჯვების მთავარი წინაპირობა კი ის იყო, რომ მეტოქეს სივრცეები შევუზღუდეთ. ჩვენ შესწავლილი გვყავდა "რომა" და ვიცოდით, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვეძლო წარმატების მიღწევა. თამაშის დროს კი გამოჩნდა, რომ მეტოქეს სხვა პრობლემებიც ჰქონდა. ჰოდა, ჩვენც გამოვიყენეთ მისი სისუსტეები. როგორც კი ანგარიში გავათანაბრეთ, აღმოვაჩინეთ, რომ მეტიც შეგვეძლო. მოხარული ვარ, რომ ბიჭები პროფესიულად მიუდგნენ საქმეს და მცირედით არ დაკმაყოფილდნენ".*

### ჩელსი-ბორდო 4:0

"ჩელსი" ბრწყინვალე ფორმაშია. არ არის "ბორდო" ის გუნდი, რომელიც იოლად შეიძლება დაჩაგრო. მას მერე, რაც ერთი წლის წინ ჟირონდელთა მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი** გახდა, ბევრი რამ შეიცვალა და საფიქრებელი იყო, რომ "სტემფორდ ბრიჯის" პატრონებს გაუჭირდებოდათ ფრანგული კლუბის დამარცხება. მაგრამ თავიდანვე ყველაფერი ისე აეწყო, როგორც **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ჰქონდა დაგეგმილი - არანაირი დაზვერვა, მხოლოდ აგრესია და სწრაფი გოლი.

მწვრთნელის სურვილი თუ დავალება **ფრენკ ლემპარდმა** აასრულა, რომელმაც **ჟოზე ბოსინგვას** ჩაწოდებულს თავური დაჰკრა და გამოცდილი მეკარე **ულრიხ რამე** უსაქმოდ დატოვა. თუმც კიპერზე მეტად გოლში დანაშაული მიუძღვით მცველებს, რომლებიც სიტუაციაში ვერ გაერკვნენ. ბორდოელ უკანახაზელებს შორის ანალოგიური დაბნეულობა სუფევდა მეორე გოლის დროსაც, როცა **ჯო კოულმა** ტაბლოზე 2:0 აანთო.

მეორე ტაიმში უფრო მეტი სიფრთხილისთვის სკოლარიმ შეტევაზე ორიენტირებული **დეკუ მიხაელ ბალაკით** შეცვალა, რომელსაც ძირითადად ნახევარდაცვის გამაგრება ევალებოდა. "ჩელსი" თავსაც გაუფრთხილდა და თამაშის ბოლოს კიდევ ორი გოლი "გამოაცხო": ჯერ **ფლორან მალუდამ** დაარტყა მახვილი კუთხიდან, მერე კი **ნიკოლა ანელკა** ხარიხიდან ასხლეტილ ბურთთან პირველი გაჩნდა - 4:0.

სკოლარი შთამბეჭდავი სტარტით ძლიერ გახარებული იყო: *"დასაწყისი ბრწყინვალეა. თამაშიც, ანგარიშიც... მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც "ჩელსის" შეეფერება. არასოდეს იცი, რა მოხდება საფეხბურთო მატჩში. ვინ იფიქრებდა "რომას" საშინაო მარცხს? ამიტომ, ჩვენ თავიდანვე სერიოზულად მივუდექით საქმეს. შედარებით უარესი იყო მეორე ტაიმი. ძალიან ხშირად ვკარგავდით ბურთს და მეტოქე ოდნავ ძლიერი რომ ყოფილიყო, დაგვსჯიდა კიდეც. კარგი იყო, რომ თამაშის ბოლოს ისევ გამოვცოცხლდით და ორი გოლი შევაგდეთ. იმედია, ამის შემდეგ ფეხბურთელები დარწმუნდებიან, რომ წარმატების გასაღები სწორედ ასეთ აქტიურ თამაშია".*

ლორან ბლანს დანა პირს არ უხსნიდა. მსოფლიო ჩემპიონი აშკარად მეტს ელოდა თავისი ბიჭებისგან: *"4:0 ის ანგარიშია, რომელსაც ბევრი კომენტარი არ სჭირდება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით, რასაც წარმოადგენდა "ჩელსი", ვიცოდით მისი ძალა, ვიცოდით მისი სუსტი და ძლიერი წერტილები... მაგრამ მომეჩვენა, რომ სითამამე გვაკლდა. რატომ? არ ვიცი. ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავს... ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ უფრო აქტიურები და აგრესიულები ვყოფილიყავით. მეორე ტაიმში ამის შანსი თავად მეტოქემ გვიბოძა, სამწუხაროდ... თუმცა ეს მატჩი უკვალოდ ნამდვილად არ ჩაივლის. ჩვენ სასარგებლო გაკვეთილი მივიღეთ".*

**11 ოქტომბერი**
**ბორდო-რომა**
**კლუჟი-ჩელსი**

## B ჯგუფი

### პანათინაიკოსი-ინტერი 0:2

**ჟოზე მოურინიოს** "ინტერმა" თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა "პანათინაიკოსს" და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გამარჯვებით დაიწყო. "ნერაძურიმ" კარგად ითამაშა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე კარგად, ვიდრე სერია A-ს პირველ ორ მატჩში. ჟოზემ გუნდი ფსიქოლოგიურად კარგად განაწყო. მოგეხსენებათ, ბერძენი გულშემატკივრის წინაშე თამაში ჯოჯოხეთია და აქ ბევრ გრანდს წაუტეხია კისერი, მაგრამ "ინტერი" მთელი 90 წუთის განმავლობაში აკონტროლებდა მოედანს და მიუხედავად მასპინძელთა რამდენიმე მცდელობისა (ერთ ეპიზოდში ბურთი ხარიხას მოხვდა, ორ-სამჯერ კი მეკარე **ჟულიო სეზარმა** იყოჩაღა), გამარჯვებულის ვინაობაზე ეჭვის საფუძველი ნაკლებად გვქონდა.

გოლი არ გაუტანია, მაგრამ მატჩის გმირად მაინც **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** დავასახელებდით. **ამანტინო მანსინიმ** და **ადრიანომ** სწორედ მისი ძალისხმევის შედეგად იხეირეს. საგოლე პასი რა გასაკვირი უნდა იყოს, ვის არ გაუკეთებია, მაგრამ ზლატანის შემოქმედება უდავოდ ხაზგასმას იმსახურებს. 27-ე წუთზე მან მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოიგო და წინ გაიჭრა, გზად ლამაზად გააბითურა (ბურთი თავზე გადაუგდო) ჯერ ერთი ბერძენი, საჯარიმოში კი მეორეც მიაყოლა და მანსინის დაუგორა. ამას კი პრობლემა არ ჰქონია - 0:1.

იბრას მეორე შედევრი ვნახეთ თამაშის მიწურულს, როცა რამდენიმე მცველის გარემოცვაში მყოფ ადრიანოს იუველირული სიზუსტის გადაცემა გაუკეთა, ბრაზილიელი კი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ამით ყველაფერი დამთავრდა - 0:2. სხვა მხრივ, საინტერესო სანახავი იყო მოედნის ცენტრში ორი ყოფილი არსენალელის - **პატრიკ ვიეირასა** და **ჟილბერტო სილვას** დაპირისპირება. უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში "პაოს" მცირედი დომინირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჟილბერტოს უკეთესი გარჯა იყო.

გარდა თავისი გუნდის გამარჯვებისა, მოურინიომ ჟურნალისტების ყურადღება მიაპყრო ბრემენულ მატჩს, რომელშიც "ვერდერმა" "ანორთოსისის" დამარცხება ვერ შეძლო: *"ვთვლი, რომ ჩვენ საკმარისი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის, არც მეტი, არც ნაკლები. ეს არის სწორედ "ინტერის" კლასი. ბედნიერი ვარ ჩემი გუნდის თამაშით. შეხვედრის ხასიათი ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა. მე ვნახე "სპარტასა" და "პანათინაიკოსის" მატჩი, ასე რომ, რთულ დაპირისპირებას ველოდით. როგორც ნახეთ, თამაშისთვის კარგად მოვემზადეთ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ის, რაც ბრემენში მოხდა. ამ გადასახედიდან შემიძლია გითხრათ, რომ თუ სამივე საშინაო მატჩს მოვიგებთ, სანერვიულო არაფერი გვექნება".*

ბერძნების მწვრთნელი **ჰენკ თენ კატე** უიღბლობაზე წუწუნებდა: *"დააკვირდით, მათ სამი საგოლე მომენტი ჰქონდათ და აქედან ორი გამოიყენეს. ჩვენ კი სამი-ოთხი შანსი გავანიავეთ. აი, ეს იყო ამ მატჩის მთელი ისტორია".*

### ვერდერი-ანორთოსისი 0:0

იყო დრო, კვიპროსული კლუბი 3:0-ს რომ წააგებდა, დიდ მიღწევად ითვლებოდა. სხვათა შორის, ფამაგუსტას „ანორთოსისი“ 1975 წელს ერევნის „არარატთან“ სულაც 9:0 დამარცხდა. მაგრამ ეს დრო უკვე წარსულს ჩაბარდა. დღეს კვიპროსის ნაკრებიც სერიოზული ძალაა და საქართველოს ეროვნული გუნდი ამაში მალე დარწმუნდება. რაც შეეხებათ კლუბებს, ჩვენდა საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ქართველი მწვრთნელის ხელში მოახერხა კვიპროსულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა, რაც კუნძულელებისთვის საზღაპრო ამბავია. ამ მიღწევის მთავარი შემოქმედი კი **თემურ ქეცბაიაა**. დღევანდელობას მან ორი წლის წინ ჩაუყარა მყარი საფუძველი, როცა „ანორთოსისმა“ უეფას თასზე დიდი ბრძოლები გამართა. პროგრესის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ „ვერდერთან“ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ტრადიციულმა კვიპროსულმა გრანდმა აპოელ-მა „შალკესთან“ სა-


პანათინაიკოსი-ინტერი. ორივე საგოლე პასი იბრაჰიმოვიჩმა გააკეთა

## უცხოური ფეხბურთი


ეინდჰოვენი-ატლეტიკო.
ლუის გარსია და სერხიო აგუერო

უეფასთასო შეხვედრაში შინ 1:4 წააგო, ფამაგუსტელებმა კი ბრემენში უგოლო ფრე „გააგორეს". მოგეხსენებათ, „ვერდერი" ის გუნდია, რომელიც მოედანს იშვიათად ტოვებს უგოლოდ, თუმცა იშვიათად ახერხებს კარის მშრალად შენახვასაც. ბრემენელებს ტრადიცია სწორედ „ანორთოსისმა" დაარღვევინა.

**თომას შააფი** გაბრაზებული და იმედგაცრუებული იყო: *„ჩვენ სულ სხვა შედეგს ვგეგმავდით, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერი გავაწყვეთ. თუმცა არა მგონია, დღევანდელმა შეხვედრამ ჯგუფში ძალთა განლაგება შეცვალოს. ჩვენი ამოცანა უცვლელი რჩება. მხოლოდ ეგ არის, რომ ამ ორი ქულის დაკარგვამ ეს ამოცანა ცოტათი გაგვირთულა. არადა, ვიცოდით, რომ „ანორთოსისი" რთული მეტოქე იქნებოდა. გამარჯვების გოლის გასატანად გაწყობილება გვაკლდა. სწორედ ამის ბრალია, რომ ხუთი-ექვსი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ".*

თემურ ქეცბაია ისტორიული ქულით აღფრთოვანებას ვერფარავდა: *„ვულოცავ ჩემს ფეხბურთელებს და ვამაყობ მათი თავდადებით. ძლიერი გუნდის წინააღმდეგ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ამით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შემთხვევით არ გავსულვართ. დღეს „ანორთოსისის" მთავარი ღირსება მაღალი კონცენტრაცია და დაცვაში ზუსტი თამაში იყო. სწორედ დაცვის ცენტრში დელასის დაყენება მიმაჩნია სწორ ნაბიჯად. თამაშმა აჩვენა, რომ ეს არჩევანი გამართლებული იყო".*

**1 ოქტომბერი**
**ანორთოსისი-პანათინაიკოსი**
**ინტერი-ვერდერი**

**C ჯგუფი**

**ბარსელონა-სპორტინგი 3:1**

**ხოსეპ გვარდიოლა** წევრი იყო იმ „ბარსელონისა", რომელმაც 1992 წელს ჩემპიონთა ლიგის პირველი გათამაშება მოიგო. ამჯერად, როგორც მწვრთნელმა, მან პირველად გაიყვანა გუნდი მოედანზე მთავარი ევროტურნირის მატჩში.

კატალონიელებმა პრიმერა დივიზიონი კატასტროფულად დაიწყეს. ის რისხვა, რაც გულშემატკივრებისა და მედიისგან წამოვიდა, აბსოლუტურად დამსახურებულია. „ბარსა" უბრალოდ ვალდებული იყო, გაემარჯვა და შთამბეჭდავადაც ეთამაშა. გამარჯვება სახეზეა, მაგრამ რაც შეეხება სანახაობას, რაზეც ეს გუნდი არასოდეს ამბობდა უარს, გვარდიოლას გუნდი ჯერ შორსაა...

ახალბედა მწვრთნელმა საბრძოლო შემადგენლობა დააყენა. თავდასხმაში ერთბაშად **ლიონელ მესი, სამუელ ეტო'ო** და **ტიერი ანრი** ვიხილეთ. სამივემ თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში, თუმცა ამ შემთხვევაშიც დავძენთ, რომ „ბარსას" ქომაგებს ეს შესანიშნავი ტრიო ასეთ ფორმაში არ აკმაყოფილებს.

ანგარიში **რაფაელ მარკესის** თავურით გაიხსნა. მექსიკელმა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ისე დაჰკრა თავური და შორეულ კუთხეში ჩასვა, არც ამხტარა. მეორე ტაიმში „ბარსას" სასარგებლოდ საეჭვო პენალტი დაინიშნა. ეტო'ოზე წესის დარღვევა არცთუ თვალსაჩინო იყო, მაგრამ კამერუნელს ეს ნაკლებად აინტერესებდა. მან თავად შეასრულა 11-მეტრიანი და გვარდიოლა ცოტათი ამოასუნთქა. სიტუაცია დაიძაბა 71-ე წუთზე, როცა პორტუგალიელმა **ტონელმა** ფლანგური პასის შემდეგ ახლო მანძილიდან შეაგდო. მაგრამ „ბარსას" სულზე მიუსწრო **ჩავი ერნანდესის** გოლმა. ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე **ანდრეს ინიესტას** გასწორივ გადაცემას ჩაუწვა და 3:1.

ნამატჩევს გვარდიოლამ აღნიშნა, რომ პრიმერა დივიზიონის ნეგატიური სტარტი გუნდს გარკვეულწილად დაეხმარა იმაში, რომ „სპორტინგს" მობილიზებული დახვედროდა: *„ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ და სწორედ ეს ფაქტი გახდა ფეხბურთელებისთვის მოტივაციის საბაბი. ასე გაგრძელება მართლაც აღარ შეიძლებოდა. ახლა პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ ჯერ ადრეა დასკვნების გაკეთება. წინა ორ მატჩში ჩვენი მთავარი ნაკლი მომენტების გამოუყენებლობა იყო. დღესაც უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით და სასიხარულოა, რომ ამჯერად რეალიზების პროცენტი გაცილებით მაღალი გვქონდა. 2:1-ის დროს იყო საშიშროება, რომ ნამიერი მოდუნება მეორე გოლადაც დაგვჯდომოდა... გამარჯვება გვჭირდებოდა საკუთარ ძალებში დასარწმუნებლადაც. როცა ზედიზედ ვერ იგებ თამაშებს, ნერვიულობა გიპყრობს. ამიტომ, რაც შეიძლებოდა დროზე უნდა დამთავრებულიყო ეს კოშმარი".*

რა თქმა უნდა, „სპორტინგის" მწვრთნელმა **პაულო ბენტუმ** ყურადღება ეტო'ოს პენალტზე გაამახვილა: *„გაიხსენეთ, რა დროს დაინიშნა 11-მეტრიანი: მაშინ, როცა ჯერ კიდევ 1:0-ს ვაგებდით და გვქონდა შანსი, თამაში ჩვენთვის სასურველი სცენარით წარგვემართა. მაგრამ იმ პენალტმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. მე არ ვამბობ, რომ ჩემი გუნდი დღეს „ბარსაზე" ძლიერი იყო. მაგრამ ჩვენ შეგვეძლო, ფანებისთვის სიურპრიზი შეგვეთავაზებინა".*

**ბაზელი-შახტარი 1:2**

6 წლის წინ **კრისტიან გროსის** „ბაზელი" ჩემპიონთა ლიგაში ანგარიშგასაწევი ძალა იყო, მაგრამ ახლა, იმავე გროსის ხელმძღვანელობით, გუნდი გაცილებით სუსტად გამოიყურება. უკრაინელ მეშახტეებს სოლიდური ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება. მათი ორი გოლი კი შვეიცარიელთა გოლკიპერის სინდისზეა. პირველ ეპიზოდში მან 35 მეტრიდან დარტყმულზე რეაქცია დააგვიანა, ხოლო შემდეგ ფლანგური საჯარიმო ჩაწოდების დროს ისე გაუშვა გოლი, ბურთი არავის შეხებია.

მატჩის შემდეგ „ბაზელის" მწვრთნელმა აღიარა, რომ დონეცკელთა გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია: *„მეტოქეს ძალიან დიდი სივრცე დავუთმეთ, ხოლო ის დაწოლა, რასაც ჩვენთვის შედეგი უნდა მოეტანა, მხოლოდ ტაიმების დასაწყისში განვახორციელეთ. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში გამარჯვება წარმოუდგენელია. ასე რომ, „შახტარის" 3 ქულა სრულიად სამართლიანია. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, დღევანდელი შეცდომები გავითვალისწინოთ და მომავალში გამოვასწოროთ".*

„შახტარის" რუმინელი წინამძღოლი **მირჩა ლუჩესკუ** სხვა ფეხბურთს ელოდა: *„ჩვენი გათვლით, ქომაგების მიერ შეგულიანებული მასპინძლები თავიდანვე შემოგვიტევდნენ, მაგრამ მოხდა საპირისპირო - პირველი ტაიმი ჩვენი კარნახით წარიმართა. მეორე ნახევარში „ბაზელი" უკეთესი იყო, ჩვენ კი აქტიურობას მოვუკელით. განბილებული ვარ იმის გამო, რომ მატჩის ბოლო გოლი გავუშვით. მართალია, საბოლოო შედეგზე ამას გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ კონცენტრაცია ბოლომდე ვერ შევინარჩუნეთ. ეტყობა, საჭიროა, ჩემს ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ მატჩი მთავრდება მაშინ, როცა არბიტრის საფინალო სასტვენის ხმა გაისმება".*

**1 ოქტომბერი**
**შახტარი-ბარსელონა**
**სპორტინგი-ბაზელი**

**D ჯგუფი**

**მარსელი-ლივერპული 1:2**

"ლივერპულმა" უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გუნდთან, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს. გამარჯვება მნიშვნელოვანია **სტივენ ჯერარდისთვისაც**, რომელიც ბოლო ხანს ტრავმის გამო არ თამაშობდა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" შაბათის მატჩში **რაფა ბენიტესმა** მხოლოდ 22 წუთით გაიყვანა მოედანზე. კაპიტანი მთელი თავისი ბრწყინვალებით დაბრუნდა. მარტო მისი პირველი გოლი რად ღირს: 26-ე წუთზე მან 20 მეტრიდან ისე მოუქნია ბურთს, კარისკენ არც გაუხედავს. "მარსელის" მეკარე, ჯერარდის სეხნია **სტივ მანდანდა** გაოგნებული შესცქეროდა ბურთის ტრაექტორიას. გუნდის გადასარჩენად მას მხოლოდ მინიმალური შანსი ჰქონდა (ან ჰქონდა კი?). მეტი რა ვთქვათ, ჯერარდის შედევრის ფურცელზე გადატანა და ზუსტად გადმოცემა შეუძლებელია, ეს უნდა გენახათ...

ჯერარდის გოლი იყო პასუხი იმაზე, რაც სამი წუთით ადრე მოხდა. საერთოდ, "მარსელმა" მაღალ ტემპში დაიწყო თამაში და პირველ გოლამდე უკეთაც გამოიყურებოდა. 23-ე წუთზე **ბრუნო შეირუმ** იდეალური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **ლორიკ კანა**, რომელსაც ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. ალბათ, **ერიკ გერეტსს** იმედი გაუჩნდა, რომ შარშან "ლივერპულთან" წაგებული 4:0-ის გამო რევანშს აიღებდა...

მაგრამ ჯერ იყო ჯერარდის ბრწყინვალე გოლი, მერე კი ულაპარაკო 11-მეტრიანი, რაც **რაიან ბაბელის** საჯარიმოში შეჭრას მოჰყვა. ჯერარდმა მისთვის საყვარელ მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ამით მან "ლივერპულის" მაისურით გატანილი გოლების რაოდენობა 99-მდე აიყვანა.

მეორე ტაიმში მასპინძლები უკეთ თამაშობდნენ. მოვლენათა ეპიცენტრი ძირითადად "ლივერპულის" საჯარიმოს მისადგომები იყო. "წითლებისთვის" განსაკუთრებით მძიმედ ჩაიარა ბოლო 10-მა წუთმა, როცა **პეპე რეინას** კარი რამდენჯერმე გადაურჩა გოლს.

ბენიტესმა თამაში ასე შეაჯამა: *"ამგვარ ტურნირში პირველი მატჩი ყოველთვის მნიშვნელოვანია და მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ, თანაც სტუმრად. მეორე ტურის წინ ეს მომგებიან პოზიციაში გვაყენებს. შეგვეძლო, მესამე გოლიც გაგვეტანა და მშვიდად ვყოფილიყავით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, მატჩის ბოლოს შტურმი მივიღეთ და ლამის დავისაჯეთ. კმაყოფილი ვარ იმით, რომ კარგად ავაწყვეთ კონტრთამაში, დაცვაში კი საიმედოდ გამოვიყურებოდით. რაც შეეხება ჯერარდის გოლს, ის უბრალოდ ფანტასტიკური იყო. საერთოდაც, მან შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ დიდწილად ეს გუნდის დამსახურებაა. დიახ, პირველ რიგში, სწორედ გუნდმა ივარგა... თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩვენ გაცილებით უკეთაც შეგვიძლია თამაში. ეს ჯგუფი ძირითადად თანაბარია. "მარსელი" საკმარისად ძლიერია საიმისოდ, რათა ამ მოედანზე ჩვენს ძირითად კონკურენტს, "ატლეტიკოს" ქულები დააკარგვინოს, ან სულაც დაამარცხოს".*

ერიკ გერეტსი განბილებული იყო. ბელგიელი თურმე გამარჯვებას ელოდა: *"იმედგაცრუებული ვარ. მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით, პირიქით, მოგებაც შეგვეძლო. რამდენიმე საგოლე მომენტი გავაფუჭეთ. ჩემმა გუნდმა დაამტკიცა, რომ "ლივერპულთან" ტოლსწორად შეუძლია თამაში, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ არის. ჯერარდი? მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის ჩვენი მეტოქე იყო და თან ორი გოლიც გაგვიტანა, არ შემიძლია დავმალო ის აღფრთოვანება, რასაც ჩემში ამ ფეხბურთელის თამაშის ყურება იწვევს. მე არ ვიცი, რამდენი მოთამაშეა მსოფლიოში, რომელსაც ასეთი გოლის გატანა შეუძლია".*

**ეინდჰოვენი-ატლეტიკო 0:3**

"ატლეტიკო" ჩემპიონთა ლიგაში ხმაურიანი გამარჯვებით დაბრუნდა. ეს იყო "როხიბლანკოს" პირველი სალიგო გამარჯვება ბოლო 11 წლის განმავლობაში. **ხავიერ აგირემ** გუნდი ბრწყინვალედ მო[illegible] ეტყვით მის ვიზავიზე. **ჰუუბ სტევენსის** "ეინდჰოვენი" ისე შორსაა **გუუს ჰიდინკის** სამი წლის წინანდელი გუნდისგან, როგორც ცა და დედამიწა. თუმცა "შალკესა" და "ჰერტას" ყოფილ მწვრთნელს უნდა გავუგოთ. კლუბმა ბევრი ისეთი მოთამაშე გაასხვისა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება ჰქონდა...

"ატლეტიკო" კი უბრალოდ ბრწყინვალე იყო, აბსოლუტურად ყველა რგოლში. მაგალითად, დაცვა იმდენად გამართულად მუშაობდა, "ეინდჰოვენის" ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ, მეტოქის კარზე შორი მანძილიდან მიეტანათ იერიში. მეორე ტაიმში ერთიორი ასეთი მცდელობის დროს მეკარე **ლეო ფრანკოს** თავისი ოსტატობის დემონსტრირებაც მოუხდა.

მატჩის გმირად კი **სერხიო აგუერო** იქცა. თამაშის დასაწყისში მან მარტივ სიტუაციაში გაიტანა, როცა **ჯონი ჰეიტინგას** გასწორივი პასი მიიღო და **ეერემი ბრეშეს** შეცდომითაც ისარგებლა. აგუეროს მეორე გოლს უფრო მეტი შრომა დასჭირდა. არგენტინელმა საჯარიმოში მიიღო პასი **ფლორან სინამა-პონგოლესგან**, რომელიც ტრავმირებული **დიეგო ფორლანის** ნაცვლად სულ ერთი წუთის შესული იყო მოედანზე. აგუერომ კარგად მოირგო ბურთი, შემოტრიალდა და შორეული კუთხისკენ გაისროლა. მეორე ტაიმში თამაშს წერტილი დაუსვა "ინტერიდან" დაბრუნებულმა **მანიშემ**, რომელიც **ლუის გარსიას** პასით საჯარიმოში შეიჭრა და **ანდრეას ისაკსონს** მესამედაც მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა.

ხავიერ აგირეს მთავარ ამოცანად ეიფორიული მუხტის განეიტრალება მიაჩნია: *"ბრწყინვალე შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ სამი გოლი გავიტანეთ და შეტევაში თავისთავად ძლიერად ვმოქმედებდით, ძალიან კმაყოფილი ვარ უკანა ხაზის თამაშითაც. ახლა მთავარია, ამ გამარჯვებამ ეიფორიაში არ ჩაგვაგდოს და არ დაგვაჯეროს, რომ ყველაფერი შეგვიძლია. მე მწამს ჩემი ბიჭების პროფესიონალიზმის... უკვე დროა, ფოკუსირება გავაკეთოთ პრიმერა დივიზიონზე. ფორლანს რაც შეეხება, სამწუხაროა მისი ტრავმა და ამაზე პასუხისმგებლობას მეც ვიღებ. ურუგვაის ნაკრებიდან ის გადაღლილი დაბრუნდა და ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო... მაგრამ მას ძალიან უნდოდა თამაში".*

ჰუუბ სტევენსის კომენტარი: *"ჩვენ ვიცოდით, რაოდენ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში. ასეთ პირობებში, ადრეული გოლის გაშვებამ ჩემს გუნდზე მომაკვდინებლად იმოქმედა. "ატლეტიკო" მცირე სივრცესაც არ გვიტოვებდა. მათ გვაიძულეს, შეცდომები დაგვეშვა... მაგრამ არა უშავს, ეს ჩვენთვის გაკვეთილი იყო. ყველაფერი დაწვრილებით უნდა გავაანალიზოთ. მინდა, რომ "ეინდჰოვენმა" მომავალში უფრო სხვა ფეხბურთი ითამაშოს. გუნდს საამისო რესურსი ნამდვილად აქვს".*

**1 ოქტომბერი**
**ატლეტიკო-მარსელი**
**ლივერპული-ეინდჰოვენი**

გვერდები მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**


მარსელი-ლივერპული. ჯერარდის ფანტასტიკური დარტყმა

ინტერი

# მოურინიოს მომაკვდინებელი ტრიო

## ეს უკვე სხვა საქმეა



ჟოზე მოურინიო

მილანის „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში შესანიშნავი სტარტი აიღო. ლომბარდიული კლუბი ათენს ესტუმრა და ადგილობრივი „პანათინაიკოსი“ დამაჯერებლად დაამარცხა. „ლელოს“ ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ **მოურინიოს** გუნდს იტალიურ პრესაში კრიტიკა არ აკლია, თუმცა სამშაბათის შეხვედრამ ამ მხრივ ბევრი რამ შეცვალა. კერკეტ „პანათინაიკოსს“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე თბილისის „დინამოს“ ბარიერი გადალახა, მილანელებმა შანსი არ დაუტოვეს და ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. განსაკუთრებით კარგად **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ითამაშა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოსნიური წარმოშობის შვედს გოლი არ გაუტანია. სამაგიეროდ, ზლატანმა ორი საგოლე პასი გააკეთა, რითაც გუნდის მთავარი მწვრთნელი, ჟოზე მოურინიო ალაფრთოვანა. პორტუგალიელს მატჩის შემდეგ კომენტარები ჩამოართვეს, მის ნააზრევს აქვე გთავაზობთ: „იმედი მაქვს, კრიტიკა ახლა მაინც შეწყდება. ბერძნებთან სამი ქულის აღება გვქონდა დაგეგმილი და მიზანს მივაღწიეთ. ბოლო ხანს, ჩვენი თამაშის ხარისხს აკრიტიკებდნენ და ვფიქრობ, სამშაბათის მატჩის შემდეგ „ინტერზე“ სხვა წარმოდგენა შეექმნებათ. ხშირად ძნელია გასვლით შეხვედრაში გუნდის მოსაგებად განწყობილება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გამოგვივიდა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ფეხბურთელებიც ნაწყენები არიან ამდენი დაუმსახურებელი კრიტიკით და სურდათ გუნდის შესაძლებლობები სრულად წარმოეჩინათ. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს, ის უდავოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. შვედი გუნდის ინტერესებიდან მოქმედებდა და ის, რომ გოლი ვერ გაიტანა, ბევრს არაფერს ცვლის. მისი საგოლე პასი ადრიანოზე ბრწყინვალე იყო, ამ ეპიზოდის გამეორება არაერთხელ ვნახე და ყოველ ჯერზე აღფრთოვანება ვერ დავფარე. გავაგრძელებთ თუ არა სამი ფორვარდით თამაშს? - კითხვითვე გიპასუხებთ: როგორ ფიქრობთ, „პანათინაიკოსთან“ ნაჩვენები შედეგისა და თამაშის ხარისხის გათვალისწინებით, მაქვს საფუძველი ტაქტიკის შესაცვლელად?“

პორტუგალიელის ქება იბრაჰიმოვიჩმა შეიფერა და შემდეგი განაცხადა: „მწვრთნელის შეფასებამ დიდად გამახარა. ვფიქრობ, მოურინიოს ხელში „ინტერი“ მწვერვალებს დაიპყრობს და ბედნიერი ვარ, რომ ამ წარმატებაში მეც შევიტან წვლილს. ათენში ფანტასტიკურად ვითამაშეთ და იმედი მაქვს, ასევე გავაგრძელებთ. ადრიანოს გოლმა გამახარა, მას ეს სჭირდებოდა“.

ადრიანო ცალკე საუბრის თემაა - ბრაზილიელმა ურთულესი პერიოდი გადაიტანა, ერთი ხანობა ფსიქიკაც კი შეერყა, თუმცა დასძლია პრობლემები და „ინტერში“ დაბრუნდა. გატანილმა გოლმა ადრიანო უზომოდ გაახარა და ბუნებრივია, არც პრესისთვის დაუწყვეტია გული: „ჟოზე მოურინიოს დიდად მადლობელი ვარ. მან კიდევ ერთხელ მომცა დიდ ფეხბურთში დაბრუნების შანსი და ამას არასდროს დავივიწყებ. ჩემი მიზანი „ინტერში“ თამაშია, მიხარია, რომ მოვახერხე და გოლი გავიტანე. იმედი მაქვს, მწვრთნელის ნდობას მომავალშიც გავამართლებ“.

იტალიელი ექსპერტები კი „ინტერის“ შემტევ ტრიოს მომაკვდინებელს უწოდებენ. **მანჩინი - იბრაჰიმოვიჩი - კვარეშმას** სამეული „პანათინაიკოსთან“ დიდებული იყო და სავარაუდოდ, პორტუგალიელი მომავალშიც მათ დაეყრდნობა. ამასთან, საჭირო მომენტში ძირითადის ფორვარდებს ადრიანოთი, **მარიო ბალოტელითა** და **ხულიო კრუზით** ჩაანაცვლებს. აპენინური პრესის აზრით, მოურინიო ამოუწურავ რესურსს ფლობს და ძალიან მძლავრი გუნდი უნდა გააკეთოს.

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# კრიზისის საფუძველი მოტივაციის არქონაა

„რომამ“ სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში კოშმარული სტარტი აიღო. არადა, ბოლო რამდენიმე წელია, დედაქალაქური კლუბი აპენინებზე ყველაზე სტაბილურ ფეხბურთს თამაშობს და ფაქტობრივად, სერიოზული ჩავარდნა არც ჰქონია. იტალიელი ექსპერტები კი გუნდის კრიზისს ლოგიკურს უწოდებენ და მიზეზებსაც ასახელებენ. უმჯობესია, სწორედ მათ აზრს გავეცნოთ.

იტალიური პრესა აჭრელებულია დამწუხრებული რომაელების სურათებით და კლუბის კრიზისზე რამდენიმე სტატიაც დაიწერა. შეგახსენებთ, რომ ჯალოროსიმ ეროვნულ პირველობაზე ორ მატჩში 1 ქულა დააგროვა, ჯერ „ნაპოლის“ დაუზავდა საკუთარ მოედანზე (1:1), შემდეგ კი „პალერმოსთან“ დამარცხდა სიცილიაში (1:3). ამას ლიგაში მარცხიც მოჰყვა, მშობლიურ ოლიმპიკოზე სპალეტის გუნდი რუმინულ „კლუჟთან“ შერცხვა (1:2).



ლუჩანო სპალეტი

ექსპერტებისა და ჟურნალისტების აზრით, კრიზისი სატრანსფერო პოლიტიკის კრახიდან დაიწყო. **ფრანკო სენსი** მთელი ზაფხულის განმავლობაში ჯანმრთელობას უჩიოდა, აგვისტოში კი გარდაიცვალა. შესაძლოა, ამანაც შეუწყო ხელი ასეთ პასიურობას სატრანსფერო ბაზარზე. „რომას“ გაძლიერება სჭირდებოდა, რადგან განვლილმა წლებმა ნათლად აჩვენა, რომ თუ რამე აკლდა გუნდს დიდ გამარჯვებებამდე, ეს გრძელი სათადარიგო სკამი გახლდათ. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სერია A-ს გუნდები წელს საგრძნობლად გაძლიერდნენ და ამით ტურნირი კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახადეს.

მართალია, „რომამ“ ორი სახელგანთქმული ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არაა. ხვდებით ალბათ, ლაპარაკი „ლივერპულიდან“ გადმობირებულ **არნე რიისესა** და ექსრეალელ **ჟულიო ბაპტიშტაზეა**. მათ ახალ გუნდთან შესაწყობად დრო დასჭირდებათ. გაითვალისწინეთ, რომ **სპალეტის** ტაქტიკა ძალზე ჩახლართულია და მასთან შეგუება არცთუ იოლი საქმეა. ბაპტიშტამ სერია A-ს მეორე ტურში „პალერმოს“ გოლი კი გაუტანა, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ის ჯერ კიდევ ინდივიდუალურად ცდილობს თავის წარმოჩენას და ტაქტიკურ მონახაზში ვერ ჯდება. იგივე შეიძლება ითქვას რიისეზე - ერთი სიტყვით, ახალ რომაელებს ჯერ გუნდთან გაშინაურება სჭირდებათ.

ამ დროს კი „რომა“ ისეთმა ფეხბურთელმა დატოვა, რომელიც იდეალურად ჯდებოდა სპალეტის მონახაზში. ამანტინო **მანსინი** გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მისი გაშვება არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა. დიახ, მანსინის ჰქონდა გარკვეული პრობლემები კლუბის ხელმძღვანელებთან, მაგრამ ეს საკითხი მოგვარებადი გახლდათ, მთავარი მონდომება იყო. გახსოვთ ალბათ, შარშანაც იდგა ამანტინოს წასვლის საკითხი, მაგრამ საქმეში **ფრანჩესკო ტოტიც** კი ჩაერია და საბოლოოდ ბრაზილიელი დარჩენაზე დაიყოლიეს. სრულიად გაუგებარია, რატომ გაუშვეს გუნდიდან **ლუდოვიკ ჟიული**. შესაძლოა, ფრანგმა „რომაში“ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ წარმოაჩინა, მაგრამ თავის სიტყვას ის ყოველთვის ამბობდა.

ერთი სიტყვით, გუნდს გაძლიერება სჭირდებოდა. სხვა თუ არაფერი, ეს მოტივაციის ასამაღლებლად იყო აუცილებელი. კორიერეს ჟურნალისტი პარალელს „მილანთან“ ავლებს და ცდილობს, კრიზისში მყოფი ორი გუნდი ერთმანეთს შეადაროს: „მილანმაც“ და „რომამაც“ სეზონი კოშმარულად დაიწყეს. ორივე გუნდი კრიზისშია, თუმცა ვფიქრობ, ამ კრიზისებს შორის დიდი განსხვავებაა. ბევრი ამბობს, რომ „მილანის“ პრობლემა მოტივაციის ნაკლებობაშია, მე პირიქით ვიტყოდი. ლომბარდიულმა კლუბმა ზაფხულში რამდენიმე ექსტრაკლასის ფეხბურთელი დაიმატა: რონალდინიო, შევჩენკო, ძამბროტა, ფლამინი. ეს ის ძალაა, რომელიც კლუბს უახლოეს მომავალში გააცოცხლებს და ჩვენ ძველ „მილანს“ ვიხილავთ. მთავარია, ანჩელოტიმ დროულად გაანაწილოს ფეხბურთელებს შორის ფუნქცია და ბალანსი მოძებნოს. რაც შეეხება „რომას“, აქ თვითრწმენის არქონასთან გვაქვს საქმე. ამ გუნდს არ სჯერა, რომ მწვერვალების დაპყრობა შეუძლია. ეს რწმენა ახალი, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებთან ერთად უნდა მოსულიყო, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, რომ ეს ფეხბურთელები არ მოვიდნენ. კლუბმა სატრანსფერო ფანჯარა ჩაავდო და შედეგად კრიზისს იმკის“.

კრიზისზე საუბარს არც „რომას“ ფეხბურთელები ერიდებიან - ტოტის სიტყვებიც ამას მოწმობს: „დამალვას აზრი არ აქვს, გუნდში რაღაც ხდება და ვერ ვხსნი, რასთან გვაქვს საქმე. გუნდში ის ენთუზიაზმი არაა, რაც უწინ იყო. წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი სწორედ ესაა და არა არასწორი ტაქტიკური სქემა ან შემადგენლობის არასწორად შერჩევა. სპალეტიმაც და გუნდის სხვა მწვრთნელებმაც ფსიქოლოგიური კუთხით უნდა იმუშაონ. თუმცა, შესაძლოა, საქმე არც ისე რთულად არის, ვიდრე ჩანს. „კლუჟთან“ წაგებით ტრაგედია არ მომხდარა და ვითარების გამოსასწორებლად ბევრი დრო გვაქვს“.

თავად სპალეტიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: „კრიზისის დაძლევა შესაძლებელია და „კლუჟთან“ მარცხით ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. სამშაბათს ბევრი რამ გამოგვდიოდა და ბევრსაც ვცდილობდით. ჩვენი მიზანია, პლუსები კიდევ უფრო დავხვეწოთ, მინუსები კი აღმოვფხრათ. დარწმუნებული ვარ, ეს ხელგვეწიფება“.

საგულისხმოა, რომ ფსიქოლოგიურ პრობლემას სპალეტიც ადასტურებს, ის ამ საკითხს ცალკე თემად გამოყოფს: „გუნდი ფიზიკურ მომზადებაშიც მოიკოჭლებს, მაგრამ ეს მალე მოგვარდება. მე უფრო ფსიქოლოგიური პრობლემა მაწუხებს, ფეხბურთელებს მატჩის წინ სათანადო განწყობილებას ვერ ვამჩნევ“.

იტალიური პრესიდან ნათლად იკვეთება, თუ რა არის „რომას“ კრიზისის რეალური მიზეზი. გუნდი ახალ სეზონს მოტივაციის გარეშე შეხვდა. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, რამდენად მოახერხებს სპალეტი ვითარების გამოსწორებას.

**ლაშა ნიკლაური**

## ჯონსონი სიტიში ხუთი წლით

“მანჩესტერ სიტის” ნახევარმცველმა **მაიკლ ჯონსონმა** კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის აგენტსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებები რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ცნობილი მიზეზების გამო ქალაქელების ბოსებმა რამდენიმე დღით ყველანაირი მოლაპარაკება შეაჩერეს, მას შემდეგ კი, რაც კლუბის ახალ მეპატრონესთან დაკავშირებით სიტუაცია გაირკვა, საქმე ბოლომდე მივიდა. ზაფხულში დადიოდა ხმები, რომ პერსპექტიულ ფეხბურთელს შეიძლებოდა, კლუბი დაეტოვებინა, მაგრამ საბოლოოდ მაიკლი „სიტის“ ერთგული დარჩა.

## რიბერი დომენეკს იცავს

საფრანგეთის ნაკრებისა და მიუნხენის “ბაიერნის” ლიდერი **ფრანკ რიბერი** მინდორზე დასაბრუნებლად ემზადება. ვიდრე ის ფეხბურთის სათამაშოდ მზად იქნება, მანამდე ხშირად უწევს პრესასთან ურთიერთობა. გარდა ყოველდღიური პრობლემებისა, ნახევარმცველი ზოგად თემებზე მსჯელობასაც არ ერიდება. მან იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის ნაკრების თავკაცი **რაიმონ დომენეკი** კიდევ დიდი ხნით დარჩება თავის პოსტზე. “მას დიდად ვაფასებ და მინდა, რომ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელად კიდევ დიდხანს დარჩეს. ჩვენ სამხრეთ აფრიკაში ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია და საამისოდ დომენეკზე უკეთეს დამრიგებელს ვერ ვნახავთ. მწვრთნელებს ზოგადად ყოველთვის დიდი ზეწოლის ქვეშ უწევთ მუშაობა. ასეა დომენეკის შემთხვევაშიც. პირადად მე, ყველაფერს გავაკეთებ წარმატებისთვის. მასზე ამხელა წნეხი უნდა მოიხსნას.”

## კანავარო ნეაპოლში დაასრულებს

იტალიის ნაკრების კაპიტანმა **ფაბიო კანავარომ** დაადასტურა ადრინდელი პოზიცია, რომ კარიერის დასრულებას “ნაპოლიში” აპირებს. მისი განცხადებით, ეს დღე ძალიან შორს აღარ არის: “ვფიქრობ, საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს ის, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულება მშობლიური ქალაქის გუნდში მინდა. შესანიშნავი იქნებოდა, თუკი ამას მომავალ სეზონში მოვახერხებდი. ამისთვის აუცილებელია წლის ბოლოს “რეალის” ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება და სიტუაციის გარკვევა. თუკი “რეალს” მართლა ძალიან სურს ჩემი დარჩენა, მათ წინადადებას აუცილებლად განვიხილავ, მაგრამ არ ვაპირებ იმის დამალვას, რომ ჩემთვის პრიორიტეტი მაინც “ნაპოლი” იქნება,” - განუცხადა “ჩენელ 4-ს” ფეხბურთელმა.

აქვე შეგახსენებთ მსოფლიოს ჩემპიონის საკლუბო კარიერას: “ნაპოლი” 1992–1995; “პარმა” 1995–2002; “ინტერი” 2002–2004; “იუვენტუსი” 2004–2006; “რეალი” 2006-დან დღემდე.

## ბარნსი ფესვებს დაუბრუნდა

“უოტფორდის”, “ლივერპულის”, “ნიუკასლის”, “ჩარლტონისა” და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **ჯონ ბარნსი** იამაიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელად დაინიშნა. ჯონი 1963 წელს სწორედ იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში დაიბადა. მას სამწვრთნელო პრაქტიკა, დიდი ხანია, აღარ ჰქონია. უკანასკნელი კლუბი, სადაც ის მუშაობდა, “სელტიკი” იყო, თანაც შორეულ 1999-2000 წლების სეზონში. შოტლანდიიდან წამოსვლის შემდეგ, ერთი პერიოდი, ის კარიბის ზღვის აუზში “სანდერლენდის” სკაუტად მუშაობდა. ბარნსი დღემდე ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია “ჩენელ 5-ის” მიმომხილველია. ჯონი მუშაობას 1 ნოემბრიდან შეუდგება და ამ პოსტზე რამდენიმე დღის წინ გათავისუფლებულ ბრაზილიელ **რენე სიმოეშს** შეცვლის. მანამდე, 11 ოქტომბერს, იამაიკის ნაკრები მექსიკას შეხვდება. ამ მატჩში გუნდს დროებითი დამრიგებელი გაიყვანს.

ჩელსი VS მანჩესტერი

# სერ ალექსის თავის ტკივილი

## ლონდონში სტუმრობის წინ ეშმაკებს საკადრო პრობლემები აქვთ

21 სექტემბერს, "სტემფორდ ბრიჯზე" დიდი თამაში გაიმართება. "მანჩესტერ იუნაიტედი" "ჩელსის" ესტუმრება. ინგლისი ამ შეხვედრის მოლოდინით ცხოვრობს. მანკუნიანელები გაორმაგებული მონდომებით ვარჯიშობენ. "ენფილდ როუდზე" დამარცხების შემდეგ მათ არ სურთ, ზედიზედ მეორე ნაგება იგემონ. ჩემპიონები რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდს ტრავმების გამო სერიოზული პრობლემები აქვს. "ლივერპულთან" მატჩისას წამყვანი ნახევარმცველი **მაიკლ ქერიკი** დაშავდა. **იოსი ბენაიუნთან** შეჯახებისას, მან მარჯვენა ტერფის ძვალი გაიტეხა. ფეხბურთელს "ვილიარეალთან" ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი შეხვედრა გაუცდა. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, ის თვე-ნახევარი ვერ ითამაშებს.



მაიკლ ქერიკი

პრობლემები აქვს მასპინძელ გუნდსაც. ტრავმირებულია **მიკაელ ესიენი**. **მიხაელ ბალაკი** ეს-ესაა გამოჯანმრთელდა. გერმანელი ნახევარმცველი ოპტიმალური ფორმისგან შორსაა. **დიე დროგბა** მწყობრშია. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება, კოტდივუარელი თავდამსხმელი მოედანზე აუცილებლად გავა. ცნობისათვის, მას ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ არ უასპარეზია. მოსკოვურ ფინალში კი არისტოკრატების მეტოქე "მანჩესტერ იუნაიტედი" იყო. იმ შეხვედრაში დროგბას წითელი ბარათი აუფრიალეს. დისკვალიფიკაციის გამო დიდიემ "პანათინაიკოსთან" სამშაბათის შეხვედრა გამოტოვა.

დავუბრუნდეთ იუნაიტედთან მომავალ მატჩს. არსებობდა საშიშროება, რომ გუნდს დაცვის ბურჯი **ჯონ ტერი** გამოკლებოდა. მოგეხსენებათ, ბოლო ტურში, "მანჩესტერ სიტისთან", არბიტრმა **მარკ ჰელსიმ** ფეხბურთელს სრულიად გაუგებარ სიტუაციაში წითელი ბარათი უჩვენა. მსაჯმა მიიჩნია, რომ "ჩელსის" კაპიტანმა **ჟო** ბოლო იმედის ჯარიმით შეაჩერა. გამეორებისას აშკარად გამოჩნდა, რომ ტერი ყვითელ ბარათს იმსახურებდა, რადგან ტერის უკან რიკარდო კარვალიო იდგა და ბოლო იმედის ჯარიმაზე საუბარი უადგილო იყო. "ჩელსიმ" ფეხბურთელის გაძევება დაუყოვნებლივ გაასაჩივრა. სადისციპლინო კომიტეტმა აპელაცია განიხილა და სრულად გაიზიარა ლონდონელთა არგუმენტები. ტერის წითელი ბარათი გაუქმდა. ახლა მის ანგარიშზე ერთით მეტი ყვითელი ბარათი ირიცხება.

იუვენტუსი

# ტრეზეგე: კარიერის ბოლომდე ტურინში

## ქალბატონი ანდრადეს კონტრაქტს გაუწყვეტს

ბრიტანულმა სააგენტოებმა **დავიდ ტრეზეგესთან** დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს "ბარსელონამ" ინტენსიური სატრანსფერო კამპანია ჩაატარა. კატალონიელებმა ახალ ფეხბურთელებში ერთბაშად 90 მილიონი ევრო დახარჯეს. როგორც ჩანს, **ხოსეპ გვარდიოლას** გეგმებში ფრანგის გადაყვანაც შედიოდა. კლუბებს შორის მოლაპარაკებებიც მიმდინარეობდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა "ბარსაში" გადაბარგებაზე თავაზიანი უარი თქვა. *"გვარდიოლა პირადად დამიკავშირდა. მან მითხრა, რომ ჩემი შეძენა სურდა. მოხარული ვიყავი, რომ ამხელა კლუბის ყურადღება დავიმსახურე, მაგრამ ტურინში დარჩენა ვარჩიე, რადგან "იუვენტუსში" უკვე დიდი ხანია, ვთამაშობ და აქაურობა მაშინაც არ მივატოვე, როცა სერია B-ში დაგვაქვეითეს. ეს კლუბი ძალიან მიყვარს. ტურინიდან*



დავიდ ტრეზეგე

*აბარგებაზე სერიოზულად არც კი მიფიქრია. ვფიქრობ, უკვე "იუვეს" ისტორიის ნაწილი ვარ. მინდა, კარიერის ბოლომდე ტურინში დავრჩე,"* – განუცხადა ტრეზეგემ პრესას.

"ბებერი ქალბატონი" **ჟორჟე ანდრადესთან** კონტრაქტის გაწყვეტას აპირებს. პორტუგალიელი მცველი "იუვეში" 2007 წლის ზაფხულში, "დეპორტივოდან" გადავიდა. ტურინელებს მისი ტრანსფერი 8 მილიონი გირვანქა დაუჯდათ, თუმცა ანდრადესაგან რეალური სარგებელი არ უნახავთ. ფეხბურთელი ტრავმებმა დამტანჯა. ჟორჟემ ვარჯიში რამდენიმე კვირის წინ განაახლა, მაგრამ მალე ნატკენი მუხლი ხელახლა დაიზიანა და ისევ ხანგრძლივი შვებულება აიღო. მხარეთა შორის კონტრაქტი 2010 წლამდეა გაფორმებული. იტალიელებს პორტუგალიელი ლეგიონერისათვის კომპენსაციის გადახდა არ ასცდებათ.




## მნიშვნელოვანი ვიდეორეფერის ითხოვს

13 სექტემბერს, ლიონში საფრანგეთის ბოლო წლების უცვლელმა ჩემპიონმა და მიმდინარე ჩემპიონატის ულაპარაკო ფავორიტმა "ლიონმა" "ნიცას" უმასპინძლა და შეხვედრის დებიუტშივე ბამოგოსა (მე-3 წთ) და რემის (მე-19 წთ) გოლების წყალობით 0:2 ჩამორჩა. საბოლოოდ, შეხვედრა სკანდალური აღმოჩნდა... მსაჯის წყალობით. მატჩის არბიტრმა საეჭვო საჯარიმო კარიდან 30 მეტრის მოშორებით დანიშნა, მაგრამ როცა გუნდში **ჟუნინიო პერნამბუკანო** თამაშობს, მანძილს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარც აქვს - ბრაზილიელმა იშვიათი სილამაზის ჯარიმა გაიტანა. თამაშის მინურულს მსაჯმა თავი მეორედ გამოიჩინა და თითიდან გამოწოვილი პენალტი აჩუქა მასპინძელს. **კარიმ ბენზემამ** სინდისის ქენჯნის გარეშე გაიტანა გოლი **ლიონელ ლეტიზის** კარში.

სხვათა შორის, **ჟან-შარლ სელომ** შეცდომა გულწრფელად აღიარა. ყოველივე ამან იმდენად აღაშფოთა ნიცელთა დამრიგებელი **ფრედერიკ ანტონეტი**, რომ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ვიდეოგამეორებების დიდი ხნის წინ დაწყებული თემა გაიხსენა: *"ფაქტია, რომ აღმაშფოთებელი მსაჯობა იყო და ამის უარყოფა შეუძლებელია. შეგიძლიათ დაწეროთ, რომ "ნიცას" ფატალურად არ გაუმართლა. ყველამ ნახა, რომ შედეგი სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო. ეს კიდევ ერთი ფაქტორია იმაში დასარწმუნებლად, რომ დღევანდელ ფეხბურთში ვიდეორეფერის დანერგვა აუცილებელია. ამ იდეას უკვე დიდი ხანია ვემხრობი და დარწმუნებული ვარ, ეს ოდესმე აუცილებლად მოხდება."*

## მესი: კაპიტნობამდე შორია

გასულ სეზონში ლიონელ მესიმ არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია გუნდის ლიდერობა იტვირთოს, თუმცა უეფას საიტისათვის მიცემულ ინტერვიუში არგენტინელმა თავდამსხმელმა განაცხადა, რომ მისთვის "ბარსელონის" კაპიტნობა ძალიან ადრეა: *"გუნდში უამრავი გამოცდილი ფეხბურთელია, ვინც ამ პატივს იმსახურებს. ჩემთვის იმის პატივი, რომ გუნდი მოედანზე გავიყვანო ხოლმე, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მოვლენა იქნება, მაგრამ ამისთვის დამსახურებაა საჭირო. ორი წელიწადია, რაც არაფერი მოგვიგია. სეზონის წარუმატებელმა დასაწყისმა გულშემატკივრები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მათი შეშფოთება ბუნებრივია. ჩვენ არა მარტო უნდა მოვიგოთ, არამედ ხარისხიანადაც ვითამაშოთ. არ ვნერვიულობთ, რადგან მუხლჩაუხრელი მუშაობა ადრე თუ გვიან შედეგს მოიტანს."*

## მუნტარი სამი თამაშით დაისვენებს

"ინტერის" ნახევარმცველმა **სალიმ მუნტარიმ** სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. იტალიის ჩემპიონატის მე-2 ტურში მილანელებმა "კატანიას" უმასპინძლეს. მატჩის 45-ე წუთზე გაწელი სტუმართა ნახევარმცველ **ჯაკომო ტედესკოს** სასტიკად გაუსწორდა – სახეში ხელი უთავაზა. ბუნებრივია, მატჩის არბიტრმა აგრესორი მოედნიდან გააძევა. "როიტერი" "ინტერის" პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება, რომ კლუბის ხელმძღვანელობა იტალიის საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

## ფორლანი ერთი თვით

მადრიდის "ატლეტიკოს" ურუგვაელმა ლეგიონერმა **დიეგო ფორლანმა** გუშინწინ, "ეინდჰოვენთან" შეხვედრაში მატჩის 30-ე წუთზე, სრულიად უწყინარ სიტუაციაში ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად მოედანზე **ფლორან სინამა პონგოლე** შემოვიდა. ფორვარდს სასწრაფოდ ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება. შედეგები არასახარბიელოა, მას, სულ ცოტა, ერთი თვით მოუწევს დასვენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანდრეი შევჩენკო, ჩელსისა და პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუება

ჩელსი. წარუმატებელი ტრანსფერები

# შევჩენკო უკონკურენციოა

## ქარისათვის გატანებული 150 მილიონი გირვანქა

**მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ბოლო ტურში, "მანჩესტერ სიტისა" და "ჩელსის" შეხვედრაში შონ რაიტ-ფილიპსმა სწორედ იმ გუნდის წინააღმდეგ ითამაშა, სადაც მან სამი წარუმატებელი წელიწადი გაატარა. ამას უბრალო სტატისტიკაც მოწმობს: მან ლონდონში 84 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა, ხოლო "სიტიში" დაბრუნების შემდეგ ორ შეხვედრაში ამდენჯერვე გამოიჩინა თავი. რეალობამ "სანის" ჟურნალისტებს "არისტოკრატების" ყველაზე წარუმატებელი ტრანსფერები გაახსენა. ამ გარიგებებში 150 მილიონი გირვანქა დაიხარჯა.**

**1. ანდრეი შევჩენკო.** 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ლონდონში გადაბარგდა და "ჩელსიში" 30 მილიონი გირვანქის საფასურად ჩაირიცხა. რა მივიღეთ შედეგად? ქარს გატანებული ორი წელიწადი. **ჟოზე მოურინიომ** აღიარა, რომ უკრაინელის შეძენის სურვილი არასდროს ჰქონია, მაგრამ მისი გადაბირებით თავად გუნდის მესაკუთრე იყო დაინტერესებული. ამ ხნის განმავლობაში არ წყდებოდა საუბრები ფეხბურთელის "მილანში" შესაძლო დაბრუნების შესახებ. ეს დღეც დადგა, "უძღები შვილი" "სან სიროზე" დაბრუნდა, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ მან ძველებურად ათამაშება ოდესმე კიდევ მოახერხოს.

**2. ერნან კრესპო.** თავის დროზე არგენტინელმა იტალიაში ბრწყინვალე ფორვარდის რეპუტაცია მოიპოვა. მოურინიომ მისი შეძენა კატეგორიულად მოითხოვა. ლონდონელებმა ფეხბურთელში 16.8 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, მაგრამ ეს ფულიც წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. ლონდონში არგენტინელმა სულ 24 გოლის გატანა მოახერხა. "ინტერმა" ფეხბურთელი იჯარით ორჯერ გადაიყვანა, ხოლო ამ ზაფხულს უკვე სრულფასოვანი კონტრაქტი გაუფორმა... უფასოდ.

**3. ადრიან მუტუ.** რუმინელი ფორვარდი "ჩელსის" 16 მილიონი გირვანქა დაუჯდა. მართალია, ფეხბურთელი ძალიან მონდომებული გახლდათ და მისი რადიკალიზმი იქამდე წავიდა, რომ "ჩელსის" ინტერესებისთვის სექსზე უარის თქმასაც კი აპირებდა. თუმცა ლონდონში გატარებული ორი სეზონის განმავლობაში სულ 10 გოლის გატანა მოახერხა. ერთი წლისთავზე ფეხბურთელი ნამდვილ სკანდალში გაეხვა. მუტუ კოკაინის მოხმარებაში ამხილეს და ფეხბურთელს 7-თვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ჯარიმის სახით მას ოცი ათასი გირვანქის გადახდა დაეკისრა. გუნდმა მუტუსთან კონტრაქტი გაწყვიტა. რუმინელმა ამით ისარგებლა და ხელშეკრულება "იუვენტუსთან" გააფორმა. "არისტოკრატები" აღშფოთდნენ და ფეხბურთელს ფიფაში უჩივლეს. 7-თვიანი გამოძიების შემდეგ რუმინელს ლონდონელთა სასარგებლოდ 13 მილიონი გირვანქის გადახდა დააკისრეს.

**4. ხუან სებასტიან ვერონი.** არგენტინელი ფლეიმეიკერი ნისლიან ალბიონზე 2001 წელს გადაბარგდა. "ოლდ ტრეფორდზე" ორი წარუმატებელი სეზონის გატარების შემდეგ, **რომან აბრამოვიჩმა** "მანჩესტერ იუნაიტედს" მასში 15 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ვერონმა ლონდონში პირველსავე სეზონში კოშმარულად ითამაშა. ორი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელი მილანის "ინტერში" იყო განათხოვრებული, შემდეგი ერთი წელი მან ისევ იჯარით **დიეგო სიმეონეს** "ესტუდიანტესში" გაატარა. შარშანდელი სეზონის დაწყებამდე მან იმავე არგენტინულ კლუბს სულაც უფასოდ მიაშურა.

**5. შონ რაიტ-ფილიპსი.** რაიტ-ფილიპსი "ჩელსიში" მარჯვენა ფლანგზე პრობლემების აღმოსაფხვრელად მიიწვიეს. მისით "არსენალი" იყო დაინტერესებული. **არსენ ვენგერი** მზად იყო, ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი გადაეხადა. საქმე თითქმის მოგვარებული იყო, როცა თამაშში "არისტოკრატები" ჩაებნენ... და "სიტის" 21 მილიონი შესთავაზეს. მათი შეთავაზება დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდა. ვერც ჟოზე მოურინიომ, ვერც **ავრამ გრანტმა** და ვერც **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** გამონახეს გზა, ფეხბურთელის ტალანტი სრულად რომ გამოეყენებინათ. ბრაზილიელმა მწვრთნელმა მისი გუნდიდან გაშვება გადაწყვიტა. "სიტიმ" ფეხბურთელი ცხრა მილიონ გირვანქად დაიბრუნა.

**6. დემიენ დაფი.** 2003 წელს "ჩელსიმ" "ბლექბერნს" ირლანდიელ ნახევარმცველში 17 მილიონი გირვანქა გადაუხადა. არაფერი მოასწავებდა იმას, რომ ფეხბურთელის ტრანსფერი ასეთი წარუმატებელი გამოდგებოდა. დემიენმა თავი ვერ გამოიჩინა და ამის უპირველესი მიზეზი ტრავმები აღმოჩნდა. 2006 წელს ლონდონიდან მან მიაშურა "ნიუკასლს", თანაც 5 მილიონ ფუნტად.

**7. ჟერემი ნჯიტაპი.** კიდევ ერთი გაუგებარი შენაძენი – სხვა სახელს მადრიდის "რეალის" სათადარიგო ფეხბურთელში 7 მილიონი გირვანქის გადახდას ვერ დავარქმევთ. კამერუნელმა, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხა ძირითადში დამკვიდრება, მაგრამ კარგი ხელფასის ხათრით ლონდონში 4 წელიწადი დარჩა. 28 წლის ფეხბურთელი "ნიუკასლს" უფასოდ შეუერთდა.

**8. სკოტ პარკერი.** ლონდონში 2005 წელს რომან აბრამოვიჩის გამოჩენისთანავე "ჩელსიში" მისი ფინანსური რესურსების დაუზოგავი ხარჯვა დაიწყეს. ამ საქმეში წილი **კლაუდიო რანიერიმაც** დაიდო. "ჩარლტონის" ვარსკვლავში მან 10 მილიონი გირვანქა გადაიხადა. რა გასაკვირია და, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ვერ მოახერხა **ფრენკ ლემპარდისა** და **კლოდ მაკელელეს** კონკურენციის დაძლევა. ამიტომ ის სკამს გაუშინაურდა. წელიწად-ნახევრის შემდეგ ის... დიახ, დიახ, "ნიუკასლში" 6,5 მილიონ გირვანქად გადავიდა.

**9. ასიერ დელ ორნო.** მოურინიოს კიდევ ერთი ახირება კლუბს 8 მილიონი გირვანქა დაუჯდა. "ჩელსის" **უეინ ბრიჯის** სახით კარგი მარცხენა მცველი უკვე ჰყავდა, მაგრამ ბასკის ყიდვა რატომღაც მაინც საჭირო გახდა. ერთადერთი, რითიც ასიერმა ლონდონში ყოფნისას თავი დაგვამახსოვრა, "ბარსელონასთან" შეხვედრაში **ლეო მესის** წინააღმდეგ არაადამიანური ილეთის გამოყენება გახდა. "ჩელსიმ" ფეხბურთელი "ვალენსიას" დაუთმო და ამ ყიდვა-გაყიდვაში 3 მილიონი გირვანქა წააგო.

**10. ხალიდ ბულარუზი.** ჟოზე მოურინიო ჰოლანდიელ მცველს ძალიან აქებდა და მის შესაძენად ბოსებს 8 მილიონი ფუნტი დასცინცლა. ხალიდ ბულარუზი პრემიერლიგას ვერ შეეგუა და მალე სკამზე უსაქმურად ჯდომას "სევილიაში" იჯარით გადასვლა ამჯობინა. ამ ზაფხულს კი იმ კლუბში დაბრუნდა, საიდანაც წარუმატებელი არისტოკრატული ცხოვრების დაწყება სცადა – "ჰამბურგში". კლუბმა მასში დახარჯული თანხის ნახევარიც ვერ აილო.

## ევერტონი: ახალი კონტრაქტი მოიესს

"ევერტონი" მთავარ მწვრთნელ **დევიდ მოიესს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ეს ინფორმაცია კლუბის პრესსამსახურმა გაავრცელა. ლივერპულელებმა შარშანდელი სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარეს და უეფას თასის საგზურს დაეუფლნენ. "ევერტონმა" პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაც შედეგიანად დაიწყო. დირექტორატი კმაყოფილია. თანამშრომლობის გაგრძელებას წინ აღარაფერი უდგას. მოიესი საზაფხულო ტრანსფერებით უკმაყოფილო იყო. ის იმუქრებოდა, ახალ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერო. სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში, კლუბმა მისი სასურველი რამდენიმე მოთამაშე შეიძინა. მწვრთნელსაც ისღა დარჩენოდა, თანამშრომლობის გაგრძელებას დასთანხმებოდა.

## თუნჯაი ექვსი თვე დაისვენებს

"მიდლსბროს" თავდამსხმელი **თუნჯაი სანლი** ექვსი თვე ვერ ითამაშებს. ის ბელგიასთან მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩისას დაშავდა. თუნჯაიმ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. 26 წლის ფეხბურთელს დიაგნოზი გუშინ დაუსვეს. მას ოპერაცია ესაჭიროება. გასულ უქმეებზე რივერსაიდელებმა "პორტსმუთთან" 1:2 წააგეს. ეგვიპტელი **მიდოს** მხარდამხარ, თავდასხმაში "მიდლსბროს" უძვირესმა ფეხბურთელმა **აფონსო ალვეშმა** ითამაშა და სეზონის მეოთხე გოლი შეაგდო.

არსენალი

# ახალი დირექტორები და იაია ტურე

"არსენალის" დირექტორატში ცვლილებებია. ლონდონური კლუბის ერთ-ერთ დირექტორად **სტენ კროენკე** ინიშნება. ერთი წლის წინ ამერიკელი მილიარდერი "მეთოფეების" შეძენას ცდილობდა. მის ინიციატივას აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ ჰილ-ვუდი** შეეწინააღმდეგა. კროენკე "არსენალის" აქციების 12.3 პროცენტს ფლობს. ის კლუბის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერია. ლონდონელთა მისდამი დამოკიდებულება მას მერე შეიცვალა, რაც მეთოფეების ხელში ჩაგდება რუსმა ოლიგარქმა **ალიშერ უსმანოვმა** სცადა. უსმანოვმა რამდენიმე თვის განმავლობაში ლონდონელთა აქციების 24.9 პროცენტი დაისაკუთრა და კლუბის შეძენის რეალურ კანდიდატად მოგვევლინა.

"არსენალის" ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტს დაიკავებს **პიტერ ლოველი.** გულშემატკივარს მისი სახელი და გვარი არაფერს ეუბნება. სამაგიეროდ, მისტერ ლოველი ბრიტანეთის საფეხბურთო წრეებში ფრიად დაფასებული ადამიანია. ხუთი წლის გამავლობაში ის გლაზგოს "სელტიკის" ერთ-ერთი მმართველი იყო და შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. ლონდონში გადასვლის შემდეგ, ლოველს "ჰაიბერის" ადგილას, მშენებარე ფეშენებელური ბინების პროექტს ჩააბარებენ. "არსენალი" ამ ბინების გაყიდვით აპირებს საბანკო სესხის ერთი ნაწილის გასტუმრებას. კლუბს სესხის აღება ახალი სტადიონის აშენებისთვის მოუხდა. მაგრამ ამერიკასა და ევროპაში გამეფებულმა საკრედიტო კრიზისმა "არსენალის" ბინათმშენებლობასაც პრობლემები შეუქმნა.

აქვე გეტყვით, რომ "არსენალი" ბარსელონელი **იაია ტურეთი** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. 25 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი იანვრის ფანჯრისას იგეგმება. გარიგების შემთხვევაში, ლონდონში ორი ძმა - **ტურე – იაია** და **კოლო** - ითამაშებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბენფიკა დი მარიას 30 მილიონად აფასებს



ანხელ დი მარია,
ბენფიკელთა ახალი სიმბოლო

ლისაბონის "ბენფიკის" სპორტულმა დირექტორმა **რუი კოშტამ** ბრიტანულ "სქაის" განუცხადა, რომ კლუბი არგენტინელი ნახევარმცველის **ანხელ დი მარიას** გასხვისებას ჯერ არ აპირებს. მაგრამ თუ გრანდების მხრიდან სერიოზული დაინტერესება იქნება, ფეხბურთელს 30 მილიონ ევროდ დათმობს. სწორედ ეს თანხაა მითითებული მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

დი მარიას პროფესიული კარიერა 2005 წელს დაიწყო. ფეხბურთელის დებიუტი "როსარიო სენტრალში" შედგა. 2007 წლის იანვარში მისი ხელში ჩაგდება ყაზანის "რუბინმა" მოინდომა. ფეხბურთელი თავდაპირველად დათანხმდა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. მან, ალბათ, თანამემამულე **ფერნანდო კავენაგის** მწარე გამოცდილება გაითვალისწინა, რომელიც სათამაშოდ მოსკოვის "სპარტაკში" წავიდა და სანაკრებო კარიერაც დაასრულა.

2007 წელს, დი მარიამ ახალგაზრდულ მუნდიალზე ითამაშა. მან არაერთი ევროპული კლუბის ყურადღება მიიპყრო. საბოლოოდ, არგენტინელმა ახალგაზრდამ ბენფიკაში ამოყო თავი. პორტუგალიელებს მისი შეძენა 6 მილიონი ევრო დაუჯდათ. პორტუგალიელთა პრეზიდენტმა **ლუიშ ფელიპე ვეირამ** ფეხბურთელის პრეზენტაციაზე თქვა, დი მარიას სახით, ჩვენი გუნდის ყოფილი კაპიტნის, ლუიშ ფელიპე ვეირას სრულფასოვანი შემცვლელი შევიძინეთო. ამ უკანასკნელმა "ბენფიკაში" ხუთი შთამბეჭდავი სეზონი გააკეთა და გუნდის ცოცხალ ლეგენდად იქცა. 2007 წლის ზაფხულში სიმაომ მადრიდის "ატლეტიკოს" მიაშურა.

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

# უმი თამაში უმეაში

B დივიზიონი. C ჯგუფი. 17 სექტემბერი. უმეა

### შვედეთი-საქართველო 61:59

18:18, 24:13, 12:11, 7:17

| შვედეთი | ნთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მასამბა | 17 | 4 | 0\3 | 0 | 4\4 | 3 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 |
| ლინდკვისტი | 31 | 6 | 1\2 | 1\5 | 1\3 | 2 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 |
| ჟერებკო | 27 | 7 | 1\8 | 1\3 | 2\3 | 8 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 |
| ინანი | 10 | 20 | 1\2 | 0\1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| გრანტი | 24 | 11 | 2\6 | 1\5 | 4\6 | 2 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 |
| კიელბომი | 11 | 4 | 2\2 | 0 | 0 | 4 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 |
| ბლომი | 17 | 6 | 1\6 | 1\1 | 1\1 | 4 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 |
| რინგსტრომი | 33 | 7 | 1\7 | 1\4 | 2\2 | 9 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 |
| მირთილი | 12 | 5 | 2\2 | 0 | 1\2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| სკიოლდებრანდი | 20 | 9 | 2\8 | 1\6 | 2\2 | 7 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 |

| საქართველო | ნთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცინცაძე | 29 | 12 | 4\5 | 0\2 | 4\4 | 5 | 9 | 3 | 3 | 2 | 0 |
| ელისი | 35 | 6 | 0\1 | 2\8 | 0\2 | 5 | 0 | 4 | 5 | 2 | 0 |
| სანიკიძე | 36 | 19 | 5\7 | 3\4 | 0 | 10 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ცქიტიშვილი | 22 | 5 | 1\3 | 0\4 | 3\4 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ფაჩულია | 29 | 6 | 0\1 | 0 | 6\10 | 7 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 |
| გამყრელიძე | 17 | 3 | 0 | 1\3 | 0 | 1 | 2 | 2 | 3 | 1 | 0 |
| ვ. ბოისა | 25 | 8 | 4\6 | 0\2 | 0\1 | 2 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 |
| ა. ბოისა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შერმადინი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ტულუში | 5 | 0 | 0 | 0\1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

მსაჯები: ა. ჰალიკო (ესტონეთი), ო. ლუცისი (ლატვია)

საქართველოს ნაკრებმა შვედეთის ქალაქ უმეაში დრამატული მატჩი დათმო - 59:61. არადა, რომ არა სტუმრის სტატუსი, ბოლო წამებზე ანგარიშის გათანაბრების შანსი მოგვეცემოდა. საქმე ისაა, რომ სირენამდე 7 წამით ადრე ქართველთა ამერიკელმა გამთამაშებელმა **ტაირონ ელისმა** ბურთიანად მოწინააღმდეგის სამწამიანში შეაღწია და მეტოქესთან შეჯახების შემდეგ წაიქცა. როგორც ჩვენი გუნდის მწვრთნელები ამბობენ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა მსაჯები მასპინძლის მხარეს იჭერენ - ელისი შვედი რომ ყოფილიყო, აუცილებლად დასტვენდნენ და ორ ჯარიმას ასროლინებდნენ. თუმცა ესტონელმა და ლატვიელმა არბიტრებმა სასტვენი დამალეს და მატჩის ბოლომდე დადუმდნენ.

ბოლო ეპიზოდი იმიტომ არ გავიხსენეთ, რომ ნაგება მსაჯებისთვის დაგვებრალებინა. მარცხზე პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრებათ საქართველოსა და შვედეთის ნაკრებებს. ნიუანსებზე მიმოხილვაში ვისაუბრებთ, ახლა მთავარ კითხვას გავცეთ პასუხი - რამდენად საბედისწერო იყო ჩვენი გუნდისთვის შვედებთან ნაგება?

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ თუ გაისად, სექტემბერში თბილისში გასამართ ოთხივე შეხვედრას მოვიგებთ (შვედეთის ნაკრებს ორზე მეტი ქულის სხვაობით ვაჯობებთ), ჯგუფში პირველ ადგილს ვერავინ შეგვეცილება. გავიხსენოთ უმეას მატჩის ბოლო წუთები და იოლი მისახვედრი იქნება, რაოდენ დიდი უპირატესობა გვექნება მასპინძლის სტატუსით თამაშისას. მსაჯობას ქომაგთა ფაქტორსაც თუ დავუმატებთ, წესითა და რიგით, მომავალ სექტემბერში ოთხივე თამაში უნდა მოვიგოთ. ასეთ შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილსა და პლეიოფის საგზურს მივიღებთ. ჯერ B დივიზიონის სამი ქვეჯგუფის ნაკრებებს ნახევარი გზა აქვთ გავლილი, ამიტომ, დღეს ძნელია მომავალ მეტოქეზე მსჯელობა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ოთხი მატჩი გვაქვს მოსაგები. დიდი შანსია საუკეთესო მეორეადგილოსანი სულაც ჩვენი ჯგუფის წევრი იყოს.

ასე რომ, უმეაში ნაგება ტრაგედია სულაც არ არის.

■ ■ ■

ქართველებმა სკანდინავიაში თამაში ისევე ალმაფრენით დაიწყეს, როგორც სლოვაკეთში. ჯერ ტაირონ ელისმა გამოიყენა შორეული ტყორცნა, შემდეგ შეხვედრის საუკეთესო მონაწილემ, **ვიქტორ სანიკიძემ** მიაყოლა ზედიზედ ორი სამქულიანი და 15:5 დავწინაურდით. მასპინძელთა ბერძენ მწვრთნელ **კოსტას ფლევრაკისს** წუთშესვენების აღების გარდა არაფერი დარჩენოდა. ყველაფერი სწორედ მეხუთე წუთზე აღებულმა ამ ტაიმაუტმა გადაწყვიტა: შვედებმა დაცვაში თამაში დაალაგეს, ფარქვეშეთთან ერთად პერიმეტრიც გადაგვიკეტეს და დარჩენილ 35 წუთში **იგორ კოკოშკოვის** შეგირდებმა მხოლოდ 3 სამქულიანი გამოიყენეს. რადგან შორეულ ტყორცნებზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სლოვაკეთთან 7-დან 6 სამქულიანის ჩამგდებმა ტაირონ ელისმა, გუშინ 8-დან 2 სამიანი გამოიყენა და მატჩი 6 ქულით დაასრულა. ამის მიზეზი გადაღლასთან ერთად შვედეთის ნაკრების გააზრებული თამაში გახლდათ. სკანდინავიელები მატჩამდე აცხადებდნენ: ელისი-**ფაჩულია-ცქიტიშვილის** ტრიო ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და პირველ რიგში მათ შეჩერებას ვეცდებითო. თქვეს და შეასრულეს კიდეც: ზაზამ 29 წუთში ერთადერთი ორქულიანი სტყორცნა შეასრულა, მატჩი 6 ქულით (საჯარიმოებიდან), 7 მოხსნით და 5 პერსონალური შენიშვნით დაასრულა. მასპინძელთა ფორვარდები კარგად დაუდგნენ ცქიტიშვილსაც, რომელმაც სულ სამი ორქულიანი ტყორცნა და კალათში ერთი მოათავსა, 4 შორეული სროლიდან კი მიზანს ყველა ააცილა.

აი, ასეთი მძიმე მატჩი გადავიტანეთ. კიდევ კარგი, იგორ კოკოშკოვი წინამორბედი მწვრთნელებისგან განსხვავებით, სხვა კალათბურთელებსაც სრულ თავისუფლებას აძლევს. წინა მატჩებში **ცინცაძე**, სანიკიძე და გამყრელიძე სათანადოდ გაიხსნენ და ამჯერად, ელისი-ფაჩულია-ცქიტოს ტრიოს დაბალი შედეგიანობის ფონზე, ცინცაძესანიკიძემ მოახერხა საქართველოს ნაკრების ქულათა მარაგის შევსება...

მეხუთედან 33-ე წუთამდე თამაშს შვედები გვკარნახობდნენ, რომლებსაც ჩვენზე ნაკლები ინდივიდუალისტი ჰყავთ, თუმცა ეს ნაკლი გუნდური თამაშით გადაფარეს. თავად განსაჯეთ: მასპინძელთაგან 10-ქულიანი ბარიერი ერთადერთმა **კენი გრანტმა** გადალახა (11 ქულა). ანგარიშიდანაც ნათელია (61:59), რომ შეტევაში მათაც გაუჭირდათ, მაგრამ მონდომების წყალობით ქართველთა მთავარი პლუსი მინუსად აქციეს: აქამდე სამივე მეტოქეს დაახლოებით 10-10 მოხსნით ვაჯობეთ და ვამბობდით კიდეც - ევროპაში, ალბათ არ მოიძებნება გუნდი ფარქვეშ რომ გვაჯობოსო. სამწუხაროდ, შვედეთის ნაკრების კალათბურთელებმა მოხსნებში 46:37 მოგვიგეს. ნაგების მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მასპინძლებმა ქართველთა ფარზე უფრო მეტჯერ მოხსნეს ბურთი (25), ვიდრე საკუთარზე (21), რაც კალათბურთში იშვიათი შემთხვევაა. ჩვენ კი მეტოქის ფარიდან ასხლეტილ ბურთს მხოლოდ რვაჯერ დავეუფლეთ.

ასე გაჭირვებით მივატანეთ ბოლო წუთებამდე. მწვრთნელი თამამად ცვლიდა ელისს **კოტე ტულუშით**, ფაჩულიას - **შერმადინით**, რაც მისასალმებელია, მაგრამ საფინალო სირენამდე 8 წუთით ადრე დაფიქსირებულმა ანგარიშმა ბევრს ხელი ჩააქნევინა – სკანდინაველები 16 ქულის სხვაობით გვიგებდნენ (58:42). ასეთი ანგარიშის დაფიქსირების შემდეგ მწვრთნელმა ნიკა ცქიტიშვილი **ვლადიმერ ბოისათი** შეცვალა და არც შემცდარა: ვოვამ ზედიზედ ორი ორქულიანი ჩააგდო და ისედაც კარგად მოთამაშე სანიკიძე-ცინცაძის დუეტს ფრთები შეასხა. საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში მოედანზე დასვენებული საბრძოლო შემადგენლობა გამოვიდა: ცინცაძე, ელისი, ბოისა, სანიკიძე და ფაჩულია. ზაზამ სირენამდე 2 წუთით ადრე ტექნიკური შენიშვნა მიიღო, რაც მისთვის მეხუთე ფოლი აღმოჩნდა და მოედანზე მის ნაცვლად **ლაშა გამყრელიძე** გამოვიდა. ფაჩულიასთან დაკავშირებულ ეპიზოდს სინანულით იხსენებს მეორე მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი:** „მეტოქემ ზაზას ხელი ზურგიდან ჩაარტყა. ჩვენი ცენტრი მსაჯს მიუბრუნდა და მიანიშნა – ჯარიმა იყოო, რაზეც არბიტრმა ტექნიკური შენიშვნით უპასუხა. ემოციურად ზაზა ზღვარს არ გადასულა და ტექნიკურ შენიშვნასაც არ იმსახურებდა, მაგრამ სამწუხაროდ, მსაჯებმა ასე გადაწყვიტეს".

როცა ფაჩულია მოედნიდან გავიდა თამაშის რიტმს უკვე ჩვენ ვაკონტროლებდით. მომდევნო წუთზე ცინცაძემ და სანიკიძემ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს - 56:60. საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე კი ტაირონ ელისმა ნაწატრი სამქულიანი [illegible] და გამარჯვების იმედი - 59:60. მომდე[illegible] სამ წამში ჩვენიანები **გრანტზე** დაჯარიმდნენ, რომელმაც ერთი ტყორცნა გამოიყენა, ხოლო უკანასკნელ 7 წამში როგორ შეიჭრა ელისი მეტოქის საჯარიმოში და როგორ წაიქცა, ამაზე ზემოთ გესაუბრეთ...

■ ■ ■

კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის წყალობით მოვიპოვეთ ნაკრების მწვრთნელის დავით უსტიაშვილის მატჩისშემდგომი კომენტარი:

*„ბოლო წამებზე ელისი მეტოქის საჯარიმოში რომ შევიდა თავისით არ წაქცეულა, კონტაქტი იყო, მაგრამ არბიტრებმა ჯარიმა არ დააფიქსირეს. ვერ ვიტყვი, რომ მსაჯს აუცილებლად უნდა დაესტვინა, მაგრამ გვერდიდან ჯარიმას ჰგავდა...*

*ნაგების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენს ფარზე მეტოქემ ბევრი ბურთი მოგვიხსნა. შესაბამისად სწრაფ იერიშებზეც არცთუ ხშირად გადავდიოდით და შეტევაშიც არადამაჯერებლად ვითამაშეთ...*

*მარცხის ერთ-ერთი მიზეზი გადაღლილობაც იყო. შვედებს დასასვენებლად ჩვენზე გაცილებით დიდი დრო ჰქონდათ...*

*დაძაბული სამსახური გაგვიწია საწყის წუთებზე 10 ქულით დაწინაურებამ. იმ ეპიზოდში ბიჭებმა ჩათვალეს, რომ შვედებსაც ისევე იოლად მოუგებდნენ, როგორც სლოვაკებს. ამის გამო დავისაჯეთ კიდეც.*

*უმეოში ნაგებაზე ყველას გული დაგვწყდა, მაგრამ მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებთ. გუნდს შესწევს იმის ძალა, რომ გაისად საქართველოში ოთხივე მატჩი მოიგოს და პლეი ოფში გავიდეს".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 9:18 | ლინდკვისტი: 2ძ (2:0) |
| 9:18 | ლინდკვისტი: 1\0 |
| **8:55** | **ცინცაძე: 2ძ (2:2)** |
| **8:25** | **სანიკიძე: 2ძ (2:4)** |
| **7:50** | **ელისი: 3ძ (2:7)** |
| 6:44 | ბლომი: 2+1 ძ (5:7) |
| **5:47** | **სანიკიძე: 3ძ (5:10)** |
| **5:34** | **სანიკიძე: 3ძ (5:13)** |
| **4:59** | **ცქიტიშვილი: 2ძ (5:15)** |
| 4:59 | ტაიმაუტი: შვედეთი |
| 4:42 | კიელბომი: 2ძ (7:15) |
| 4:10 | რინგსტრომი: 2\2 ძ (9:15) |
| 3:15 | კიელბომი: 2ძ (11:15) |
| **2:09** | **ფაჩულია: 2\1 (11:16)** |
| 1:47 | გრანტი: 2ძ (13:16) |
| 1:27 | გრანტი: 2\2 ძ (15:16) |
| 0:42 | გრანტი: 3ძ (18:16) |
| **0:18** | **ბოისა: 2ძ (18:18)** |
| **II პერიოდი** | |
| 9:47 | ლინდკვისტი: 3ძ (21:18) |
| 9:11 | ჟერებკო: 2ძ (23:18) |
| 9:05 | ჟერებკო: 2\2 ძ (25:18) |
| **7:04** | **გამყრელიძე: 3ძ (25:21)** |
| 6:54 | ჟერებკო: 3ძ (21:28) |
| **6:38** | **ფაჩულია: 2\2 (28:23)** |
| **6:14** | **ფაჩულია: 2\1 (28:24)** |
| 5:56 | სკიოლდებრანდი: 2ძ (30:24) |
| **5:39** | **ელისი: 2\0 ძ** |
| 5:04 | სკიოლდებრანდი: 2ძ (32:24) |
| 4:29 | მასამბა: 2\2 ძ (34:24) |
| **4:25** | **ცინცაძე: 2\2 ძ (26:34)** |
| 3:37 | სკიოლდებრანდი: 3ძ (37:24) |
| **3:08** | **წუთშესვენება: საქართველო** |
| **2:52** | **ცინცაძე: 2\2 ძ (37:28)** |
| 2:13 | მასამბა: 2\2 ძ (39:28) |
| 1:29 | მირთილი: 2\1 ძ (40:28) |
| **1:04** | **სანიკიძე: 2ძ (40:30)** |
| 0:47 | ინანი: 2ძ (42:30) |
| **0:28** | **ცქიტიშვილი: 2\1 (42:31)** |
| 0:28 | წუთშესვენება: შვედეთი |
| **III პერიოდი** | |
| 9:32 | გრანტი: 2ძ (44:31) |
| **7:58** | **სანიკიძე: 2ძ (33:44)** |
| 7:03 | რინგსტრომი: 2ძ (46:33) |
| **5:51** | **ფაჩულია: 2\1 ძ (46:34)** |
| **5:25** | **ცინცაძე: 2ძ (46:36)** |
| **4:55** | **სანიკიძე: 2ძ (46:38)** |
| 4:49 | წუთშესვენება: შვედეთი |
| **3:32** | **ვ. ბოისა: 2ძ (46:40)** |
| 2:54 | ბლომი: 3ძ (49:40) |
| 1:04 | სკიოლდებრანდი: 2\2 ძ (51:40) |
| **0:29** | **ცქიტიშვილი: 2\2 ძ (51:42)** |
| 0:07 | რინგსტრომი: 3ძ (54:42) |
| **IV პერიოდი** | |
| 9:50 | მირთილი: 2ძ (56:42) |
| 7:58 | მირთილი: 2ძ (58:42) |
| **7:58** | **წუთშესვენება: საქართველო** |
| **6:32** | **ვ. ბოისა: 2ძ (58:44)** |
| **5:51** | **ვ. ბოისა: 2ძ (58:46)** |
| **4:59** | **სანიკიძე: 3ძ (58:49)** |
| 4:43 | ლინდკვისტი: 2\1 ძ (59:49) |
| **4:10** | **ცინცაძე: 2ძ (59:51)** |
| **3:54** | **წუთშესვენება: საქართველო** |
| **3:44** | **ფაჩულია: 2\1 ძ (59:52)** |
| **2:12** | **ფაჩულია: ტძ. შენ. (მე-5 ფოლი)** |
| 2:12 | გრანტი: 2\1 ძ (60:52) |
| **1:45** | **ცინცაძე: 2ძ (60:54)** |
| **1:20** | **სანიკიძე: 2ძ (60:56)** |
| 1:20 | წუთშესვენება: შვედეთი |
| **0:10** | **ელისი: 3ძ (60:59)** |
| 0:10 | წუთშესვენება: შვედეთი |
| **0:07** | **ელისი: ფოლი** |
| 0:07 | გრანტი: 2\1 ძ (61:59) |
| **0:00** | **ელისი: შეცდომა** |

### სლოვაკეთი-ლუქსემბურგი 110:67

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 3 | 1 | 7 |
| 2. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ირლანდია | 3 | 1 | 2 | 4 |
| 5. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 3 | 3 |

## სეოკ-ი. წინასაარჩევნო კამპანია

# ალპინიზმიც ჩვენია, ცეკვებიც...

სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი **გია ნაცვლიშვილი** დაუღალავად აგრძელებს შეხვედრებს სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან და გულდასმით ეცნობა მათ პრობლემებს, ახლანდელ და სამომავლო გეგმებს. გუშინ, დილიდან პრეზიდენტობის კანდიდატი ალპინიზმისა და სპორტული ცეკვების ხელმძღვანელებისგან **შოთა მირიანაშვილისა და თენგიზ გაჩეჩილაძისგან** ისმენდა განმარტებებს. მართალია, სპორტის არც ერთი ეს სახეობა არ არის ოლიმპიური, მაგრამ ჩვენია. სეოკ-ის მიერ ფედერაციები აღიარებულნი არიან სუბიექტებად. პრეზიდენტობის კანდიდატმა საჭიროდ მიიჩნია მათგანაც მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აფერხებს სპორტის ამ სახეობებს ჩვენში და როგორია მომავალში მათი განვითარების პერსპექტივა. შეთანხმდნენ, რომ სეოკ-ის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, გია ნაცვლიშვილი მიზანმიმართული თანადგომით ყველაფერს გააკეთებს პრობლემების მოსაგვარებლად.

## ჭადრაკი

# ხუხაშვილი დაწინაურდა

### შესარჩევი ტურნირი. პირველი ტური.

| | |
|---|---|
| სალომე მელია-სოფიო გვეტაძე | 0,5:0,5 |
| ნინო ხურციძე-სოფიკო ხუხაშვილი | 1:0 |

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ ქალთა შესარჩევი ტურნირის პირველი ტურის პარტიები გაიმართა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად ხუთი ქალბატონი იბრძვის: **ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია, სოფიკო ხუხაშვილი** და **სოფიო გვეტაძე**. წილისყრამ პირველ ტურში მელია-გვეტაძე და ხურციძე-ხუხაშვილი დააწყვილა; ლომინეიშვილი ისვენებდა.

მელია-გვეტაძის პარტიაში გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა და ყაიმზე შეთანხმდნენ. თუმცა, ცხადია, ასეთი შედეგი უფრო შავებით მოთამაშე გვეტაძეს აძლევდა ხელს, - თეთრებით ნახევარი ქულის დაკარგვა ასეთ ტურნირში სასიამოვნო ვერაა... სწორედ ეს ფაქტორი გახდა ნინო ხურციძის მარცხის მიზეზი - არცთუ კარგად გათამაშებული დებიუტის შემდეგ, სადაც პაიკით ჩამორჩა ნინო, მიტელშპილში ინიციატივას მაინც დაეუფლა და შეტევაზეც გადავიდა. დაფაზე ძალზე რთული პოზიცია დადგა: ხურციძე ფიგურით ჩამორჩებოდა, თუმცა პოზიციური დივიდენდები კი მოეძევებოდა. მოგებას ალბათ, მაინც ვერ შეძლებდა ხურციძე, მაგრამ როგორც ჩანს, არც ნახევარი ქულის დაკარგვა სურდა, ამიტომ კიდევ უფრო გაართულა პოზიცია და მოსაგებად გაიწია. სწორედ აქ შეცდა უხეშად - გათვლა არასწორი გამოდგა და დამარცხდა. არადა, შეიძლებოდა, რომ სვლების გამეორებით ყაიმი დაეფიქსირებინა.

ხუხაშვილის კარგი თამაში მაინც აღსანიშნავია და მშვენიერი განწყობილებით შეხვდება მეორე ტურს, თუმცა დაფას სოფიკო ხვალ მიუჯდება - დღეს დასვენება უწევს. დღეიდან თამაშში მაია ლომინეიშვილი ერთვება - იგი თეთრებით სალომე მელიას დამარცხებას ეცდება. მეორე წყვილში სოფიო გვეტაძე შეუტევს თეთრებით ნინო ხურციძეს.

**ზვიად შათირიშვილი**

# ბრეგაძემ გაგვაოცა... ნაგებით

ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. სამწუხაროდ, ტურნირის შედეგები გვიან სალამოს მოდის და ამის გამო ოპერატიულად ინფორმაციას ვერ ვაწვდით მკითხველს, თუმცა ამით ალბათ ბევრს არ დავკარგავთ - მთავარია, ჩვენმა მოჭადრაკეებმა კარგი თამაშით გაგვახარონ.

მეორე ტურში სიხარულის საბაბიც გვქონდა და იმედგაცრუებაც ვიწვნიეთ. ნამდვილი სენსაცია იყო თექვსმეტწლამდელებში **ლევან ბრეგაძის** მარცხი, თანაც დაბალრეიტინგიან სომეხ მოჭადრაკესთან. ჩვენი სამხრეთელი მეზობლები ჭადრაკს დიდ ყურადღებას რომ აქცევენ და უძლიერესი სკოლა აქვთ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. აქვე დავძენთ, რომ სომხეთში ჭადრაკი დღეისთვის სპორტის პირველი სახეობაა! საქართველოში პირველი - არა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომ იყო ერთ დროს, ფაქტია. ახლა სხვა დროა და სომხებსაც ჩამოვრჩით და აზერბაიჯანელებსაც; საქართველოშიც აღარ არის პოპულარული ჭადრაკი. ეს სხვა დროის და სალაპარაკო თემაა და ოდესმე მივუბრუნდებით. რაც შეეხება მონტენეგროში მიმდინარე ჩემპიონატს, ბრეგაძის წარუმატებლობა ერთადერთი არ იყო ქართველთათვის, მაგრამ ლიდერთა უმეტესობამ კარგად გაართვა თავი პრობლემებს. თორმეტწლამდელ ვაჟთა შორის ყოჩაღობენ **ირაკლი ბერაძე** და **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** - ორივეს 2-2 ქულა აქვს. უდანაკარგოდაა **დავით ბენიძეც**, რომელიც თვრამეტწლიანებში თამაშობს. გოგონებში მაქსიმალური ქულათა რაოდენობა ათწლამდელ **ნინო ხომერიკს** და თოთხმეტწლამდელებს - **მერი არაბიძეს, ნანი უნაფქოშვილს** და **ნათია ჯალაბაძეს** მოეძევებათ. სამწუხაროდ, სენსაციურად დამარცხდა 12 წლის **დეა გოგიშვილი** - თეთრებით დათმო პარტია ბულგარელ **სიმონეტა ივანოვასთან**. დეა მეტოქეს რეიტინგით გვარიანად სჯობდა, მაგრამ დღეისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა...

არ წაუგია **ქეთი ნანალაშვილს**, მაგრამ დაბალრეიტინგიან მეტოქესთან ყაიმი არ ჩაეთვლება აქტივში. ქეთის 1,5 ქულა აქვს. ნანალაშვილი და **ნაზი პაიკიძე** თექვსმეტწლამდელებში თამაშობენ. ნაზიმ პირველ ტურში დაკარგა ნახევარი ქულა და კარგია, რომ მეორეში შეძლო გამარჯვება. შეგახსენებთ, პაიკიძემ ერთი თვის წინ ოცწლამდელთა შორის მეორე-მეხუთე ადგილები გაიყო და ვერცხლის მედალი ერგო. ცხადია, თანატოლებში უფრო მეტის მიღწევას შეეცდება, თუმცა ნაზის ჯერაც არ შესრულებია 16 წელი - ამ ასაკს იგი გაისად მიაღწევს.

თოთხმეტწლამდელებში **ნოდარ ლორთქიფანიძისა** და **რამაზ ენდელაძის** მარცხიც უსიამოვნო იყო, მაგრამ იმედი იმისა, რომ შემდეგ ტურებში დანაკარგს ამ ასაკშიც ავინაზღაურებთ, გვრჩება.

**ზვიად შათირიშვილი**

## განცხადებები

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, 15 საათზე, სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზშიგაიმართება საქართველოს სპორტული მედიცინის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

ფედერაციის პრეზიდიუმი

მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში(ჭავჭავაძის, 49) ჩატარდება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დასაწყისი 12 საათზე.

ფედერაციის აღმასკომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მძიმე ამბავი

# გაუგებრობა თუ...

სულ ახლახან გახარეთ, რომ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს. ვარშავაში მათ თითო ოქროსა და ბრინჯაოს წყალობით მეოთხე გუნდური ადგილი დაიკავეს, მაგრამ... გუშინწინ, გვიან ღამით ინტერნეტის დათვალიერებისას სკანდალური და მეტისმეტად უსიამოვნო ამბავი შევიტყეთ **ბორის ფირცხელიანის** ნაკრებზე. ჯერ ვიფიქრეთ, გაუგებრობასთან გვქონდა საქმე, ამის ახლაც გვეიმედება, მაგრამ ფაქტია - სამი ქართველი ძიუდოისტი, პოლონეთის დედაქალაქში ქალის გაუპატიურების ბრალდებითაა დაკავებული.

ინფორმაცია ერთბაშად რამდენიმე საიტზე გავრცელდა, პოლონურით დაწყებული, სამხრეთ აფრიკულით დასრულებული. განსაკუთრებით, ყურადღება ამ ფაქტს რუსებმა მიაქციეს. ტექსტი ყველგან თითქმის იდენტური იყო, რომელსაც


+ Banda gruzińskich
doków sgwałciła
lkę +++ Najstarszy
ir miał 18 lat +++
bydlaków nadal
edzi w areszcie

Judocy
zgwałcili
młodą Polkę

აქვე გთავაზობთ: *„სამ ქართველ ძიუდოისტს პოლონელმა სამართალდამცავებმა 28 წლის ქალის გაუპატიურების ბრალდება წაუყენეს. ეს ძიუდოისტები ვარშავაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, რომელიც 12-14 სექტემბერს გაიმართა. თავდაპირველად, ამ საქმეზე 12 ქართველი დაიკითხა. ეჭვმიტანილთა სახელებს არ ასახელებენ. დაზარალებულმა განაცხადა, რომ ის გააუპატიურეს მას მერე, რაც ეჭვმიტანილებთან ერთად ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფებოდა, სადაც მოულოდნელად გონება დაკარგა. ამჟამად პოლონელი სამართალდამცავები იკვლევენ, იყო თუ არა დაზარალებული ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. თუკი ეჭვმიტანილებს ბრალდება დაუმტკიცდებათ, მათ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ელით“.*

წყაროები ასახელებენ იმ პროკურორის სახელსაც, რომელიც საქმეს ზედამხედველობს – **რობერტ მისლინსკი**. ეს ცუდი ფაქტი კი სასტუმრო „ნოვოტელში“ მოხდა. ჩვენი ძიუდოისტები ჯერ კიდევ ორი დღის წინ უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში, თუმცა ისინი მხოლოდ გუშინ დაბრუნდნენ, სამი ეჭვმიტანილის გარდა. ძიუდოს ფედერაციაში დილიდანვე აცხადებდნენ, რომ ჩვენზე მეტ ინფორმაციას ამ სკანდალზე არ ფლობდნენ. თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ეჭვმიტანილები დაბალ წონებში მოასპარეზე ქართველები არიან.

საღამოს ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელ მდივანს, **ზურაბ უსუფაშვილს** დავუკავშირდით: *„ჩემი ინფორმაციით, ეს არის გაუგებრობა, რომელიც უახლოეს დღეებში მოგვარდება, ბიჭები მალე ჩამოვლენ. ასე რომ, მათი ჩამოსვლით ნათელი გახდება, რომ მხოლოდ გაუგებრობა მოხდა“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# იაპონიაში მსოფლიო თასზე


საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები - ევროპის 2007 წლის გუნდური ჩემპიონი

პეკინის ოლიმპიურით თამაშების ეიფორიას ჯერ არ გაუვლია, მაგრამ ქართველი სპორტსმენები უკვე ახალი ორთაბრძოლებისთვის ემზადებიან. შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველები ძიუდოისტები ჩაებმებიან. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **შოთა ხაბარელის** ხელმძღვანელობით **ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ვალერი ლიპარტელიანი, ნოდარ მეტრეველი, ლომერ ჟორჟოლიანი** და **ლაშა გუჯეჯიანი** ხვალ ბორჯომს მიაშურებენ ათდღიანი საწვრთნელი შეკრების გასავლელად, 2 ოქტომბერს კი ტოკიოსკენ აიღებენ გეზს - ამომავალი მზის ქვეყანა ოქტომბრის პირველ დეკადაში ძიუდოისტთა გუნდური მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს. მთავარი პრიზისთვის ევროპიდან - საქართველოსა და რუსეთის, აზიიდან - იაპონიისა და კორეის, აფრიკიდან - ეგვიპტისა და ალჟირის, ამერიკიდან - კუბისა და ბრაზილიის გუნდები იბრძოლებენ.

- იაპონიაში ძირითადი შემადგენლობით გავემგზავრებით, - მითხრა შოთა ხაბარელმა. - გუნდური მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და ცხადია, საკუთარი პრესტიჟი შორეულ აღმოსავლეთშიც უნდა დავიცვათ. მართალია, ოლიმპიადის შემდგომმა პერიოდმა ცოტა რეჟიმიდან კი ამოგვაგდო, მაგრამ ჩვენს ბიჭებს იმდენი ძალა და გამოცდილება აქვთ, ათდღიანი შეკრებისას უწინდელი სპორტული ფორმა აღიდგინონ. ყველაფერს ვილონებთ, რათა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე თავი არ შევირცხვინოთ.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# გორენიე უდათუკაშვილოდ დამარცხდა



სლოვენიის სახელბურთო ჩემპიონატის პირველსავე ტურში, გამოკვეთილი ფავორიტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. **სერგო დათუკაშვილის** „გორენიემ“ ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „კოპერს“ უმასპინძლა. სამწუხაროდ, სერგომ მოსამზადებელ ეტაპზე ტრავმა მიიღო და გუნდს ერთი თვე ვერ დაეხმარება. ამას გარდა, მასპინძლებს კიდევ სამი ხელბურთელი ჰყავდათ დაშავებული. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ამხელა დანაკლისის გამო, მასპინძლებმა მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს და გამარჯვება „კოპერს“ დარჩა - 31:27. მართალია, ეს მხოლოდ პირველი ტური იყო და ჯერ წინ მთელი სეზონია, მაგრამ ჩემპიონობაზე მეოცნებე „გორენიეს“ შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს უშუალო კონკურენტთან საკუთარ მოედანზე დაკარგული ორი ქულა.

წლეულს „გორენიეს“ ევროფრონტზეც მოუწევს ბრძოლა - ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ითამაშებს. სლოვენიელები პირდაპირ მესამე ეტაპზე არიან დაშვებულნი.

**კობა ხატისაშვილი**

სუმო

# კოკაი ლიდერთა შორის



**კოკაი** (**ლევან ცაგურია**) კარგ ფორმაში შეხვდა სექტემბრის ბაშოს – ტურნირზე ოთხი დღეა გასული და ქართველი სუმოისტი, რომელიც გავარდნის საფრთხის წინაშეა, სამი მოგებით ლიდერებს კვალში უდგას. გუშინ, კოკაიმ მე-13 მაეგაშირა **ჩიოჰაკუჰოს** აჯობა, მან მეტოქე დოჰიოზე დააგდო. ქართველის დღევანდელი მეტოქე 34 წლის ყოფილი ოძეკი **დეჯიმაა**, რომელსაც ასევე 3-1 ბალანსი აქვს.

სამაგიეროდ, უჭირს 20 წლის **ლევან გორგაძეს** (**ტოჩინოშინი**), მას ჯერ მხოლოდ ერთი მოგება აქვს ბაშოზე. გუშინ, ქართველი მე-10 მაეგაშირა ჰოკუტორიკისთან დამარცხდა. არადა, მან თითქმის მოიგო ორთაბრძოლა, უბრალოდ, წამით ადრე შეეხო ხელით დოჰიოს და მსაჯებმაც წაგება ჩაუთვალეს. ტოჩინოშინს დღესაც სერიოზული მეტოქე ეყოლება – მე-6 მაეგაშირა **ტოიოჰიბიკი**. 23 წლის ტოიოჰიბიკი 185 კილოგრამს იწონის, ის ყველაზე მძიმე რიკიშია ელიტაში.

ძალიან კარგი სტარტი გამოუვიდა 22 წლის **თეიმურაზ ჯუღელს** (გაგამარუ) - მესამე დივიზიონში მოასპარეზე სუმოისტმა გუშინ მეორე ორთაბრძოლა გამართა და მეორე გამარჯვებაც იზეიმა. გაგამარუმ ოშიდაშით ძურიოს დივიზიონის ყოფილ წევრს, **ჰოკუტოივას** აჯობა.

ბაშოზე ოთხი ოძეკიდან (ჩემპიონი) სამი დამარცხდა, რაც იშვიათი მოვლენაა. ტურნირს დაუმარცხებელი კი მხოლოდ ოთხი სუმოისტი შემორჩა, მათ შორის - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### აკი ბაშო
### (სექტემბრის სუპერტურნირი)
14-28 სექტემბერი. ტოკიო (იაპონია)

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 16)-ჩიოჰაკუჰო (მ 13) 1:0 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 10)-ჰოკუტორიკი (მ 9) 0:1 (ჰიკიოტოში); ასაშორიუ (ი)-კისენოსატო (მ 2) 1:0; ჰაკუჰო (ი)-კიოკუტენჰო (მ 3) 1:0; ასასეკირიუ (კ)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ამინიშიკი (მ 4) 1:0; მიაბიამა (მ 1)-კოტოოშუ (ო) 1:0; ამა (ს)-კაიო (ო) 1:0; ბარუტო (კ)-ტოიონოშიმა (ს) 1:0; კოტოშოგიკუ (მ 1)-ტოჩინონადა (მ 4) 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. **4-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); გოეიდო (მაეგაშირა 5); ჰოკუტორიკი (მ 9); კიმურაიამა (მ 14). ... 3-1: კოკაი (მ 16).. 1-3: ტოჩინოშინი (მ 10).**

V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 16)-დეჯიმა (მ 12); ტოჩინოშინი (მ 10)-ტოიოჰიბიკი (მ 6); ჰაკუჰო (ი)-კისენოსატო (მ 2); ასაშორიუ (ი)-კიოკუტენჰო (მ 3); კოტომიცუკი (ო)-ბარუტო (კ); კოტოოშუ (ო)-ასასეკირიუ (კ); კაიო (ო)-ტოიონოშიმა (ს); ჩიოტაიკაი (ო)-კოტოშოგიკუ (მ 1); ამა (ს)-მიაბიამა (მ 1).**

პლაჟბურთი. ევროპის ჩემპიონატი

# საქა-რთველომ იოლად მოიგო

ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში მსოფლიოს ტურის მორიგმა ეტაპმა აიღო სტარტი. პლაჟბურთის ქართული წყვილები **საქა-რთველო** და **გეორ-გია** პირდაპირ ძირითად ბადეში არიან დაშვებული.

ქალთა შეჯიბრებაში პირველი შეხვედრა საქა-რთველომ პოლონურ დუეტთან **ბროზტეკი-სოვალთან** გამართა და ორ სეტში იოლად სძლია 21:16, 21:15. ჩვენი ფრენბურთელები ამ ტურნირზე მე-7 ნომრად არიან განთესილები. მეორე შეხვედრა მათ გუშინ, გვიან ღამით გამართეს მე-10 ნომრად განთესილ შვედ დებთან **ლუნდკვისტებთან.**

რაც შეეხება გეორ-გიას, ეს წყვილი ტურნირში დღეს ჩაერთვება.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში ამჟამად იმყოფება საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან ახვლედიანი**, რომლის ვიზიტის დროსაც უნდა გაირკვეს, გააგრძელებს თუ არა გეორ-გია საქართველოს სახელით ასპარეზობას მომავალში.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ინტერვიუ გია თენაძესთან

# ჩვენი დროც მალე დადგება ევროპაში



გია თენაძე

**გასულ უქმეებზე პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც 4 ქართველი გოგონაც მონაწილეობდა. გვესაუბრება საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სეულის ოლიმპიური თამაშებისა და 1989 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს უნივერსიადის ოქროს მედალოსანი, ევროპის პირველობის გამარჯვებული (გუნდურში) და პრიზიორი გია თენაძე:**

- თითქმის წელიწადია, საქართველოს ქალთა ნაკრებს ვხელმძღვანელობ და ვარშავაში პირველად ვიგრძენი, რომ ჩვენს გოგონებს ევროპელებისთვის თავისუფლად შეუძლიათ სათანადო მეტოქეობის გაწევა. 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაია ვეშაგური სერბ ლილიანა სავანოვიჩთან შეხვედრისას ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა მომდევნო წრეში გასვლის შანსს, მაგრამ ბოლოს მაინც გამოცდილებამ იმარჯვა. მარიამ ტარუაშვილი (52 კგ) სერბ მასა სმილიკოვიჩთან დამარცხდა - სამწუხაროდ, იგი საკუთარ ფანდზე წამოეგო.

არბიტრების მიკერძოებული მსაჯობა რომ არა, თინათინ ქულუსაშვილს (63) ხუთეულში შეეძლო მოხვედრა. პირველ წრეში მას ესპანელ ფატიმა რიბოტთან დაათმობინეს ორთაბრძოლა. პირენეელმა ქართველ მოჭიდავესთან იმდენი ენერგია დახარჯა, რომ მეორე წრეში იოლად დანებდა მეტოქეს და ქულუსაშვილიც შეჯიბრებას გამოეთიშა. სამაგიეროდ, გვასახელა ნინო ოძელაშვილმა (78). სტარტზე მან კოკათი სძლია ბერძენ ელპიდა ასლანიდუს, რომელიც რუსეთში ვარჯიშობს და შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია. მეორე წრეში ნინომ შვეიცარიელ ნადია კამპესტრინის ვაზარით აჯობა. ამ უკანასკნელმა დამამშვიდებელ წრეში იპონით სძლია ყველას და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ნახევარფინალში ოძელაშვილმა წააგო უკრაინელ ივანა მაკუხასთან, რომელმაც ერთი თვის წინ ჩეხეთის ძლიერ ტურნირში გაიმარჯვა. მესამე ადგილისთვის პაექრობა ქართველმა მოჭიდავემ გაფრთხილებით დათმო მასპინძელ კატარჟინა ფურმანეკთან. აქაც მსაჯების ხელი ერია, თუმცა პოლონელების მიმართ აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან მთელი ტურნირის განმავლობაში მათგან ყურადღება და ქომაგობა არ მოგვკლებია. ვალერი ლიპარტელიანმა მესამე წრეში რუსი მეტოქე რომ დაამარცხა, ქართველ ფალავანს მთელი დარბაზი ოვაციით შეხვდა.

მართალია, ვარშავაში ჩემმა შეგირდებმა საპრიზო ადგილები ვერ დაიკავეს, მაგრამ მათი წინსვლა იმდენად აშკარა იყო, გაკვირვება უცხოელმა სპეციალისტებმაც ვერ დაფარეს. ნინოს ორი გამარჯვება რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელმა მომილოცა.

ახალგაზრდების ევროპის პირველობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქართველი გოგონები ბევრი კონტინენტის წარმომადგენლებს ძიუდოს სიყვარულით, ფიზიკური და ტაქტიკური მომზადებით ტოლს არ უდებენ., ეს არის მხოლოდ, რომ ჩვენებს საშეჯიბრებო გამოცდილება აკლიათ. ევროპელები თითქმის ყოველ შაბათ-კვირას, საკუთარი ავტობუსებით მიდიან მეზობელ ქვეყნებში შეჯიბრებებზე, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ, თუმცა სპორტის დეპარტამენტისა და ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აქტიური თანადგომით ამ პრობლემასაც მალე მოვაგვარებთ. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ხანებში სერიოზულ ტურნირებში მნიშვნელოვან გამარჯვებას მოვიპოვებთ და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებსაც გამოვკრავთ ხელს.

**- პოლონური ორთაბრძოლებისთვის სად მოემზადეთ?**

- იცით, რომ გორში, სპორტის დეპარტამენტის ინიციატივით, გურამ პაპიტაშვილის სახელობის შესანიშნავი სპორტული დარბაზი გაიხსნა. რუსეთის აგრესიის დაწყებამდე სწორედ იქ ვემზადებოდით. დაბომბვის დაწყებისთანავე გოგონები გორს გავარიდეთ და საწვრთნელი შეკრება დმანისში გავაგრძელეთ. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ისევ ქართლის გულს დავუბრუნდით და შეჯიბრებაზეც იქიდან გავემგზავრეთ. საშეჯიბრო გამოცდილების მიღების მიზნით, ზაფხულში სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზეც ვიასპარეზეთ. ქულუსაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, ოძელაშვილი კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ნინომ ტურნირზე რუსეთის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონიც იპონებით დაამარცხა.

დღე-დღეზე მწყობრში ჩადგება დილმის კეთილმოწყობილი საწვრთნელი კომპლექსი, სადაც ერთი დარბაზი მთლიანად გოგონებს დაეთმობა. საწვრთნელ შეკრებებს ბორჯომსა და ბაკურიანში გავმართავთ. საქართველოს სპორტის მესვეურები ქალთა ძიუდოს განვითარებით სერიოზულად არიან დაინტერესებული და ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი უნდა ავამოქმედოთ. ამჟამად ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში 70-მდე გოგონა ვარჯიშობს ტატამზე - უმთავრესად თბილისში, გორში, თიანეთში, დმანისში, დუშეთსა და ბოლნისში. გვყავნან თეთრკიმონოიანები კახეთიდანაც. სასიხარულოა, რომ საქართველოში ქალთა ძიუდოს გეოგრაფია ნელ-ნელა იზრდება. შემუშავებული გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომლის შესაბამისადაც მწვრთნელები ადგილებზე იმუშავებენ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო მწვრთნელებს - გოდერძი ველიჯანაშვილს, კახა მოცრაძეს, გიგა ბოჭოიძეს, ანზორ თენაძეს, ნიკო ბიბილაშვილს, რომლებსაც ქალთა ძიუდოს აღდგენა-განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით. სამომავლო კონტურები გამოკვეთილია. მთავარია, მათი ხორცშესხმა, რასაც აუცილებლად მივაღწევთ და ჩვენი გოგონებიც, ვაჟების მსგავსად, უეჭველად გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**



საქართველოს ქალთა და გოგონათა ნაკრები გუნდები

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# ტატიშვილის პირველი ნაბიჯი და ბასილაშვილის პირველი ბადე

საქართველოს პირველმა ჩოგანმა, 18 წლის **ანა ტატიშვილმა**, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში 212-ე ადგილზეა, წარმატებით დასძლია ალბუკერკეს (აშშ) ტურნირის პირველი წრე. ანა მსოფლიოს 142-ე ჩოგანს, 29 წლის კოლუმბიელ **კატალინა კასტანიოს** ხვდებოდა. შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია, ხოლო კასტანიო ორი წლის წინ მსოფლიოს 31-ე ჩოგანი იყო. მიუხედავად რეიტინგში მეტოქის უპირატესობისა, კორტზე ანა უკეთ გამოიყურებოდა და ქართველმა ორ სეტში იმარჯვა კიდევაც – 6:3, 6:4. მერვედფინალში ტატიშვილის მეტოქე ჯერ არ გარკვეულა – მასთან თამაშის უფლებისთვის ამერიკელი **რაქელ კოპს-ჯონსი** (268) და სამხრეთაფრიკელი **ჩენელ სხეფერსი** (165) იბრძოლებენ. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილი და ამერიკელი **კიმბერლი კაუტსი** (291) მე-2 ნომრად განთესილ ამერიკულ დუეტს (**დიტი, გალიკსონი**) შეხვდებიან.

იტალიურ მესტრეს ტურნირში (50 ათასი დოლარი) **მაკა ჩახნაშვილი** (221) მხოლოდ წყვილთა თანრიგს შემორჩა, თუმცა იქ ფრანგ **ვიოლეტ ჰუკთან** (302) ერთად ყოჩაღობს. მაკა და ვიოლეტი მეოთხედფინალში არიან მას შემდეგ, რაც იტალიელი **ოპრანდი** და გერმანელი **პეტკოვიჩი** დაამარცხეს – 7:5, 6:2. შემდეგი მეტოქე უნგრულ-ბრაზილიური (**მაროში, ტავარესი**) დუეტია. იტალიაშივე, ქალაქ კასალეს ტურნირში (10 ათასი დოლარი) წამრატებით თამაშობს **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელმაც გასულ კვირას კარიერაში მეხუთე ტიტული მოიპოვა. ოქსანამ პირველ წრეში ადვილად მოუგო გერმანელ **პაოლა სპროვერის** – 6:2, 6:3. მერვედფინალში ჩვენებური მე-2 ნომრად განთესილ იტალიელ **ვალენტინა სულპიციოს** (380) ხვდება. კასალეში ოქსანას ახალი მეწყვილე ჰყავს, პორტუგალიელი **კატარინა ფერეირა** (511). ისინი უკვე წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში არიან.

ვაჟ ჩოგბურთელთა ასპარეზზე კარიერაში პირველად გავიდა ტურნირის ძირითად ბადეში 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. ჩვენებურმა ეს სულ მეორე ცდაზე მოახერხა. პირველად მან შარშან, ივლისში თბილისის ტურნირის ერთი საკვალიფიკაციო ბადე გაიარა, ახლა კი ის ამერიკის ქალაქ კოსტა მესაში 15-ათასიან ტურნირში ცდის ბედს. ქართველმა ძირითად ბადეში გასაღწევად ოთხი მატჩი მოიგო. სულ ბოლოს მან ამერიკელი **დენიელ ენდრიუსი** დაამარცხა – 6:3, 6:4. ძირითადი ბადის პირველ წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე ამერიკელი **ედამ ფასია** (963).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძალოსნობა

# ბრინჯაო გვემძიმა

თოთხმეტიდან ოცდაერთი სექტემბრის ჩათვლით, ალბანეთის ქალაქ დურასში ძალოსნობაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი იმართება. საქართველოდან ამ ფორუმზე ორი ჩვენიანი ასპარეზობს. უფრო სწორად, ჯერ ერთმა სცადა ძალები და ხვალ მორეც ჩაერთვება საქმეში. ორივე ათლეტი ქუთაისის ძალოსნური სკოლის აღზრდილია და საკმაოდ დიდი მბიცეიბითაც გაემგზავრნენ ალბანეთში. 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გიორგი ლომთაძე** ასპარეზობდა, ხვალ კი ფიცარნაგზე 94 კილოგრამ კატეგორიაში **ვაჟა ლონლაძე** გავა.

გუშინდელზე ვთქვათ: გიორგი ლომთაძე ძალიან პერსპექტიული ძალოსანია და ევროპის ჩემპიონატზეც გარკვეული ამბიციები ჰქონდა. მოგეხსენებათ, ვიდრე სპორტსმენები უშუალოდ ბრძოლის ველზე გავლენ, ორგანიზატორებს წინასწარ აძლევენ განაცხადს, თუ რა წონისთვის არიან ორჭიდის ჯამში მზად და შესაბამისად, რა წონას შეეჭიდებიან პირველ ცდაზე ცალკეულ ვარჯიშებში. გიორგის ისეთი შეკვეთა ჰქონდა მიცემული, რომ საპრიზო ადგილებისთვის თამამად შეეძლო ბრძოლა. ატაცში მასზე მეტი მხოლოდ ორმა მეტოქემ დაუკვეთა, აკვრაში კი - ხუთმა. საწყისი წონები ბევრს არაფერს წყვეტს, მთავარია, ბოლო როგორი გექნება და სამწუხაროდ, გიორგიმ შესაძლებლობებზე შედარებით სუსტად იასპარეზა: ატაცში მხოლოდ 98 კილოგრამი დასძლია, მეორე და მესამე მისვლა კი გააფუჭა - 101 და 102 კილოგრამი ვერ შეიმაგრა თავს ზემოთ. დაკარგულის ანაზღაურება აკვრაში შეეძლო და ძალიან ახლოს იყო კიდეც მიზანთან: პირველ ჯერზე 117 კილოგრამი დაიმორჩილა, მეორეზე -122 და მესამედ 130-ს შეუტია. ამდენი არავის ჰქონდა აწეული და მცირე ოქროს მედალს ხომ გაინაღდებდა, ორჭიდის ჯამში ვერცხლი ერგებოდა. არ შეუშინდა სიმძიმეს გიორგი და ლამის მიაღწია მიზანს, მაგრამ წამით ვერ შეაჩერა თავს ზემოთ სიმძიმე, რაც შტანგის დაფიქსირებისთვისაა აუცილებელი. საბოლოოდ, 220 კილო დააგროვა ორჭიდში და მეხუთე ადგილზე გავიდა, რაც მხოლოდ 5 კილოთი ჩამორჩება მესამეადგილოსნის შედეგს. ჩემპიონი კი მოლდოველი **არტიომ პიპა** გახდა 231 კილოგრამით.

მიუხედავად იმისა, რომ ლომთაძემ გეგმური მესამე ადგილი ვერ აიღო, მაინც წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა, რადგანაც მეტოქეებზე სამი და ოთხი წლით უმცროსია. ეს კი უზარმაზარი რეზერვია და მომავალი წლიდან აუცილებლად ერთ-ერთი ლიდერი იქნება თავის წონაში.

ვაჟა ლონლაძეც კარგი მომავლის ათლეტად მიიჩნევა და მისიც გვეიმედება. როგორ გამოვა ვაჟა დურესის ფიცარნაგზე, ცხადია, წინასწარ რთულია თქმა, მაგრამ შეჯიბრებამდელი შეკვეთა კი დამაიმედებელია - 340 კილოგრამი მიუთითა განაცხადში, რაც მესამე მაჩვენებელია. მასზე მეტი აქვთ: რუს **სოსლან გაგლოევს** - 360 კგ და მოლდოველ **ანდრეან ზბორნეას** - 345 კგ.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ვის რა სჭირდება?




ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ეტაპი დარჩა. ბელგიის გრანპრის შემდეგ, ტიტულისთვის ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა. თეორიულად ჩემპიონობისთვის ექვს პილოტს შეუძლია ბრძოლა, თუმცა ამათგან ყველაზე კარგი შანსები ორს - **ლუის ჰემილტონსა** („მაკლარენი“) და **ფელიპე მასას** („ფერარი“) აქვთ.

1-2. **ჰემილტონი და მასა.** ლუისი ფელიპეს მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, ამიტომაც მათი შანსები თითქმის თანაბარია. რაც შეეხება ამ დუეტთან მიმართებაში სხვა პრეტენდენტების პერსპექტივებს, იმისთვის რომ მესამე ადგილზე მყოფმა **რობერტ კუბიცა** ტიტულისთვის ბრძოლას ჩამოაცილონ, ლუისსა და ფელიპეს დარჩენილ რბოლებში ორჯერ მეორე და ამდენივეჯერ მესამე ადგილის დაკავება ჰყოფნით.

3. **კუბიცა.** აუცილებლად უნდა მოიგოს დარჩენილი ოთხივე რბოლა, მაგრამ პოლონელს მხოლოდ ეს არ ეყოფა. გარდა ამისა, ჰემილტონმა და მასამ ერთხელ უნდა დაიკავონ მეორე ადგილი და სამჯერ - მესამე ადგილი (ანუ ორივე ლიდერმა 26 ქულაზე მეტი არ უნდა დააგროვოს).

4. **რაიკონენი.** მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა დარჩენილი ეტაპები უნდა მოიგოს. ამასთან, ჰემილტონი და მასა არც ერთ ეტაპზე არ უნდა შევიდნენ საპრიზო სამეულში, ხოლო კუბიცამ არც ერთი რბოლა არ უნდა მოიგოს.

5. **ჰაიდფელდი.** გერმანელს მიზერული შანსი აქვს. ბუნებრივია, მასაც მხოლოდ გამარჯვებები სჭირდება, თანაც, ჰემილტონი და მასა არც ერთ რბოლაში არ უნდა მოხვდნენ ოთხ საუკეთესოს შორის. კუბიცა ორჯერ მესამე და ორჯერ მეოთხე ადგილით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაიკონენმა ორ რბოლაზე მეტი არ უნდა მოიგოს.

6. **კოვალაინენი.** კიდევ უფრო არარეალური ვარიანტი. აქაც ოთხი რბოლის მოგებაა საჭირო, ჰემილტონი და მასა დარჩენილ ეტაპებზე საუკეთესო ხუთეულში ვერ უნდა შევიდნენ და... ალბათ, არ ღირს გაგრძელება.

თავადაც ხედავთ, რომ ჩემპიონობის ორი რეალური კანდიდატი დარჩა. ძნელი წარმოსადგენია, რომ კუბიცამ, რაიკონენმა, ჰაიდფელდმა ან კოვალაინენმა ყველა რბოლის მოგება შეძლონ. სავარაუდოდ, სინგაპურის გრანპრის შემდეგ, ჩემპიონის ტიტულს ოფიციალურად ორი მაძიებელი შერჩება.

**გია თვალაბეიშვილი**

ჭადრაკი

# კოსტენიუკი მსოფლიო ჩემპიონია



რუსმა დიდოსტატმა **ალექსანდრა კოსტენიუკმა** მეოთხე პარტიაშიც შეძლო ძალიან რთული პოზიციის გადარჩენა, ყაიმს მიაღწია და საერთო ანგარიში 2,5:1,5 გახადა თავის სასარგებლოდ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი შეემატა. ალექსანდრა 24 წლის არის და კარიერაში უკვე ჰქონდა დიდი წარმატებები: 2001 წელს იყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი, მაგრამ ჩინელ **სიუ ძიუნთან** დამარცხდა. 1994 წელს 10-წლამდელ გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატი მოიგო; 1997 წელს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი გახდა ქალთა შორის; 1998 წელს კი დიდოსტატობა მიენიჭა. მომავალ აღიარებამდე 5 წელი იშრომა და 2004 წლის ნოემბერში ფიდემ ვაჟთა შორის დიდოსტატობაც მიაკუთვნა. კოსტენიუკი გახდა მეათე ქალბატონი ვისაც ასეთი პატივი რგებია. მას ევროპის ჩემპიონის ტიტულიც უმშვენებს კარიერას, რომელიც 2004 წელს დრეზდენში მოიპოვა.

ახალი მსოფლიო ჩემპიონი პერმში დაიბადა 1984 წელს, მაგრამ 1985 წლიდან მოსკოვში ცხოვრობს. ჭადრაკს ხუთი წლიდან თამაშობს. იგი მეთორმეტე ქალია, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუპოვებია. პირველი მერცხალი ჩეხი **ვერა მენჩიკი** იყო, რომელიც ბრიტანეთში რუსეთიდან გადავიდა საცხოვრებლად. მენჩიკმა ტიტული პირველად 1927 წელს მოიპოვა და ისე გარდაიცვალა, რომ არ დამარცხებულა - მისი სიცოცხლე 1944 წელს გერმანიის მიერ ლონდონის დაბომბვამ შეიწირა. შემდეგი ჩემპიონები იყვნენ: რუსი **ლიუდმილა რუდენკო**, რომელმაც ტიტული 1949 წელს დაისაკუთრა და 1953 წლამდე ფლობდა; **ელიზავეტა ბიკოვა**(1953-1957; 1958-62); **ოლგა რუბცოვა**(რუს.1957-58); **ნონა გაფრინდაშვილი**(საქ. 1962-78); **მაია ჩიბურდანიძე**(საქ. 1978-91); სიუ ძიუნი(ჩინ.1991-96;1999-2001); **ჟუჟა პოლგარი** (უნგ.1996-99); **ჭუ ჩენი**(ჩინ.2001-04);**ანტუანეტა სტეფანოვა**(ბულ.2004-06); **სიუ იუჰუა**(ჩინ.2006-08).

როგორც ხედავთ, რუსებმა 46 წლიანი შესვენების შემდეგ შეძლეს ტიტულის დაბრუნება. ვიდრე ნონა გაფრინდაშვილი რუსულ ჰეგემონიას დაამხობდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს სათავისოდ მიიჩნევდნენ - ვერა მენჩიკსაც კი რუს მოჭადრაკედ ასაღებენ, მაგრამ ეგრე რომ არ არის, ყველამ კარგად იცის.

რუსთა ქებას არ მოვყვებით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ კოსტენიუკი ღირსეულად გახდა ჩემპიონი. სათამაშო კლასი აშკარად მაღალი ჰქონდა. ამას ყველა ექსპერტი აღნიშნავს, მაგრამ როგორც გუშინ ვწერდით, გვარიანი ეჭვიც კი დაიბადა -ხომ არ იხმარს რუსი კომპიუტერულ ტექნოლოგიებსო. გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს მაშინ, როცა ტურნირი რუსეთში ტარდება და მასპინძლებს შანსი აქვთ, 46-წლიანი ჩავარდნის შემდეგ კვლავ უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ასეთი ეჭვების საფუძვლიანობას და მის დამტკიცებას დრო უნდა და ენახოთ, გაისმება თუ არა საჭადრაკო სამყაროში მსგავსი პრეტენზიები. მანამდე კი მოგვიწევს იმასთან შეგუება, რომ მსოფლიოს ქალთა ჭადრაკის დედოფალი მინიმუმ ორი წლის განმავლობაში რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი იქნება. სხვათა შორის, დედოფლისათვის მართლაც ღირსეული გვირგვინი დაამზადეს ყაბარდო-ბალყარელებმა - 585 სინჯის 65 გრამი ყვითელი და თეთრი ოქრო დაიხარჯა; განყობილია 46 ბრილიანტით და სამი მწვანე საფირონით. გვირგვინის ზუსტი ღირებულება არ სახელდება, მაგრამ შვიდნიშნა ციფრით რომ აღინიშნება, ამას არ მალავენ... გვირგვინს კოსტენიუკი საიმედო ადგილას დააბინავებს და ეგებ ხშირადაც ვერც შეავლოს თვალი, მაგრამ ჩემპიონობით მიღებულ ჰონორარს კი ნამდვილად მალევე გამოიყენებს - 60 ათასი დოლარი, დამეთანხმებით, დიდი თანხა არ არის, მით უფრო, რომ 20 პროცენტამდე დაქვითვას ექვემდებარება. ზუსტად ნახევარს - 30 ათასს მიიღებს ჰოუ იფანი. ფინალში მარცხის მიუხედავად, იფანი ტურნირზე ყველაზე დიდი ინტრიგის შემომტანი იყო და მას წარმატებადაც ჩაუთვლიან ასეთ შედეგს. ჩვენ გული იმად გვწყდება, რომ ჩემპიონატში ქართველმა ქალბატონებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა. გადაჭარბებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ კოსტენიუკის ადგილზე რომ რომელიმე ჩვენებური გვეხილა, სულაც არ გახლავთ უტოპია. თუმცა ამაზე მსჯელობას ახლა აზრი ნამდვილად არა აქვს...

**ზვიად შათირიშვილი**

ველოსპორტი. ვუელტა

| XVII ეტაპი | |
|---|---|
| სამორა-ვალიადოლიდი (148,2 კმ) | |
| 1. ვოუტერ ვეილანდტი (ბელგია, „ქუიქ სტეპი“) | 3.18,48 |
| 2. მატი ბრეშელი (დანია, CSC) | იგივე დრო |
| 3. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2R) | იგივე დრო |
| 4. ფლეს დე ლარეა (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | იგივე დრო |
| 5. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | იგივე დრო |
| 6. გრეგ ვან ავერმაეტი (ბელგია, „საილენს ლოტო“) | იგივე დრო |
| 7. ოსკარ გატო (იტალია, „გეროლშტაინერი“) | იგივე დრო |
| 8. სებასტიან ინო (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი“) | იგივე დრო |
| 9. მაურო სანტამბროჯო (იტალია, „ლამპრე“) | იგივე დრო |
| 10. კლაუდი კორიოგი (იტალია, „ლიკიგასი“) | იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | 69.53,52 |
| 2. ლევი ლაიფჰაიმერი (აშშ, „ასტანა“) | +1,17 |
| 3. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3,41 |
| 4. ესეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხაკობეო-გალისია“) | +4,35 |
| 5. რობერტ გესინკი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) | +5,49 |
| 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი“) | +6,00 |
| 7. ხოაკინ როდრიგეს ოლივერი (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი“) | +6,11 |
| 8. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | +8.56 |
| 9. დავიდ მონკუტი (საფრანგეთი, „კოფიდისი“) | +9,32 |
| 10. ოლივერ ცაუგი (შვეიცარია, „გეროლშტაინერი“) | +10,01 |

ჰოკეი

## შნაიდერი ტრანსფერზეა

„ანაჰაიმ მაიტი დაქსმა“ ტრანსფერზე დააყენა თავისი ერთ-ერთი წამყვანი მცველი **მატიო შნაიდერი**. ვეტერანმა ჰოკეისტმა „იხვების“ შემადგენლობაში ერთი სეზონი გაატარა. ის 65 მატჩში გავიდა ყინულზე და თავის გუნდს 39 ქულა (12 გოლი+27 შედეგიანი გადაცემა) მოუტანა.

შნაიდერი 20 წელია ჰოკეის ეროვნული ლიგაში თამაშობს. ამ დროის განმავლობაში შვიდი კლუბი გამოიცვალა, „ანაჰაიმში“ კი 2007 წლის ივლისში გადავიდა და ორწლიან კონტრაქტს მოაწერა, რომლის საერთო თანხაც 11.25 მილიონ დოლარს უდრის.

## კანადას აიზერმანს ჩააბარებენ

კანადის ჰოკეის ფედერაციამ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო. ამ ორგანიზაციის პირველი ამოცანა ეროვნული ნაკრების გენერალური მენეჯერის შერჩევაა. ფედერაციის ხელმძღვანელობა იმ აზრამდე მიდის, რომ ამ საპატიო მისიას ლეგენდარულ **სტივ აიზერმანს** დააკისრებენ.

თავდაპირველი ინფორმაციის თანახმად, ეროვნული გუნდის გენერალური მენეჯერი **უეინ გრეტცკი** უნდა ყოფილიყო. როგორც გახსოვთ, „დიადის“ მეთაურობით კანადამ 2002 წლის „თეთრი“ ოლიმპიადა მოიგო. მაგრამ გრეტცკის ვარიანტი ფედერაციის ხელმძღვანელმა **ბობ ნიკოლსონმა** გამორიცხა: *„უეინისთვის უკეთესი იქნება, თუ ის „ფინიქსში“ მუშაობაზე გადაიტანს მთელ ყურადღებას“.*

ახლა დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტება აიზერმანს დაევალება. „დეტროიტის“ ყოფილ ჰოკეისტს გენერალური მენეჯერის პოსტი 2007 და 2008 წლებშიც ებარა და ამ სეზონებში კანადამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროსა და ვერცხლის მედლები მიიღო.

ჩოგბურთი

## ჯოკერი ბრისბენით იწყებს

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ჟურნალისტებს 2009 წლის სეზონის პირველ ნაწილში გამოსვლის გრაფიკი გააცნო. ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული ახალ სეზონს ბრისბენის ტურნირით დაიწყებს. „ჯოკერმა“ ეს არჩევანი იმით ახსნა, რომ ამ ქალაქში ზუსტად ისეთი კორტებია, როგორიც მელბურნში, სადაც „დიდი სლემის“ სერიის რიგით პირველი ტურნირი იმართება.

*„ეს ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადების ციკლში ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტია. ბრისბენის შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე იქ ჩასვლა“*, - ამბობს ჯოკოვიჩი.

ბრისბენის ტურნირი 4-10 იანვარს გაიმართება.

## მოჩვენება ბანკომატთან

ერთ დროს გერმანული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული **მაქსიმილიან აბელი** ციხეში მოხვდა. ქვეყნის ყოფილი ჩემპიონი იმ დროს დააკავეს, როდესაც მოპარული საკრედიტო ბარათით ბანკომატიდან თანხა გამოჰქონდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ახალგაზრდა მამაკაცი მოჩვენებასავით იყო გამოწყობილი - უცნაური ტანსაცმელი ეცვა და თავზე პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული.

აბელის მორალური დაცემა გასულ წელს დაიწყო, როცა ფრანკფურტის ტურნირზე კოკაინის მიღებაში გამოიჭირეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ფუფუნებაში ცხოვრებას მიჩვეულმა ჩოგბურთელმა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარი ვერ თქვა და დანაშაულზე წავიდა. ის მეგობრების საკრედიტო ბარათებს იპარავდა და ამ გზით 55 ათასი ევრო იშოვა. ახლა აბელს ხანგრძლივი პატიმრობა გარანტირებული აქვს.

ფორმულა 1

## დენისი მაკლარენს არ ყიდის

„მაკლარენის“ შეფი **რონ დენისი** უარყოფს გავრცელებულ ჭორებს იმის შესახებ, თითქოს „მერსედესისთვის“ აპირებს თავისი გუნდის მიყიდვას. შეგახსენებთ, რომ გერმანული კომპანია „მაკლარენის“ აქციათა 40 პროცენტის მფლობელია.

*„ყოველ წელს განვიხილავთ ამ საკითხს და ჯერჯერობით ორივე მხარეს აწყობს დღეს არსებული პირობები. 2007 წელს ვაპირებდი ფორმულიდან წასვლას, მაგრამ შარშან აგორებული სკანდალის გამო გადავიფიქრე. თუმცა ადრე თუ გვიან ამ გადაწყვეტილებას მივიღებ და სხვა ბიზნესპროექტებში ვცდი ძალებს.*

*„მერსედესის“ სპორტული შეფის მარტინ უიტმარშის როლი ყოველ წელს იზრდება და მომავალში ის აუცილებლად ჩაუდგება სათავეში „მაკლარენს“*, - განაცხადა დენისმა Corriere della Sera-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

## სინგაპურში ვარჯიშიც ღამით ჩატარდება

ფორმულას 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპის - სინგაპურის გრანპრის ორგანიზატორებმა უიქენდის განრიგში ცვლილებები შეიტანეს.

როგორც ცნობილია, სინგაპურის ეტაპი ღამით, ხელოვნური განათების ქვეშ ჩატარდება. თავდაპირველი გეგმით, პირველი და მესამე თავისუფალი პრაქტიკის ჩატარება დღის სინათლეზე იყო ნავარაუდევი, მაგრამ პილოტებმა თხოვნით მიმართეს ორგანიზატორებს, რომ ვარჯიშებიც ღამის საათებში დაენიშნათ, რათა ახალი პირობებისთვის შესაგუებლად მეტი დრო ჰქონოდათ. ორგანიზატორები გაგებით მოეკიდნენ თხოვნას და მთელი სარბოლო უიქენდი ღამის საათებში გაიმართება.

კრივი

## სამი მილიონი ზედმეტი ნახევარი კილოგრამისთვის

2008 წლის 6 დეკემბერს ლას ვეგასში დიდი კრივია დანიშნული. ლეგენდარული **ოსკარ დე ლა ჰოია** ფილიპინელ **მენი პაკიაოს** ხვდება.

ოფიციალურად ბრძოლა 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიას მიეკუთვნება. უკანასკნელად დე ლა ჰოია ამ წონაში შვიდი წლის წინ გამოდიოდა და მას შემდეგ შესამჩნევად დამძიმდა. ამიტომაც პაკიაოს გუნდი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ოსკარი ვერ ჩაეტევა ამ წონაში. აღსანიშნავია, რომ თავად პაკიაოს არასოდეს უბრძოლია 61.2 კილოგრამზე ზედა კატეგორიაში. ის ამ წონაში WBC-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელია.

ოსკარ დე ლა ჰოიამ გაიზიარა ფილიპინელის შეშფოთება და პირობა დადო - ყოველი ზედმეტი ფუნტის (450 გრამი) სანაცვლოდ ის სამ მილიონ დოლარს გადაიხდის. სავარაუდოდ, „ოქროს ბიჭი“ წონაში ჩაეტევა, რადგან არ სურს ზედმეტი ფულის გადაყრა.

ოსკარმა უკვე გამოაცხადა, რომ ბრძოლის შედეგის მიუხედავად, ეს მისი ბოლო შეხვედრა იქნება პროფესიულ რინგზე. სხვადასხვა დროს ამერიკელი ექვს(!) წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

### E ჯგუფი

**სელტიკი-ოლბორგი 0:0**

**სელტიკი:** ბორუცი, ჰინკელი, გ. კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ს. ბრაუნი, რობსონი, მელონი (72. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი), სამარასი, მაკდონალდი (63. მაკგიდი).

**ოლბორგი:** ზაზა, ბოშამი, ოლფერსი, მ. იაკობსენი, პედერსენი, აუგუსტინუსენი, კურტი (86. ლ. ნილსენი), იოჰანსონი, რისგარდი, ენევოლდსენი, საგანოვსკი.

**გაძევება:** ბოშამი (79. ოლბორგი)

*30-ე წუთზე რობსონმა (სელტიკი) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 49 000

**არბიტრი:** მატეო ტრეფოლონი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ოლბორგი

**პირველი ჯარიმა:** ოლბორგი

**პირველი კუთხური:** სელტიკი

**პირველი გაფრთხილება:** სელტიკი

| | | |
|---|---|---|
| 16(2) | დარტყმა | 8(1) |
| 18 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 4 | ოფსაიდი | 0 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 61% | ბურთის ფლობა | 39% |

**მანჩესტერ იუნ-ვილიარეალი 0:0**

**მანჩესტერ იუნ:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ჯ. ევანსი, ევრა, ჰარგრივზი (62. ანდერსონი), ფლეტჩერი, ჟი-სუნ პარკი (62. რონალდო), ნანი, რუნი, ტევესი (81. გიგზი).

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გოდინი, გონსალო როდრიგესი, კაპდევილა, კანი (46. სანტი კასორლა), ეგურენი, ედმილსონი, პირესი (68. იბაგასა), ფერნანდესი, ფრანკო (77. ლორენტე).

**მაყურებელი:** 74 000

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** მანჩესტერი

**პირველი ჯარიმა:** ვილიარეალი

**პირველი კუთხური:** მანჩესტერი

**პირველი გაფრთხილება:** ვილიარეალი

| | | |
|---|---|---|
| 20(6) | დარტყმა | 5(2) |
| 14 | ჯარიმა | 14 |
| 6 | კუთხური | 0 |
| 4 | ოფსაიდი | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

### F ჯგუფი

**ლიონი-ფიორენტინა 2:2**

**ლიონი:** ლორისი, კალსტრიომი, ბოდმერი, ბუმსონგი, რევეიერი, მაკუნი (60. ედერსონი), ტულალანი, ჟუნინიო პერნამბუკანო, გოვუ (89. მუნიე), ბენზემა, ფრედი (65. პიკიონი).

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური (76. იორგენსენი), კროლდრუპი, დაინელი, ვარგასი, კუჟმანოვიჩი (64. სანტანა), ფელიპე მელო, მონტოლივო, ალმირონი, ჯილარდინო (81. პაცინი), მუტუ.

**გოლები:** 0:1 ჯილარდინო (11), 0:2 ჯილარდინო (42), 1:2 პიკიონი (73), 2:2 ბენზემა (86)

**მაყურებელი:** 37 000

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ფიორენტინა

**პირველი ჯარიმა:** ფიორენტინა

**პირველი კუთხური:** ლიონი

**პირველი გაფრთხილება:** ფიორენტინა

| | | |
|---|---|---|
| 26(11) | დარტყმა | 12(6) |
| 11 | ჯარიმა | 21 |
| 12 | კუთხური | 3 |
| 1 | ოფსაიდი | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 4 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

**სტიაუა-ბაიერნი 0:1**

**სტიაუა:** საპატა, ოგარარუ, გოიანი, გიონეა, მარინი, სემედო, ლოვინი, დაირო მორენო, ტოხა (77. პეტრე), ჟეკელი (82. კაპეტანოსი), ბერნჰარდტი (71. სტანჩუ).

**ბაიერნი:** რენსინგი, ლუსიო, დემიკელისი, ვან ბუიტენი, ლელი, ვან ბომელი, ლამი, შვაინშტაიგერი (84. ბოროვსკი), ზე რობერტო (75. ოტლი), ტონი, კლოზე (46. პოდოლსკი).

**გოლი:** 0:1 ვან ბუიტენი (15)

**მაყურებელი:** 20 000

**არბიტრი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბაიერნი

**პირველი ჯარიმა:** ბაიერნი

**პირველი კუთხური:** ბაიერნი

**პირველი გაფრთხილება:** სტიაუა

| | | |
|---|---|---|
| 17(7) | დარტყმა | 18(9) |
| 19 | ჯარიმა | 11 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 0 | ოფსაიდი | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

### G ჯგუფი

**დინამო (კ)-არსენალი 1:1**

**დინამო:** ბოგუში, ნესმაჩნი, მიხალიკი, დიახატე, ბეტაო, ვუკოევიჩი, იუსუფი (90+2. ასათიანი), ნინკოვიჩი, ალიევი, რ. ერიომენკო, ბანგურა (90+1. კრავეცი).

**არსენალი:** ალმუნია, სანია (78. ებუე), ტურე, გალასი, კლიში, უოლკოტი, ფაბრეგასი, სონგი (70. ბენდტნერი), დენილსონი, ვან პერსი (84. ველა), ადებაიორი.

**გოლები:** 1:0 ბანგურა (64-პენ), 1:1 გალასი (88)

**მაყურებელი:** 34 000

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** არსენალი

**პირველი ჯარიმა:** დინამო

**პირველი კუთხური:** არსენალი

**პირველი გაფრთხილება:** დინამო

| | | |
|---|---|---|
| 12(3) | დარტყმა | 12(5) |
| 18 | ჯარიმა | 14 |
| 3 | კუთხური | 8 |
| 1 | ოფსაიდი | 4 |
| 4 | გაფრთხილება | 1 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

**პორტუ-ფენერბაჰჩე 3:1**

**პორტუ:** ჰელტონი, ნელსონ ბენიტესი, როლანდო, ბრუნო ალვეში, საპუნარო, ფერნანდო, რაულ მეირელეში (67. ტომაშ კოშტა), ლუჩო გონსალესი, როდრიგესი (90+1. ლინო), მარიანო გონსალესი (60. ჰულკი), ლისანდრო ლოპესი.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, გიონული, ლუგანო, ჩაქმაქი, რობერტო კარლოსი, ემრე ბელოზოგლუ, სელჩუქ საჰინი (46. ხოსიკო/53. ბურაქ ილმაზი), მალდონადო, უგურ ბორალი (76. ქაზიმ ქაზიმი), ალექსი, გუისა.

**გოლები:** 1:0 ლისანდრო ლოპესი (11), 2:0 ლუჩო გონსალესი (14), 2:1 გუისა (29), 3:1 ლინო (90+2)

**მაყურებელი:** 52 000

**არბიტრი:** ბეტრტრან ლეიეკი (საფრანგეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** პორტუ

**პირველი ჯარიმა:** ფენერბაჰჩე

**პირველი კუთხური:** პორტუ

**პირველი გაფრთხილება:** პორტუ

| | | |
|---|---|---|
| 16(7) | დარტყმა | 8(3) |
| 17 | ჯარიმა | 16 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 4 | ოფსაიდი | 1 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

### H ჯგუფი

**იუვენტუსი-ზენიტი 1:0**

**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო (57. დე ჩელიე), კამორანეზი (31. სალიჰამიჯიჩი), სისოკო, პოულსენი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (87. ამაური).

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, პუიგრენიე, კრიჟანაცი, შირლი, ზირიანოვი (80. დომინგესი), ტიმოშჩუკი, დენისოვი, დანი, არშავინი, პოგრებნიაკი.

**გოლი:** 1:0 დელ პიერო (76)

**მაყურებელი:** 22 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** იუვენტუსი

**პირველი ჯარიმა:** ზენიტი

**პირველი კუთხური:** იუვენტუსი

**პირველი გაფრთხილება:** ზენიტი

| | | |
|---|---|---|
| 10(53) | დარტყმა | 5(2) |
| 23 | ჯარიმა | 24 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 0 | ოფსაიდი | 5 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

**რეალი-ბატე 2:0**

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო, გაგო (34. დიარა), გუტი (68. იგუაინი), ვან დერ ვაარტი, რაული, რობენი (61. დრენტე), ვან ნისტელროი.

**ბატე:** ვერემკო, ხაგუში, რჟევსკი, სოსნოვსკი, იურევიჩი, სივაკოვი, ლიხტაროვიჩი (58. ვოლოდკო), ნეხაიჩიკი, კრივეცი, სტასევიჩი (46. ჟავნერჩიკი), მირჩევი (64. კაზანცევი).

**გოლები:** 1:0 სერხიო რამოსი (12), 2:0 ვან ნისტელროი (57)

**გაძევება:** ხაგუში (62. ბატე)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბატე

**პირველი ჯარიმა:** რეალი

**პირველი კუთხური:** რეალი

**პირველი გაფრთხილება:** ბატე

| | | |
|---|---|---|
| 27(10) | დარტყმა | 7(2) |
| 16 | ჯარიმა | 20 |
| 9 | კუთხური | 2 |
| 3 | თამაშგარე | 0 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 65% | ბურთის ფლობა | 35% |



ლიონი ბენზემამ გადაარჩინა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ნორვიჩი-ქუინზ პარკი | 0:1 |
| საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 2:2 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ობერნოილანდი-ხემნიცი | გადაიდო |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| სიენა-ემპოლი | 0:2 |
| კატანია-პადოვა | 4:0 |
| რეჯინა-კალიარი | 4:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრემადი-აკადემისკი | 0:1 |
| კიოგე-ვიბორგი | 2:3 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰიონეფოსი-სანდნესი | 2:2 |
| სანდეფიორდი-სტარტი | 2:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-ჰალმსტადი | 3:0 |
| ელფსბორგი-მალმიო | 4:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-ბრეიდაბლიკი | 3:1 |
| ფრამი-ჰაფნარი | შვ. დასრულდა |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| რეკა-მორავცე | 0:3 |
| ზიარი-დუბნიცა | 0:2 |

**სლოვენიის თასი**

| | |
|---|---|
| კოპერი-ოლიმპია | გადაიდო |
| კრკა-ლენდავა | 1:3 |
| მურა-მარიბორი | 1:3 |
| პრიმორიე-ჟავრცი | 5:0 |
| დომჟალე-ლივარი | 1:4 |
| რუდარი-სელიე | 2:1 |
| გორიცა-პტუჟი | 2:1 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ბანფილდი-სან ლორენსო | 1:3 |
| ურაკანი-ნიუელსი | 1:1 |
| ტიგრე-ხიმნასია | 3:1 |
| გოდოი-რასინგი | 1:0 |
| ესტუდიანტესი-სან მარტინი | 1:1 |
| რივერი-ველესი | 1:2 |
| როსარიო-არსენალი | 3:0 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| ალ. ატლეტიკო-სპ. კრისტალი | 1:2 |
| ატ. მინერო-კორონელი | 2:0 |

### კალათბურთი

**ევრობასკეტი 2009**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ისრაელი-ბოსნია | 88:74 |
| ლატვია-ესტონეთი | 72:67 |
| ჩეხეთი-ბრიტანეთი | 63:67 |
| თურქეთი-ბელგია | 80:64 |
| საფრანგეთი-უკრაინა | 87:83 |
| იტალია-ბულგარეთი | 82:81 |
| სერბეთი-ფინეთი | 92:66 |
| პორტუგალია-მაკედონია | 81:71 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ბარისი-აკ ბარსი | 2:7 |
| დინამო (მნ)-მვდ | 2:2 |
| დინამო (მ)-ტორპედო | 4:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტაპარა-კალპა | 4:1 |

### ჩოგბურთი

**WTA. გუანგჯოუ**

| | |
|---|---|
| გოვორცოვა-კრეიბასი | 2:6, 5:7 |
| პინი-დომახოვსკა | 6:2, 6:3 |
| პაჩეკი-ლი | 6:0, 6:4 |
| ზვონარევა-როდიონოვა | 6:1, 6:2 |
| კორიტცევა-კნაპი | 4:6, 4:6 |
| პენგი-სანტანჯელო | 6:4, 6:2 |

**WTA. ტოკიო**

| | |
|---|---|
| სრებოტნიკი-ვოზნიაჩკი | 6:1, 6:2 |
| პეტროვა-რეზაი | 7:5, 6:2 |
| რაზანო-სუგიამა | 6:3, 6:2 |
| კუზნეცოვა-ნა ლი | 6:2, 1:6, 6:3 |
| საფინა-ციბულკოვა | 6:3, 6:4 |

## TV სპორტი

### 18 სექტემბერი. ხუთშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ იუნ-ვილიარეალი.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დინამო-არსენალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. იუვენტუსი-ზენიტი.
14:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. პორტუ-ფენერბაჰჩე.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:35 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ იუნ-ვილიარეალი.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
22:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. რეალი-ბატე.
00:20 საფეხბურთო კლუბი.
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:10 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
08:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლიონი-ფიორენტინა.
11:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. პორტუ-ფენერბაჰჩე.
13:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სტიაუა-ბაიერნი.
15:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. რეალი-ბატე.
17:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სელტიკი-ოლბორგი.
19:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. იუვენტუსი-ზენიტი.
21:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ბეშიქთაში-მეტალისტი (LIVE).
22:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. იუვენტუსი-ზენიტი.
22:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ბეშიქთაში-მეტალისტი (LIVE).
22:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. მარიტიმუ-ვალენსია (LIVE).
01:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 სპორტდოსიე. კრიკეტი.
03:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლიონი-ფიორენტინა.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. საფრანგეთი-ჰოლანდია. რუსეთი (LIVE).
14:00 მულტისპორტი.
14:15 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სერბეთი-გერმანია. რუსეთი (LIVE).
16:15 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. საფრანგეთი-ჰოლანდია. რუსეთი.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსეთი-იტალია. რუსეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. XVIII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სერბეთი-გერმანია. რუსეთი.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სერბეთი-გერმანია. რუსეთი.
21:00 ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია.
23:00 პროფესიული კრივი. მჩატე წონა. რ. ბეილი (აშშ)-დ. ესალესი (კოლუმბია). ნიუ იორკი. აშშ.
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩების მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-ნორვეგია. აზერბაიჯანი (LIVE)
13:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია-ინგლისი. აზერბაიჯანი (LIVE)
11:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-ესპანეთი. აზერბაიჯანი (LIVE)
15:30 ახალი ამბები.
16:30 ველოსპორტი. პოლონეთის ტური. V ეტაპი (LIVE).
18:30 ახალი ამბები.
19:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ზენიტი-რეინჯერსი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 რალი. IRC-ის ახალი სერია. ესპანეთი.
21:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კანბერა. ავსტრალია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
23:00 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. საფრანგეთი-ჰოლანდია. რუსეთი.
00:00 ფრენბურთი. მსოფლიოს გრანპრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სერბეთი-გერმანია. რუსეთი.
01:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალის წინ

# ფინალი: ესპანეთი–არგენტინა?



ამ კვირას მამაკაცთა პროფესიულ ტურში ტურნირები არ იმართება. ამის საპატიო მიზეზი არსებობს - ხვალიდან დევისის თასის ნახევარფინალური მატჩები იწყება და სამდღიანი ბატალიების შემდეგ გაირკვევა ფინალისტების ვინაობა.

ნახევარფინალურ ეტაპზე ოთხი საუკეთესო გუნდია გასული - დღეს არგენტინა, ამერიკა, ესპანეთი და რუსეთი კლასითა და გუნდური გამოცდილებით აშკარად აღემატებიან კონკურენტებს.

მოქმედი ჩემპიონი ამერიკის ნაკრები სტუმრად ესპანეთს ეთამაშება. ფავორიტები ესპანელები არიან და მათი ნაგება სენსაციად მოინათლება. ოკეანისგაღმელთა კლასში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ მათ საწინააღმდეგოდ ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ჯერ ერთი, ესპანეთი მასპინძელია და კორტის საფრის არჩევის უფლება აქვს. პირენეელები მეტოქეს თიხნარის კორტს დაახვედრებენ, რომელზეც ამერიკელები, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ბრწყინავენ. ესპანეთს კი ნახევარფინალში „თიხნარის მეფედ" წოდებული **რაფაელ ნადალი** ეყოლება. ვფიქრობთ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ორ ქულას უპრობლემოდ მოუტანს თავის გუნდს.

**ენდი როდიკის** გარდა, ამერიკის რიგებში ერთეულთა თანრიგში **ჯეიმს ბლეიკს** უნდა ეთამაშა, მაგრამ მან დაღლილობა მოიმიზეზა და ნაკრებიდან გათავისუფლება ითხოვა. მის ნაცვლად გუნდში გამოუცდელი **სემ კუერი** ჩაირიცხა.

მაგრამ ჩემპიონების უიღბლობა ამით არ დასრულებულა. როგორც წესი, დევისის თასის მატჩებში ამერიკას ერთი გარანტირებული ქულა აქვს, რადგან წყვილთა თანრიგში ამ გუნდის ღირსებას მსოფლიოს საუკეთესო დუეტი (ტყუპი ძმა **ბობ** და **მაიკ ბრაიანები**) იცავს. მაგრამ ბობმა ტრავმა მიიღო და ესპანეთში ვერ გაემგზავრა, შესაბამისად სტუმრებს ეს კოზირიც გამოეცალათ ხელიდან. წარმოუდგენელია, რომ ბობის ნაცვლად გუნდში მიწვეულმა **მარდი ფიშმა** მაიკ ბრაიანთან შეთამაშება მოასწროს. მოკლედ, ამერიკის საქმე ცუდადაა...

ნახევარფინალის მონაწილეთაგან არგენტინის ნაკრები ერთადერთია, რომელსაც დევისის თასი არასოდეს მოუგია. სამხრეთამერიკელები წელს აპირებენ ნავსის გატეხას. ამისთვის გუნდის კაპიტანმა **ალბერტო მანჩინიმ** უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბა. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ერთეულთა თანრიგის მატჩებს **დავიდ ნალბანდიანსა** და **ხუან მარტინ დელ პოტროს** ანდობენ.

ნალბანდიანს დევისის თასის მატჩები თითქმის არასოდეს გამოუტოვებია და კარგ გუნდურ მოთამაშედ მიიჩნევა. ის ადრეული ეტაპიდან გამოეთიშა ამერიკის ღია პირველობას, რაც მისთვის პლუსად უნდა ჩაითვალოს. დავიდი შინ ნაადრევად გაემგზავრა და სხვებზე ადრე დაიწყო თიხნარზე მზადება. ნალბანდიანს წელს არაფერი მოუგია და დევისის თასის აღება მისთვის ერთგვარ კომპენსაციად უნდა იქცეს.

აი, დელ პოტრო კი შესაძლოა, მასპინძელთა სუსტი წერტილი აღმოჩნდეს. ახალგაზრდა ჩოგბურთელს პირველად დაეკისრა ასეთი პასუხისმგებლობა და გამორიცხული არ არის, რომ ექსპანსიური არგენტინელი საკუთარი გულშემატკივრების წინაშე დაიბნეს და მთელი მონდომება წყალში ჩაყაროს. ისე კი ATP-ის ტურის ამომავალ ვარსკვლავს ოსტატობა რომ არ აკლია, ამაში ამერიკის ღიაზე დავრწმუნდით, როცა დელ პოტრომ მეოთხედფინალში გააღწია და იქ ბრიტანელ **ენდი მიურეისთან** დამარცხდა. ამ შეხვედრამდე დელ პოტროს 23-მატჩიანი მოგებათა სერია ჰქონდა; გარდა ამისა, ზედიზედ ოთხ ტურნირზე მოეპოვებინა მთავარი პრიზი.

სტუმრად მოთამაშე რუსეთის ნაკრებს ორი დანაკლისი აქვს. **მიხაილ იუჟნის** ტრავმას **მარატ საფინის** უარი დაემატა და გუნდის კაპიტანი **შამილ ტარპიშჩევი** იძულებული გახდა, გამოუცდელი **იგორ კუნიცინი** მიეწვია გუნდში. რუსებს პრაქტიკულად არ აქვთ არჩევანის საშუალება და რომელიმე ჩოგბურთელმა თავი ცუდად რომ იგრძნოს, შარშანდელი ფინალისტი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. სწორედ ამიტომაც, მომავალ დაპირისპირებაში უპირობო ფავორიტად არგენტინა მიიჩნევა.

**გია თვალაბეიშვილი**

# ფედერერი: ყველაფერი უნდა მოვიგო, დევისის თასიც...

მომავალ უიქ ენდზე მხოლოდ მსოფლიო ჯგუფში არ იმართება დევისის თასის მატჩები. ქვედა დივიზიონში მოთამაშე გუნდები ელიტაში შესვლისთვის იბრძოლებენ. ერთ-ერთი ასეთი გუნდია შვეიცარია, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოს მეორე ჩოგანს, **როჯერ ფედერერს** ვიხილავთ.

ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ, როჯერი იმედს გამოთქვამს, რომ მისი ამჟამინდელი სპორტული ფორმა შვეიცარიის ნაკრებს მსოფლიო ჯგუფში გადასვლის საშუალებას მისცემს.

*„პეკინის თამაშებზე წყვილთა თანრიგში მოპოვებულმა ოქროს მედალმა ჩემი მოტივაცია ერთიორად აამაღლა. ვფიქრობ, დევისის თასი რაღაცით ჰგავს ოლიმპიადას. ორივეგან შენი ქვეყნის ნაკრების წევრი ხარ და მისი ღირსებისთვის იბრძვი. პეკინში ჩემი ოცნება ახდა და სტანისლას ვავრინკასთან ერთად წყვილებში გავიმარჯვე. აი, ახლა ჩვენ ისევ ერთად ვართ.*

*იშვიათად მომხდარა, როცა „დიდი სლემის" ტურნირი მომიგია და შემდეგ დევისის თასის სათამაშოდ წავსულვარ. ახლა ვხვდები, რომ ეს შესანიშნავი სცენარია, რადგან საკუთარ ხალხთან ერთად შეგიძლია გამარჯვების გაზიარება.*

*რამდენიმე წლის წინ ვთქვი, რომ პროფესიული კარიერისთვის მეტი ყურადღების მიქცევა მსურდა. მაშინ ვიმედოვნებდი, რომ გუნდი ჩემ გარეშეც შეძლებდა მეოთხედფინალში გასვლას და ნაკრებს სწორედ ამ ეტაპიდან შევუერთდებოდი, მაგრამ ჩვენი გეგმა ვერც ერთხელ ვერ შესრულდა.*

*ახლა გადავწყვიტე, რომ საწყისი სტადიიდან შევუერთდე გუნდს და მასთან ერთად გავიარო ყველა ეტაპი. პირველ რიგში, ბელგიის ნაკრები გვყავს დასამარცხებელი. ამ გუნდის შეუფასებლობა დიდი შეცდომა იქნება. თუ მსოფლიო ლიგაში გავაღწევთ, თითქმის 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ გაისად შვეიცარიის ნაკრებთან ერთად ყველა ეტაპს გავივლი.*

*ჩემს ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნება, მაგრამ მთავარია, მოვიგო ყველა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მივიღებ, მათ შორის, დევისის თასიც"*, - მოჰყავს ფედერერის სიტყვები სააგენტო „როიტერს".

19-21 სექტემბერს შვეიცარიის ნაკრები საკუთარ მოედანზე მიიღებს ბელგიას.

**გია თვალაბეიშვილი**



ფეხბურთი




# გასკოინი ნაბახუსევს

დილის ცხრა საათია. **პოლ გასკოინი** კი უკვე ლუდხანის კარზე აკაკუნებს. გაზას არავინ ეხმაურება. ინგლისელი ფანების კერპი ბარის გაღებას საკუთარი სახლის გასაღებით ცდილობს(?), შემდეგ უკანა კარს სინჯავს, შიგნითაც იჭყიტება, მაგრამ ამაოდ. იმედგაცრუებულმა გასკოინმა პაპარაცების ობიექტივში ამოყო თავი.

41 წლის გაზა ინგლისში ერთი კვირის წინ დაბრუნდა. ის პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ალგარვეში ისვენებდა, როდესაც საკუთარ ნომერში უგონო მდგომარეობაში ნახეს. პოლი საავადმყოფოში გააქანეს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას ნარკოტიკის ზედმეტი დოზა ჰქონდა მიღებული. ბრიტანული ტაბლოიდების მტკიცებით, გასკოინს თავის მოკვლა სურდა.

**შალვა ბიბილაშვილი**





# საჩუქარი ბავშვებს

შევდივართ მოცემულ მისამართზე (www.4shared.com/file/54549172/959d4d27/maradona.html) და ვქაჩავთ 143 კილობაიტ არქივს. ფაილს ფერად პრინტერზე ვბეჭდავთ. შემდეგ ვიღებთ მაკრატელსა და წებოს, ცოტათი ვწვალობთ და ბავშვებისთვის ასეთ საჩუქარს ვიღებთ.

